

ეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

განათლება

8(05)

(წელიწადი მეათე)

გ 20

ი ა ნ ვ ა რ ი

1911 წ.

პ-25298



საქართველოს

შინაარსი: 1. რედაქციისაკან. 2. ფურცის ზედაგოგორი აზრები თ. ლ. 3. სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები—აღ. ბეს. ჭიჭინაძე (სურათით) გიგობერიასი. 4. 'ზღაპარი?' (მოთხრობა) თ. რაზიკაშვილისა. 5. რამ გამოიწვია „ვეფხისტყაოსანი“? (დუგენდა) აკაკისა (აკაკის სურათით). 6. აკაკის ზირკული ნახვა ჩემს დავ. კლდიაშვილისა (ავტორის სურათით). 7. პოეზიის (დექსი) დ. თურდოსპირელისა. 8. ვაჟი (დექსი) რუს-იმერელისა. 9. ჩვენებს (დექსი) ვაჟა-ფშაველასი. (ავტორის სურათით) 10. ჩემი ნუგეში (დექსი) ირ. ევდრეშვილისა. 11. ნორმანდიელი ბარონი (დექსი) ილია ფერაძისა. 12. ზაქარაის თაღა (ინგილოური დუგენდა) ზ. ედილისა. 13. ზნაური მიმოხილვა—ნიმუშები ჩვენის დაავადებებისა. იპ. ვართაგავასი. 14. დასაწყისი სკოლების მასწავლებელთა ზენისა. 15. უცხოეთი. მოზღაპრეთა ეროვნული კავშირი ამერკაში. თ. კ—ლისა. 16. სამეცნიერო მიმოხილვა—ზოოფისიოლოგია. გამოცდა ცხოველთა სამეფოში დ—რ ცელლი. 17. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია—„ფაუსტი“ თარგმანი ზ. შირაიანიშვილისა იპ. ფანცხავასი. 18. † დეკანოზი დავით ლაშაბიძე 19. განცხადება.

მ ი ი ლ ე ბ ა ხ ე ლ ის მ ო ჟ ე რ ა

ყველ კვირულ ჟურნალზე (გამოდის 12 დეკემბრიდან).

ცხოვრება და ხელოვნება

ფასი: წლიურად 5 მან. ნახევარი წლით 2 მან. 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ. ფულის შემოტანა შემძლეობა ნაწილ-ნაწილად, არა ნაკლებ ათი შაურისა. რედაქციამ მიიართა ყველა ქართველ მწერლებს, მეცნიერთა და მხატვარ-ხელოვნთათა მსოფლიოს მიღებისათვის. — განყოფილებათა რ ე დ ა ქ ტ ო რ ე ბ ი.

პუბლიცისტიკა	ფ. კოტიანიშვილი.	მედიცინა	ვ. დმუშიძე.
სიტყვა-კავშირული მწერლობა	შ. არაკვიციანი.	მუსიკა	ზ. ფაიაშვილი.
	გვიციანიშვილი.	დრამა	ვ. შაივაშვილი.
	(ბელეტრისტიკა).	სასცენო ხელოვნება	ვ. მისიშვილი.
სიტყვა-წყობილი მწერლობა	კ. მყაშვილი.	კრიტიკა და ბიბლიოგრაფია	ი. ფართაგავა.
	(პოეზია)	ბუნების მეტყველება	ს. იაშვილი.
პედაგოგია	აღ. შიდავანი.	მიმოხილვა	ვ. კუნიასი.
მხატვრობა და ქანდაკება	ი. ნიკოლაძე.		
ისტორია	ს. კაკაბაძე.		

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ლორთქიფანიძე

პირველ ნომრიდან დაიწყო ბეჭედა „როსტომიანისა“ (ფირდუსის შჰჰანესი) და შ. დადიანის დრამის „მღვიმეში“.

რედაქცია. თფილისი, სათავად-აზნაურო ქარვასლა. თეატრის გვერდზე ტელეფონი № 862. ხელის მოწერა მიიღება აგრეთვე თეატრის კასაში; წერა-კითხვის გამოკრედილებელ საზოგადოებაში; გოლოვინის პროსპექტზე ი. კენაძის წიგნის მაღაზიაში „Новая Речъ“.

Address: Тифлиса, Дворцовая, д. Мюллерова, рядом с театром. Редакция „Цховრები და ჯგონებისა“ რედაქცია ღანა № 10-3 ს.

განათლება

(წელიწადი მეოთხე)

I

ი ა ნ ვ ა რ ი

1911 წ.

ჟურნალი წლიურად ღირს 3 მან.
 ნახევარი წლით . . . 2 მან.
 სახალხო სკოლების მასწავლებლებს
 ჟურნალი დაეთმობათ წლიურად
ორ მანეთად.

ცალკე ნომ-
 რის ფასი
 30 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** წერა-
 კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში" და
 „ნაქადულის“ რედაქციაში. წერილები და
 ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ად-
 რესით: **Тифлисъ. Дворянская Грузинская**
Гимназія. Л. Г. Боцвадзе.

რედაქციისაგან

მეოთხე წელიწადია, რაც უგვედ-
 ქით ქართულ ენაზედ სამეცნიერო-
 პედაგოგიურის და სალიტერატურო
 ჟურნალის გამოცემას. წარსულს სამს
 წელიწადს ეკლიანი გზა შეხვდა ჩვენს
 ჟურნალს, მაგრამ მისი არსებობა არ
 მოგვისპია იმ იმედით, რომ, ადრე
 თუ გვიან, ჩვენი საზოგადოება, ოჯა-
 ხი და მასწავლებლები განიმსკვალე-
 ბიან იმ აზრით, რომ სირცხვილია
 იმ ერისათვის, რომელსაც საუკუნო-
 ვების განმავლობაში დიდებული კუ-
 ლტურა შეუქმნია, იკვებებოდეს უც-
 ხო ენაზედ მიწოდებულის სხვისი
 ნასუფრალით და არ თქრობდეს

საუკეთესო მომავლისათვის. ერთს
 საშუალებას ამ მხრით მწერლობა
 შეადგენს და დიდ დასაკლისად უნ-
 და მიგვაჩნდეს, რომ დღემდის ერთი
 სერიოზული თეიური ჟურნალი არ
 მოგვეპოება. არ შეიძლება ვთქვათ,
 რომ ძალა არ შეგვეწევდეს. ძალა
 არის, მაგრამ ეს ძალა დაქსაქსული
 და მიმოფანტულია; ასეთს პირობებ-
 ში კი წინსვლა ყოვლად შეუძლებე-
 ლია. „განათლების“ რედაქცია არა
 ერთხელ იწვევდა ჩვენებურს რედაქ-
 ტორ-გამომცემლებს შეერთებული-
 ყვენ და ერთად გაძლიერდნენ ამ
 სამძიმო საქმეს, მაგრამ ჩვენი ამოძა-

ხილი უყურადღებოთ რჩებოდა და დღესაც არაერთი ნიშან-წყალი შეერთებულ მუშაობისა ჩვენში არა სჩანს.

ჩვენს ჟურნალს, როგორც ზოგიერთებს ჰგონია, არ აქვს ვიწრო სპეციალური ხასიათი, რაშიაც დარწმუნდებოდნენ ჟურნალის მკითხველები. თუ ჟურნალში ცოტათ თუ ბევრად სჭარბობს პედაგოგიური ელემენტი, ამას მოითხოვს არა მარტო დღევანდელი ცხოვრება, ამას ღალატდნენ ამ შინ წლის წინადაც, როცა ჩვენში გაიხსნა ახალი სკოლები და იმდღიდანვე გახეთქებში არა ერთხელ აღნიშნავდნენ პედაგოგიური ჟურნალის აუცილებლობას ოჯახისა და მასწავლებლებისათვის, მაგრამ ეს აზრი დღემდის განუხორციელებელი რჩებოდა. საერთოდ კი ჩვენი ჟურნალი ისეთს მასალას იძლევა, რომ იშიათი მკითხველი იქნება, რომელმაც ვერ იპოვოს შიგნითი რამე, რაც მისთვის, ცოტად თუ ბევრად მაინც საინტერესო არ იყოს. ხოლო პედაგოგიური საკითხები დღევანდელს პირობებში ისეთს აუცილებელს საჭიროებას წარმოადგენს, რომ მისი გაცნობა, საქმეში გამოყენება და ცხოვრებაში სალი აზრების გატარება საჭიროა არა მარტო სპეციალისტებისათვის, არამედ ყველა მშობლებისა, საზოგადოებისა და კერძო პირთათვისაც, ვინც კი ცდილობს დაიცვას გადაგ-

ვარებისაგან ჩვენი ერის მომავალი.

წარსულ წელს „განათლების“ რედაქცია ცდილობდა პირნათლად გამოსულიყო თავისს მკითხველებთან, შეძლებისდა გვარად ასრულებდა კიდევ დანაპირებს, ხოლო მისი დაფასება ჩვენი მკითხველების საქმეა და თუ ჟურნალმა ცოტადენი უყურადღებო მკითხველებისა მაინც მიიპყრო, ჯერჯერობით ზნეობრივად დასაკმაყოფილებლად ესეც საკმარისია.

რედაქცია სიამოვნებით აღნიშნავს, რომ წარსულ წელს მცირედენ მკითხველთაგან უმეტესობას მაინც სოფლის მასწავლებლები შეადგენდნენ, რომელთაც ჟურნალი წელიწადში ორ მანეთად ეგზავნებოდათ. ჩვენი ერთი მიზანთაგანიც ეს იყო, რომ სოფლის მასწავლებლებისათვის მიგვეწოდებია ისეთი რამე, რაც გზას გაუკვლევდა მას სწავლა აღზრდის საქმეში დღევანდელს უკუღმართს პირობებში და ხელს შეუწყობდა მასწავლებლის განვითარების საქმეს.

„განათლების“ რედაქციას, რასაკვირველია, არა ჰყავს და არც ყოფილია ისეთი უხვი მეცენატი, რომლის ნივთიერი დახმარებით გაეუმჯობესებინა ჟურნალის საქმე. მაგრამ მიუხედავად მრავალი ზარალისა და ნივთიერ ხელმოკლეობისა, რაც რედაქციამ განიცადა წარსულ წლებში, დღესაც, ჩვენი ჟურნალის არ-

სებობის მეოთხე წელს, რედაქცია მაინც გულს არ იტყვის და ამ მდგომარე წელსაც ეცდება პირ-ნათლად გამოვიდეს მკითხველებთან.

რედაქცია დიდათ მოწადინებულაა ჟურნალი გააუმჯობესოს, როგორც გარეგნულად, ისე შინაარსითაც—და ტყდება ამას, სანამ უკანასკნელი ძალა და სახსარი არ უღალატებს.

დასასრულ რედაქცია უღრმეს მადლობას სწირავს თანამშრომლებს, რომელნიც უსასყიდლოთ აწვდიან ჟურნალისათვის მასალას და იმ პირთ, რომელნიც ხელს გვიწყობენ ჟურნალის გავრცელებაში. გულწრფელად

ველოცავთ ახალს წელს „განათლების“ მკითხველებს და იმ მუშაკთ, რომელთაც თავისი სიცოცხლის მიზნად ხალხის სამსახური დაუსახავს; ვისურვებთ, რომ ახალს წელს ახალი და საუკეთესო ნაყოფი მოეტანოს ჩვენის მრავალ-ტანჯულის, ღირსება ახლილის და ყოველის მხრით დაჩაგრულის ერისათვის, რაც დამოკიდებულია შინაურ. პოლიტიკის გარეშე, კულტურულ მუშაობაზე და დიდებული პოეტის ანდერძის შესრულებაზე, რომელიც გვასწავლის:

„ჩვენ უნდა ვშაბობდ ჩვენი მუბაღი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს!“

ფურციეს პედაგოგიური აზრები*)

შხლანდელ დროში რუსეთში აღორძინდა ახალი მიმართულება პედაგოგიაში, რომელსაც „თავისუფალ აღზრდას“ უწოდებენ. ამავე დროს ცხოვრება დაწინებოთ წინ აყენებს შრომის მიიწვევის და საზოგადოებრივ აღზრდის სკაითს, ამიტომ არ იქნება ინტერესს მოკლებული თუ ჩვენ გავეცნობით მე XIX საუკუნის ერთ-ერთ კამოჩინელ უტოპისტის ფურციეს—პედაგოგიურ შეხედულებებს და აქორციებს; რომლებიც არ არიან ჭკროფუნად შესწავლილი და დაფასებულნი.

სახელწოდება „ახირებული ჭეჩინოსი“ რასაკვირველია უფროსი სპატიოა, ვიდრე მხოლოდ „ახირებული“; მაგრამ ეს ახალი ეპიტეტები ვერ არის სამართლიანი ფურციეს შესახებ. ბევრ კამოჩინელ ჰარებს, რომლებიც თავიანთ

დროზე წინ არიან წასულნი, თანამედროვენი ვერ იგებენ და ვერ აფასებენ. იმათ ნათლავენ „ახირებულები“ ან ნახევრად გიჟების სხეულით; მაგრამ დროს მიმდინარეობა შდის ამ წარწერებს და აქობს მათ სხელს, ცოტათ თუ ბევრად; დამსსურებულის შარავანდედით.

რაც შეეხება ფურციეს—სიტყვა „ახირებული“ ისე მაგრად არის დაკავშირებული იმის სხელთან, რომ თითქმის მთელი საუკუნის შემდეგაც კი მაინც ხმარებაშია. ეს მით უფრო საკვირველია, რომ ფურციეს ნაწინასწარმეტყველევი ზოგი კიდევ გამართლდა; ბევრი იმისი აზრი, რომელსაც წინად შეშლილის ბოფად სთვლიდნენ, ეხლა აღიარებულია სრულ ჭეშმარიტებად; სცდილობენ კიდევ იმათ ცხოვრებაში გატარებას. დრო არის უფრო სერიოზულად და მეტი სიფრთხილით მივუძღვეთ ფურციეს შესხედულობათა სისტემას, იმახსენ კი, რაც ჩვენ აუსრულებლად მივკვანია

*) იხ. Рус. шк. 1910 წ. № 7—8.

ისე როგორც იმის თანამედროეთ შინადათ ფურციეს მთელი მოძღვრება.

ფურციე ცნობილია როგორც უტოპისტი, „ფალანსტერიის“ *) დამარცხებელი, შქადაცბეული იმ აზრების, რომელიც ესლა შიეთვისეს ზოგი სოციალისტებმა და ზოგიც ანარქისტებმა; მაგრამ ფურციე, როგორც შედგოცბე, ჭერ არავის უღაზარავია. უნდა კი ვსთქვათ, რომ შედგოციას იმის მოძღვრებაში თითქმის პირველი ადგილი უჭავია. შიეილება, რომ იმის მიერ უარყოფა, „აღზრდის სისტემის“ წარმოადგენდეს ევგლახე უფრო რაციონალურ აღზრდის სისტემას, რომელიც ესლა ბევრისგან მიდებულა. ფურციეს მოძღვრებაში ჩვენ ხშირად შეგხვდებით იმას, რასაც ჩვენ აუსრულებლად ვსთვლიდით, რაც, ჩვენის აზრით, ცხოვრების სინამდვილეს ეწინააღმდეგება, მაგრამ ამისთანა ელემენტი ხომ სხვა შედგოციურ თეორიებშიც არ იშეათათ; აი, მაგალითად, რუსო ფიქრობს: ბავშვი ისე უნდა აღიზარდოს, რომ იმან არ უნდა იცოდეს არავიერი ქვეყნახე არსებული სობოროტის შესახებო. როდესაც ემილი ხედავს ქუჩაში მოჩხუბართ, იმას ამისინათვე აშორებენ იმ ალაგს და უსსიანს, რომ მოჩხუბრები ავადმყოფნი არიანთ; როდესაც თვითონ ემილი ბრახობს, იმას მამსინათვე ღოჯინში აწვენენ, როგორც ავადმყოფს; ამითი ემილს არწმუნებენ, რომ სიბრახე—ავადმყოფობაა, რომ ქვეყნახე ბოროტები კი არა, ავადმყოფები არსებობენ. ამ ფანტასტიური თეორიის მიუხედავად რუსოს მაინც სმატიო ადგილი უჭირავს შედგოციასში, ფურციეს კი არც კი ასენებენ შედგოციას შორის. ფურციეს მოძღვრებაში არ შეიძლება მსოფლოდ ფანტასტიური ელემენტის გამოქმენა. უმთავრესი დედა-ძარ-

ღვი ფურციეს მოძღვრებაში, იმისი ვრცელი, ჭეშინიური სოფლ-მხედველობაა.

ფურციეს შედგოციის შესახებ ამას წინად დაბჭედილი იყო ერთ-ერთი ფრანგულ შედგოციურ ჟურნალში (Bevue Internationale de l'Enseignement) Hubert Bourgin-ის სუენცთყო წერილი. ფურციეს შედგოციურ იდეების განმარტებაში ჩვენ უმთავრესად ამ წერილით ვისარგებლებთ.

II

ფურციე, რუსოს მსგავსად, აღზრდის პირველ პირობად იმის ბუნებასთან დაახლოებას სთავის; მაგრამ ამ ორ მოაზრეს ეს დაახლოება სხვა და სხვა ნაირად ესმოდათ. რუსოს ჭქონდა სსხეში უპირველესს უოელის გარეგანი ბუნება, რომლის წიაღშიც უნდა გაეგლო აღზრდას; ფურციე კი ჭეკულისხმობდა თვითონ დადამანის მრავალგვარ და ცვალებად ბუნებას. და თუ ცამოქნილი უტოპისტი სოფელად ბავშვის ქალაქელზე უფრო მალა ავიწებს, ეს იმიტომ ხდება, რომ პირველი უეთარდება ბუნებრივად, იქნის მეტს ცოდნას, უფრო ჭანმითელი და განვითარებულია ცონებოთ, მინამ იმისი ტოლი ქალაქელი ბავშვი, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი მიუხედავად იმისა, რომ ექიმების ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფება. არა ბუნებრივი აღზრდა, რომელიც გამოიყვება კულტურულ ხალხთა შორის,—ამობს ფურციე სრულებით სმობს ბავშვის გონებრივს და ფიზიკურ ძალებს, ან როგორც თვითონ ფურციე ებახის—„შინაგან სიმიდრეს“ (luxu interne); ასეთი აღზრდა აქარწყლებს აგრეთვე „გარეგან სიმიდრესს“ (luxu externe) ე. ი. მიეწველობით ნყოფიერებას და ჭეკლავს ბავშვში ყოველსავე მისდაში მისწრაფებას; ის გლო გამოიყვანს გარედ ბავშვის ბუნებრივ მოწოდებას და მიდრეკილებას. ხშირად კულტურული ქვეყნების ოცი წლის ჭბბუეს არა აქვს გამოჩენული იავისი მოწოდება. დარბი ბავშვობი-

*) საცხოვრებელი და ცალკე თემების საერთო შენობათა გროვა (1500—1800) კატაგან ფურციეს სოციალისტიური სისტემით.

დანეუ ჩიუებს თავის შვილს შრომას, რომელიც ზოგჯერ სრულებით არ შეესაბამება იმას კუ- მოყვნებას. მდიდარი დედამისი შვილი კი სი- რად 30 წლამდის სრულად უსაქმურად დაი- რება. მდიდარ დედამისი შვილებმა უსათუოდ უნდა გაათავონ უნივერსიტეტი, იმ დროს, როდესაც ეს მოვალეობა სიზარად მეტად მძიმე ტვირთია მათთვის.

ბუნებრივი მოწოდების უარყოფას და მის მაგივრად „აღზრდის რომელიმე სისტემის“ დაყენებას ბევრი უბედურება მოსდევს. რაც უნდა უნაკლებოდ იყოს აღზრდის სის- ტემა, იმის ცხოვრებაში კატარბას ყოველ- თვის სამწესართა შედეგი მიჰყვება, თუ აღ- მზრდელი მხედველობაში არ აქონიებს მოწა- თვის ინდივიდუალურ თვისებებს.

აღზრდა ისეთი, როგორც ესაა არსე- ბობს, — ამბობს ფურეი, — არ შეესაბამება არამც თუ ბუნებას, სად გონიერებასაც კი. აღზრდის იმ სისტემების გარდა, რომლებიც გამოეყ- ბულნი არიან სასწავლებლებში, ოჯახი და საზოგადოება ჰქმნიან ბევრ სხვებს, რომლე- ბიც ერთი-ერთმასეთს ეწინააღმდეგებიან და სრულად უსარგებლონი არიან. ამ სისტემებს აგვირკეციებს კერძო წოდებული სეფური აღზრდა. (*„dite l'aprit du monde“*).

იმ სისტემებს შორის, რომლებიც მიდე- ბულია შექმნილია წრეში, ფურეი ასახელებს შედეგებს: „დოკუმტურს“ — რომელითაც მას- წავლებლები დარიგებას და წესებს ახვევენ თავს მოწაფეებს: „ანტარული და ანტისოცია- ლურს“ — რასაც მშობლები გადასცემენ რჩე- ვით, თუ როგორ უნდა იბრძოლონ არსებო- ბისათვის და სიმომენტით გაატარონ შვილებ- მა თავისი სიცოცხლე; „სამშობოს“ — რომე- ლიც გავრცელებულია ამხანაგ-ბავშვებს შორის და მიმართულია მშობელთა და მასწავლებელ- თა წინააღმდეგ. ყველა ეს სისტემა ცოტა- ცოტა შეთანხმდება კერძო წოდებულის მად- ლი წრის სისტემაში, რომელსაც ყველაზე

დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ უკანასკნელს ის შედეგი მოსდევს, რომ 16 წლის ემაწილი, რომელიც ის-ის არის ცხოვრებაში შედის, კიბევა მშობლების აზრების უუარაღებოთ დატოვებას, სასცილოდ იტყობს ყველა ზნეო- ბრივ კანონებს, რომლებსაც იმას უნერგავდ- ნენ, და საზოგადოდ ყველა იმას, რაც ეწი- ნაღმდეგება იმის სიმომენტისადმი მისწრაფე- ბას. უაზრობა არ არის შრომის დასაწყისა იმი- სთვის, რომ შაატანობა ბავშვს კანონების და რწმინის მთელი სისტემა, რომელიც უმეტე- ლად უარყოფილი და უუგებდებული იქნება, როგორც კი ბავშვი სისტემაზე გადის?!

ესეთი აღზრდა მოკლებულია ყოველივე სის- ტემას, თუ მას გავსინჯავთ როგორც ერთ მთლიან რასმე, და უაზრობა — თუ მივაქცევთ ყურადღებას იმის ნაწილებს. ის მიმდინარე- ბებს უზო-უგებოდ, ემორჩილება ყოველგვარ ფანტაზიას ან მთავრადანერე ინტერესებს. მხოლოდ მაშინ, როდესაც საჭიროა მოხების შექმნა და აღზრდა: ის იძინს უარყოფილ ხა- სიათს და მოუდრეკელ სისტემას. მაგ. ქალე- ბის აღზრდა მიმდინარეობს ერთხელვე გარ- ვეულ გეგმით, რომლის უმეტესი მანაია — შექმნის „ზნეობრივი მხედვები“ მამაკაცების დასაკმაყოფილებლად. ამ შემთხვევაში, რო- გორც სხვა ბევრში, აღზრდა ხელს უშართავს არსებულ პრივილეგიების და სოციალურ უთა- ნასწორობას.

III

აღზრდას, რომელზედაც ფურეი გვითო- თებს, საზოგადო კატობრიული ხასიათი აქვს; ის შეეკუება ყველა პირობებს, კროფების, კლასის და სქესის განურჩევლად.

უპირველესი მოთხოვნა იქნება ამ გვარ რა- ციონალურ აღზრდის მდგომარეობის იმაში, რომ აღზრდა ყოველთვის მიმართული უნდა იყოს ინდივიდუალურ ნიჭის განვითარებისაკენ და შეეკუებადეს მოწაფის თვისებებს. ამ პრინციპს თუ მხედველობაში ვაქონებთ, აღვა-

ღერი აღზრდა, ფურცის განმარტებით, უნდა იყოს რთული და სკაზოად ვრცელი.

რთული (сложные), ე. ი. ისეთი, რომელიც აწვითარებს ერთსა და იმავე დროს სულსა და სხეულსაც. ესაზადელ დროში, — ამბობს ფურცე, — აღზრდა ვერ ასრულებს ვერც ერთ შირობას. აღზრდის ის მეთოდები, რომლებიც ესლა კულტურულ ხალხთა შორის არიან გავრცელებულნი, ამხინჯებენ სულს და ყურადღაბს არ აქცევენ სხეულს. (ფურცის დროს — წარსულ საუკუნის 30 წლებში, ფიზიკური აღზრდა და გიმნასტიკა სრულიად უწყურადღებოთ იყო დატოვებული).

მეორეს მხრით, აღზრდა უნდა იყოს მთლიანი, ყოვლის შემცველი (integral), ე. ი. ის უნდა შეიცავდეს ვეკლავერს, რაც კი ცოტათი მიხინჯ უბა სხეულსა და სულს, ამითი ის გააუმჯობესებს და უნაკულად გახდის აღმიანის რთულ ორგანიზმს.

ასეთი აღზრდა ხელს შეეწყობდა ბავშვის სხვა და სხვა მიდრეკილობის და ნიჭის განვითარებას.

მხოლოდ ბუნებას შეულოან იყოს ძვეკა მოსილი და კეთილი მყოფელი ხელმძღვანელი აღზრდის საქმეში. ბუნება უშირველესს ყოვლისა მოითხოვს სინცოცხლეს. ამის გასამტინციებლად და გასაუმჯობესებლად აღზრდამ უნდა გაამტროს სხეული, გაამრთლოს იგი, განაყოფიროს გარკეანი გრძობანი. როგორც ფიზიკური ისე გონებრივ აღზრდის სათავეში უნდა იდგეს გიმნასტიკა. გონებრივი გიმნასტიკა მიმართული უნდა იყოს გონების სიმკვარცხლის და მოქნილობისკენ, სხვა და სხვა გვარის მუხსიერების, მსჯელობის და აზროვნების განვითარებისკენ. ასეთი აღზრდა აუსინიდა აღმიანის იმის რთულ შირთვებას, უნებუნდა საშუალებას, რომლის შემწყობითაც ის გახდებოდა საზოგადოების სასარკებლო წევრად და გაითავლისწინებდა ცხოვრების აზრს.

ამ ვრცელი და რთული შირთვების სასრულეზლად საჭირთა რი შირობა: კარგი აღმზრდელები და პედაგოგები სწავლაში ხელსაწყო ნივთები.

კეთილ განწყობილ საზოგადოებაში საუკეთესო წარმომადგენლებში უნდა მოჭვიდონ ხელი ახალთაობის აღზრდას. ამისთანა აღმიანები მოიხვეჭავენ შეგირდების მხრავ შატვიცსტემას და სიფუარულს და ამითი ხელს შეეწყობენ სწავლების წარმატებას. ისინი აღზრდის გონებას და ამავე დროს გაუფინანს იქონიებენ გრძობასუდაც. ამ რიგად მასწავლებელსა და მოსწავლეთა შორის დამუარდება აუცილებლად საჭირთა კავშირი და ერთიანებისადმი ნდობა. დასჯისა და დაჯილდოვების სისტება, როგორც მეტი რამ, განდევნილი იქნება: ის, რასაც ამ სისტემის წყალობით ცდილობდნენ მიედწათ, მოპოებული იქმნებოდა მასწავლებლისა და მოსწავლეთა შორის კარგი განწყობილებით.

მაგრამ რაც უნდა მადლა იდგეს აღმზრდელი ზნეობრივ და გონებრივ, სწავლა-აღზრდის საქმე შეუძლებელია თუ სწავლაში ხელ-საწყო კარგი ნივთები არ არის. როდესაც საქმე ბავშვების აღზრდამდის მიდის, არაყოთარმა ხარჯში არ უნდა შეაყენოს აღმზრდელი; არაფერში ნაკულლობა არ უნდა იყოს: მიდინა წიგნთსაცავები, მუხუემები, ყურხლები — ეკვლავთერი ეს მზად უნდა იყოს მოსწავლეთათვის. მომავალში ბავშვი თავისი ნიჭით და ძალით ათასჯერ გადაიხდის ამ დახანარჯს.

შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე აღზრდა, ცუდი იქნება ის თუ კარგი, ბავშვის დაბადების წუთიდან იწყობა. აკრინდინე უნდა დაიწყოს განვითარება ბავშვის ნამდვილი ბუნებისა, რომელსაც, სამწყხაროდ, რჯასური აღზრდა აკრინდინე ამხინჯებს. ბავშვის აღზრდა იმის სინცოცხლის შირველ დღიდანვე მარტო ჰიგოეური ზომებით არ უნდა იზღუდებოდეს; ამ ხანში, რასაკვირველია, ჯანმრ-

თელობაზე ზრუნვას პირველი აღავი უკავია, მაგრამ უმჯობესი თვის ბავშვისთვის, როგორც ფურიე იტყობს, სრული შესაძლებელია საზოგადოებრივი აღზრდა, არა მარტო ფიზიკურად, არამედ ფსიხურადც.

IV.

ფურიეს აზრით, პირველი აღზრდა ბავშვებს ეძლევათ თავშესაფარ—საბავშვო სახლებში („pouponiere“ — სიტყვისაგან — poupon — ჩხვილი). ეს არის საზოგადოებრივი, რომელსაც განსაკუთრებით ბავშვებისთვის აკებენ, ვრცელი და კარგად მოწყობილი, სკამოდათი. ბავშვებს თავსებებენ ამ შენობის დიდრონი დარბაზებში განურჩევლად სქესისა, ხასიათის და წინმართელობის მიხედვით. დედები ან ძიძები საზრდოებურ ბავშვებს, მოვლა კი განსაკუთრებულ გამძლელებს აქვთ დავალებული. ეს გამძლელები—ბავშვების მოვარული, მათი გულ შემატევიან, შრომის მოყვარული და კაცები არიან, იმათ აქვთ სპეციალური მომზადება და თავის შრომაში კარგს განსამრჯელოს იღებენ. თავშესაფარის ბავშვებს უკვე დღე ქვიში სინჯავს.

ეს თავშესაფარი საზოგადოებრივად დაწესებულებაა, რომლის კარი დათავსებულია, როგორც მდიდრის, ისე ღარიბ ბავშვებისათვის. აღზრდას ექვემდებარებიან იწყებენ. აღზრდელები ხმარობენ უკვე გარე სამუშაოს, რომ ამ ხნიდან დაწყებული ბავშვებს განუყოფელი გარეგანი გრძობიანი, მიახლოებით მარჯვენა და მარცხენა ხელის ერთნაირად ხმარებას და სხ.

თუ ხუთი გრძობიანი, თვითიველი მათგანის განსაკუთრებულად მამართლებენ სხვა და სხვა საშუალებებს, შეიძლება შეიქმნას ისეთი ბავშვი, რომელსაც ხუთივე გრძობა ჰქონდა მთლიანად ექნება განუყოფელი. ამისთანა, ფურიეს სიტყვით, „ჭარბონიული ბავშვი“, აღზრდილი საზოგადოების და არა ოჯახის მიერ, სამ წელიწადში უფრო სწავიან—და ხელობისთვის

გამოსადეგარი იქნება, ვიდრე ეხლანდელი კულტურული საზოგადოების ათი წლის ბავშვი, რომელსაც ხელობის და ხელოვნებისადმი ჩვეულებრივ მხოლოდ ზიზღის უნერგავენ.

პირველი აღზრდელები ქალები იქნებიან, რომლებშიც უნდა განავითარონ ბავშვის გარეგანი გრძობიანი, გაუმჯობესონ და გადაქციონ ისინი მომავალ სულიერ ცხოვრების შესაფერად არადაც, ეს პირველი აღზრდელები თავითონ უნდა იყვნენ უკველ მხრივ განვითარებული, ადრეველი სხვა და სხვა საშუალებებით ცოდნით, ბუნებისადაც უნდა დაეხმარებოდნენ იყვნენ სწავლას და ჰქონდეთ პედაგოგიური მოღვაწეობისადმი მოწოდება. ფურიე ამ აღზრდელებს უტოლებს „გამძლელებს“ სახელწოდებას, რადგანაც ფრანკულად სიტყვა „bonne“ ნიშნავს „კეთილს“, ესეთი კეთილნი და უნაკლებნი უნდა იყვნენ აღზრდელი ქალები.

როდესაც ბავშვს 21 თვე შეუსრულდება, თავდება იმისი აღზრდის პირველი ხანა. „პაპონების“ (poupons et pouponnes) კლასიდან ის გადადის „ლუტინების“ (lutins et lutines) კლასში, ამითი იწყება აღზრდის მეორე ხანა.

ამ დროს უმთავრესად ხელობის შესწავლას ანდომებენ. ანბანის ფურიე სრულებით უარტყოფს, როგორც ბუნებისთან შეუფერებელ რასში. ბუნებაში მისცა ბავშვს ადლო, ტემოვნება, მადრეკილება ხელობისადმი. განათლებული საზოგადოების ბევრი აღზრდელის და მასწავლებლის სიტყვით—ბავშვები უკვეა ზარმაცები არიან; მაგრამ, — ამოშობს ფურიე, ეს აზრი ძალიან შემდგარია: ორი-სამი წლის ბავშვები პირიქით დიდად აქტიური არიან; სჭირთა მხოლოდ აღზრდელმა იპოვნოს გზა ამ აქტიურ თვისებისაკენ.

ბავშვს უყვარს ეველთერის გასინჯვა, შეხება, ერთი საქმიდან მეორეზე გადასვლა, უფროსების მიბძვლა; იმას მოსწონს მანქანების ხმაურობა, საზოგადოდ ისეთი საშუალო, რომ-

ღის დროსაც ხმაურობა. იმისთვის რომ ბავშვს შრომის სურვილი გაეღვიოს, სრული საჭარისა მთავრის საბავშვო სახელოსნოები, ჰატარა იარაღებით, ამის ხელს უწყობს ბავშვების სიმისარული, როდესაც ისინი მუშაობენ ერთად, თავის სუბით და თავისვე სიამოვნებისთვის. საბავშვო სახელოსნოებში დაბრკოლებული განვითარდება ბავშვის ბუნება და მოქცევა. თავის კომუნიკაციის მიხედვით იმას შეუძლიან გამოხატონ თავისი ძალ-ღონე, წინ წავიდეს, განვითარდეს, დააკმაყოფილოს ამისთან ერთად თავისი ცნობის-მოუყარება და ისამოვნონ თავის თავად. ის კარგე მორტიული იქნება სხვა ბავშვებით, რომლებიც მისცემენ მას მიმართულებას და რჩევას. პატარა ეგვიპტე მტკად ამოქმედებს იმასე უფროსი ბავშვების მიხატვის და იმათ თამაშობაში მონაწილეობის მიღების სურვილი. უფროსი ბავშვების გაგონება უსაზღვლოდ დროში დამუშავდება იმით, რომ უფროდებოდ დატოვებულ ბავშვების სასოციალურად ან საშობა, ან უსარგებლო. იმ სასოციალურებაში კა, რომელზედაც ფერად რტებობს, ბავშვები მხოლოდ ნაყოფიერ შრომის მიერე-მან, რადგანაც წინასწარი ზრუნვის წყალობით მათში განვითარებული იქნება მათი ბუნებრივი მიდრეკილება. ამ სახით განხორციელდება ერთობის აღზრდა, რომელსაც, ფერადს აზრით, ეგვიპტე სხვა ჰედატოგურ სისტემაზე მეტი კეთილი ნაყოფის მოტანა შეუძლიან.

V

როდესაც ბავშვი 4—5 წლისა გასდება, იმისი ზირველ-დაწყებით აღზრდა დასრულებული იქნება: ის გადადის „ჩერუბინების რაზმში“ (tribu des cherubins). ესაა აღარაფინ არ უკლებს მათ უფროს, აღარაფინ არ ხელმძღვანელობს; ის თავის თავს თვითონ აწვითარებს საშენებლო ან სახელოსნო კრებების საშუალებით. ხუთი წლიდან დაწყებული ის

იქნება ისეთი, როგორცაა ესაა 25 წლის აღმანი. ზირველი წლების განმავლობაში ის იქნება ჰრატკიეულ ცოდნას. ესაა გადადის თეორიულზე.

რადგანაც კატობრიობას მუხრებობისა და მრეველობის გარეშე არსებობა არ შეუძლიან, ამიტომ საჭიროა, რომ აღმანი ჯერ მიწის მომუშავე და მრეველი შეიქნეს და მერე მეცნიერი, ამიტომ ეგვიპტე უწინ მასში უნდა განვითარდეს მრეველობითი მოწოდება. მეცნიერება მხოლოდ დაძაბება იმ ნაყოფის მომტანს შრომისა, რომელსაც აღმანი გამოუღებოთ ეჭვა. თავისი ნაშრომის კასუშკობესობად ის ეძებს ცოდნას და ამ ნორმალურ მიმართულების წყალობით იქნის ვრცელ განათლებას. მხოლოდ ამ ჰრატკიეულ გამოყენების გულისთვის ბავშვი არ უცქერის მტრულად მეცნიერებს: ეგვიპტე, ეგვიპტის და ეგვიპტეობის ჰრატკიეუმი უნდა უსწროს თეორიას—მხოლოდ მაშინ მიადწესს აღზრდა თავის მისას, მსალოდ მაშინ იქნება „პრობონული“.

ეგვიპტე სწავლის ან შრომის დროს ბავშვისთვის საჭიროა სხვა და სხვაობა, მოძრაობა, ჰერა, თავისუფლება: კარგს ამინდში ბავშვებმა უნდა ბაღში, ტუეში ან მინდორში იმუშაონ. ბავშვს შრომის სურვილს გაუღვიძებს მეგობრული კავშირი მისა და მასწავლებელთან შორის; რომლებიც ბუნებისა და გონიერების მიხედვით, შეაჯარებენ ბავშვებს მეცნიერებას იმითი, რომ შეგუებენ ამ უჩანს-გნულ ბავშვების ძალას, მოთხოვნილებას და მიდრეკილებას.

ესაა ეგვიპტე ერთ-ფეროგანი აღზრდა ფერადს აღშფოთებს. ფერადს უკვირს—როგორ შეიძლება მსჯელობა იმის შესახებ თუ აღზრდის რომელი სისტემა უნდა ჩაითვალოს ეგვიპტე საუკეთესოდ; იმისი ზრით ეგვიპტე სისტემა კარგია, თუ ის შეეგუება მეცნიერდის სახილას. აღზრდის დროს საჭიროა სარგებლობა ეგვიპტე

მეთოდით, მხოლოდ აღზრდელებმა უნდა იცოდეს იმათი ხმალება, შეცვლა-გამოცვლა კარმეობის და მოწათვის ინდივიდუალურ თვისებების დაგვარად.

საჭიროა, რომ აღზრდას თან სდევდეს ბლომად „მატერიალური კართობი“ (attracti-
ons materielles). ამ გასართობებიდან, ფუ-
რიეს აზრით უმთავრესნი არიან: „ობერა“ და
„სამზარეულო“.

„ობერა“ ფურციეს წარმოდგენია, შეიცავს
ფიზიკურ და ესთეტიურ აღზრდის ელემენ-
ტებს. ესენი არიან: გიმნასტიკური და ხორე-
ოგრაფიული ვარჯიშობანი, რომლებსაც უნდა
მიემატოს სიმღერა, მუსიკა, სიმთვინია, მან-
ტლიზი, დეკლამაცია და სხვა.

რაც შეეხება სამზარეულოს, ამ უკანასკნელმა
უნდა დაეკმაყოფილოს ბავშვის ფიზიკურ მო-
ქმედების მოთხოვნილება, უნდა გაუვარჯიშოს
სულის სიმარდე, გაურკვევს შრომის უნა-
რი. სამზარეულო სავსებით დაეკმაყოფილებს
ბავშვებს ამ მხრივ, მოუტანს მათ სიამოვნე-
ბას და სსხვაგვარობას—სარგებლობას.

VI

ამ ვაჟი და ქალი 15—16 წლისანი გაზრ-
ნენ, ესენი არიან უკვე სრულიად მომზადე-
ბულნი საზოგადო საშრომად ცხოვრებისათვის.
იმთ ორთავეს აქვთ მატარი, მთელი. კარ-
გად მოყვანილი სხეული, ლამაზად განვითარ-
ებული კუნთები და გრძობიანი აქტიურ ცხო-
ვრებისათვის. ამ ხანში კაცმა და ქალმა უკვე
იციან ერთი ან ზოგჯერ რამდენიმე ხელობა,
ან არა და ისე აქვთ მომზადებული ნიადგი,
რომ შეუძლიათ მოკლე ხანში სწრაფად შეი-
სწავლონ და კარგად მოიხმარონ რომელიმე
საჭირო და სსსარგებლო ხელობა. ბავშვობი-
დან მომზადებულნი პრაქტიკული ცხოვრები-
სათვის, ახალგაზრდანი განვითარდნენ უმთავრე-
სად თვით განათლების საშუალებით, ცდის

და დაკვირვების მეხებით, თავის დროზე
მიიღეს კანათლება—გეონომიურად ე. ი. ზედ
შეტი ძალ-ღონის დაუსრფავად, ერთად ცხო-
ვრებამ განავითარა მათნი ცხოვრებისათვის სა-
ჭირო ხნებრივი თვისებანი. 15—16 წელ-
ში ისინი ათავებენ თავიანთ ინდივიდუალურ
აღზრდას, მღე იმათ საზოგადო ცხოვრების
განცობა მოჰხდებათ.

ამის ძირითადი პრინციპები, რომლებიც
წამოაყენა და განავითარა ფურციემ თავის თხ-
ზულეებში და რომელთა განხორციელებას
ის საჭიროდ სცნობდა ცხოვრების ახალი
ფორმების შექმნისათვის. აღზრდის ბუერი
ნაკლოვანება, რომლებსაც ფურციე ჰქვიფავდა,
ესლა მომარეულია, რაც უფრო მეტად ამ-
ტვიცებს გამოჩენილი უტოპისტის კრიტიკის
სამართლიანობას. ფიზიკური აღზრდის საჭი-
როება, ბავშვის მოწოდების და მადრეკილო-
ბის მსედეველობაში მიღება, ორივე სქესის
ბავშვების ერთად სწავლება,— ყველა ეს, თე-
ორიტიულად მინც, უკვე მიღებულია ელან-
დელი ჰელავოტიისაგან. საფოველოთა, უფასო
სწავლის იდეა, რომელიც სრულიად ახალი
იყო ფურციეს დროს, ესლა განხორციელებუ-
ლია კულტურულ მკვებების უმრავლესობისა-
გან. დღე დღეობით მრავლდებიან და მდიდრ-
დებიან მუხეუმები, ბიბლიოთეკები; საბავშვო
ბაღებისა და თავშესაფრების, ჰროფესიონალურ-
რი და ტენიკური სკოლების რიცხვი მატუ-
ლობს. ფურციეს პრეტგამა მატერიალურის
მსროე უფრო ადრე და ვრცლად არის განხორ-
ციელებული; ვიდრე ფურციე მოკლდა. ამის
კარდა—აზრები და შეხედულობანი, რომლებ-
საც ფურციე ჰქვდაცობდა დღე-ძარღვისებრ მიჭ-
ყება ჩვენ დროის აღზრდის მეთოდებს, თუმ-
ცა ეო ჯერ კიდევ შორს არის ის იდეალი,
რომელსეუდც ოტნიობდა დღეობული უტო-
პისტი.

სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი

ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე

(35 წლის პედაგოგიურ ასპარეზზედ მოღვაწეობის გამო)

3რიად ნაყოფიერი მასწავლებელი, ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე, დაიბადა 1851 წელს, 17 მარტს, 15 ვერსტის მანძილზე ქ. ქუთაისიდან, დედულს, ოკრიბის სოფელ მინდიგორში, რომელიც

მდებარეობს იმ ადგილის ახლოს, სადაც პატარა წყალ-წითელა დიდ წყალ-წითელას ერთვის.

მამა მისი, ბესარიონ სიმონის ძე ჭიჭინაძე, მცხოვრები სოფლის კოლევის,



ა. ბ. ჭიჭინაძე

რომელიც მდებარეობს გელათიდან სამ ვერსტზე, იყო შინა კაცი, მუშა, შრომის მოყვარე. წერა-კითხვა მან ისწავლა გელათის მონასტერში, და წიგნის კითხვა უზომოდ უყვარდა. მამის საყვარელ საკითხავ ქართულ წიგნებმა ალექსიმინდაც მოაღწიეს...

ბესარიონი ადრე, სიყმაწვილეში, გარდაიცვალა და ალექსი დედას მუსულად დარჩა...

ეს უქანასკნელი, დარეჯან მხეიძის ასული, (დღესაც ცოცხალი და მხნე) ძალიან ახალგაზრდა დაქვრივდა და ხუთის წლის შემდეგ გაჰყვა მგორი ქმარს. გიარად მლი-

ვანს, ქუთაისისავე მახლობელ სოფელ ბაკისუბანში, სადაც პატარა ალექსი ხშირად ატარებდა დროს დედასთან.

უმეტეს ნაწილად კი ალექსი იზრდებოდა ბაბუა სიმონთან და ბებიასთან მ.მ. ავალიანის ასულთან...

ისინი უზომო სიყვარულითა და აღერსით ეპყრობოდნენ შვილიშვილს, რადგან მასში ხედავდნენ ბესარიონის ერთად ერთ შვილსა და მაგიერს. ბებია ასწავლიდა მას წერა-კითხვას, უნერგავდა გულში სწავლის სიყვარულს; მოუყვებოდა—თუ როგორ გატაცებით კითხულობდა ბესარიონი წიგნებს; მოუთხრობდა ზღაპრებსა და არაკებს, რომელშიდაც სიმართლე სძლევს სიცრუეს, და მითი უნერგავდა მას გულში სათნოებას...

ბაბუა სიმონი, გაიყოლებდა რა პატარა ალექსის ეზო-გარემოსა და ახლო მამულის დასავლელად, მოუყვებოდა ალექსის კარგს ამბებს იმ პირებზე, რომელთაც უსწავლიათ და, მისი აზრით, სწავლის მეოხებით საზოგადოებაში კარგი სახელი მოუპოვებიათ...

ალექსი გულმოდგინედ უგდებდა ყურს ამ დარიგებას და ყოველი სიტყვა გულის სიღრმეს სწვდებოდა. ამნაირად მას პატარაობიდანვე ჩაენერგა გულში ნასწავლი კაცის, მასწავლებლის სიყვარული და პატივისცემა, რადგან ასეთი კაცისაგან მოელოდა შემდეგში სწავლის მიღებას...

აქ გაატარა ალექსიმ ცხრა წლამდინ. ამ ხნის განმავლობაში, გარდა ბაბუა—ბებიასთან საუბრისა, მისი საყვარელი გასართობი იყო: ახლო პატარა მდინარეში თევზაობა—კიბოობა, კვირა-უქმეობით წირვის მოსმენა, ტოლ ამხანაგებში ბურთაობა და ცეკვა თამაში...

ცხრა წლის ალექსი, ქართული წერა-კითხვის გვარიანად მკოდნე, ბაბუა სი-

მონმა და ბიძა იოსებმა*) მიიზარეს ქუთაისის გიმნაზიის მოსამზადებელ კლასის უმცროს განყოფილებაში. ბიძა იოსებს უზომოდ უყვარდა ობოლი ძმისწული, ის თუმცა მთავრობის სამსახურში იმყოფებოდა, ქუთაისის მოშორებული, მაგრამ მისს სანახავად, დასასაჩუქებლად და სწავლაში წასაქვებლად მაინც შოულობდა დროს და ხშირად ნახულობდა ხოლმე.

ალექსი სცხოვრობდა სოფელ მწვანეცხვილაში, რომელიც აკრავს ქუთაისს ჩრდილო—აღმოსავლეთით, — იქ, სადაც ცნობილი კიბულას წყარო მაშინ ერთი ორად მეტად ამოჩუჩხუხებდა და გულის სიღრმიდან თეთრ-სვეტაც ბუშტებს ამოისროდა ხოლმე... ბავშვს გიმნაზიამდინ ორ ვერსტზედ ნაკლები არ ჰქონდა გასავლელი ყოველ დღე, მაგრამ, წამოხტებოდა თუ არა ლოგინიდან, ჩიტის გალობამდინ, ხელ-პირს დაიბანდა ცივ წყაროს წყლით, ისაუზმებდა ცივი მქადით, და სასწავლებელში მისვლას მაინც ვერავინ მიასწრებდა. სასწავლებლიდან დაბრუნებული ხშირად თავისი ხელით იცხოზდა მქადს, იმზადებდა სადილ-ვახშამს, მაგრამ ეს იმას არ აღონებდა და არ უშლიდა სწავლას... ასეთია ის, ვრცაც ნიჭი და სიყვარული სწავლისა დედის უბიდან დაჰყვება.

შაბათობით გაჰქუსლავდა ბებია-ბაბუასთან და მათის აღერსით სტებებოდა; კვირა-საღამოობით ისევ ბინაზედ იყო გაჩენილი საკმაო საგზლით... მოსამზადებელ კლასში ალექსიმ ორი წელი დაჰყო. ეს ის დრო იყო, როცა მასწავლებლნი საცოდავ მოწაფეებს გაკვეთილებს გაუგებრად აზეპირებდნენ, რის გამო პირველ კლასში გადასვლისას არც ერთ მო-

*) კბილის ექიმის ვარლამ ჭიჭინაძის მამა.

წაფეს არ შეეძლო ორი სიტყვის ერთმანერობზე რუსულად შეგნებულად გადახმა. მასწავლებლები არარას ზრუნავდნენ იმის შესახებ, რომ მათი მასწავლებლები ბავშვებისათვის გასაგები ყოფილიყო... არავითარი სიბრალოლი მოსწავლეებისადმი მათ არა ჰქონდათ... სამაგიეროდ იყო გამეფებული სისასტიკე და უღვივობა... საბავშვო წიგნთსაცავი, ან რაიმე ისეთი დაწესებულება, რომელიც ბავშვებისათვის გონებრივს საზრდოს შეადგენდა, მაშინდელს გიმნაზიაში არ მოიპოვებოდა...

სწორედ ამ დროს უმცროს კლასებში დაინიშნა რუსული ენის მასწავლებლად აწ. ვანსენებელი ლიტერატორი გიორგი ეკვთიმეს ძე წერეთელი, მაშინ სულ ახალგაზრდა, რომელმაც უჩვენა მოწაფეებს გულის სიტუო: ასწავლა მათ, თუ როგორი უნდა ამხანაგობა, მშური სიყვარული. ერთურობის დახმარება... ის ისე ასწავლიდა მოწაფეებს, რომ არაფერი რჩებოდათ გაუგებარი... ის იყო შეგირდების საყვარელი მასწავლებელი, მათი სული და გული... მაგრამ, მათა საუბედუროდ, გიორგიმ მალე დაანება თავი მასწავლებლობას, რა მიზეზით, არავინ უწყის, და დასტოვა შეგირდები ობოლად...

მეორე კლასში ერთს ყოვლად საზიზღარ მასწავლებელს მოწაფეებმა ძალზე სცემეს. ისინი დაითხოვა სამოსწავლო მთავრობამ. გადარჩა მხოლოდ ალექსი სიპატარავის გამო, მხოლოდ იმავე კლასში იქმნა დატოვებული მეორე წელსაც. შემდეგ კლასებში კი არ დარჩენილა და გარემოებისა და გვარად კარგად სწავლობდა...

ასე მიმდინარეობდა ალექსისა და მისი ამხანაგების სწავლა დაბალ კლასებში. როდესაც წამოიზარდნენ და სულიერი მოთხოვნები გაუფართოვდათ, საქირო

იყო მათთვის მეტი სულიერი საზრდო... მათ ებადებოდათ სხვა და სხვა კითხვები, რომელნიც ითხოვდნენ ახსნა-განმარტებას; მომავალი ცხოვრებისათვის იყო საქირო ეკლიანი გზის გაწალდვა; აუცილებელი იყო მათთვის ერთგული ხელმძღვანელი, რომელიც მიაწვდიდა მათ სასარგებლო შინაარსიან წიგნებს, გაუმართავდა მათ ლიტერატურულ საღამოებს და განუმარტავდა მათთვის გაუგებარს ადგილებს... ასეთ და ერთად ერთ კაცად მაშინდელ ახალგაზრდობას გამოუჩნდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის გამგე, გერასიმე კალანდარიშვილი, ჩვენი სკოლებისათვის რუსული ენის სახელმძღვანელოს პირველი ავტორი... მაშინდელი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი კალანდარიშვილის მეოხებით და საქალაქე ორკლასიანი სასწავლებელი ანდრია მრეკელიშვილის გამგეობით—თვლებოდნენ საუკეთესო სასწავლებლებად, სადაც ყმაწვილები კი არ ჩლუნდებოდნენ გონებით, არამედ იძენდნენ ცოდნას დედაენის საშუალებით და ვითარდებოდნენ სრულიად ბუნებრივად. ამიტომ გიმნაზიის მოწაფეები, რომელნიც მოკლებულნი იყვნენ დედაენის სწავლას, სხვა საგნების დედაენაზე ახსნას, ამათ შენატროდნენ...

სასულიერო სასწავლებლის მოწაფეებმა კალანდარიშვილის ხელში, კურსის გათავებისას, ისე საფუძვლიანად იცოდნენ ყოველი გავლილი საგანი, განსაკუთრებით რუსული ენა, რომ ისინი თავისი ცოდნა-განვითარებით აკვირვებდნენ გიმნაზიის მასწავლებელთ გიმნაზიაში ეგზამენის დაქერის დროს. გიმნაზიის მოწაფენი შურის თვლით შესცქეროდნენ მათ და ნატრობდნენ გერასიმე კალანდარიშვილთან დაახლოვებას, მისი ხელმძღვანელობის ქვეშ ყოფნას. მათ ეს ნატვრა არ

გაუტრუვედათ: პატივცემულმა პედაგოგმა მართლა დაიხლოვა ისინი, და შეიქმნა მათი ხელმძღვანელი, მხოლოდ ფარულად, რადგან გიმნაზიის საქმეებში ჩარევა მას არ შეეძლო... იწვევდა თავისთან მოზრდილ გიმნაზიელთ და უმართავდა მათ ლიტერატურულ საღამოებს, როგორც ქართულს, ისე რუსულ ენაზე... ვინც ამ საღამოებს დასწრებია და მათით დამტკბარა, მისი კეთილ ხსოვნიდან არასოდეს არ ამოიშლება ბრწყინვალე სახე გერასიმე კალანდარიშვილისა...

გიმნაზია დაასრულეს ერთად-ალექსიმ, გიორგი ზდანოვიჩმა, დავით არჩილის ძე ლორთქიფანიძემ, ალ. შირ.—ძე კუონიამ, ნესტორ თავდგირიძემ და სხვებმა, რომელნიც გაემგზავრენ მაღალი სწავლის მიხედვად რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში. ალექსი წავიდა მოსკოვს და შევიდა იურიდიულ ფაკულტეტზე უნებლიეთ, რადგან ბერძნული ენის უკოდინარობა ზელს უშლიდა ფილოლოგიურ ფაკულტეტზე შესულიყო...

ამ დროს რუსეთში დიდი გავლენა აქონდა მოპოვებული სამოციანი წლების მოწინავე ლიტერატურას. ჩვენი სტუდენტობაც ამ გავლენის ქვეშ გაიმსქვალა კეთილი გრძნობებით, აღიქურვა საუკეთესო მიმართულებით; შესდგა ჯგუფი, რომელსაც შეადგენდნენ: ალექსი, დ. ა. ლორთქიფანიძე, ვ. რ. ყიფიანი, ნ. ა. თავდგირიძე, დ. ნ. ჩხეიძე, ა. მ. კუონია და სხვანი, რომელმაც გადასწყვიტა კურსის დასრულებისას დაბრუნება სამშობლოში და ახალი, საუკეთესო პროგრამით გახსნა კერძო გიმნაზიისა, რომელშიაც დედა-ენას, როგორც მტკიცე საფუძველს ყოველგვარი სწავლისა და ცოდნისას, უმთავრესი ადგილი ექნებოდა დაკავებული... ალექსის თავიდანვე გადაწყვეტილი

ქონდა მისწავლებლობა... დაბრუნდა თუ არა სამშობლოში, მაშინვე შეუდგა ქუთაისში კერძო სასწავლებლის გახსნის საქმეს. იმ დროს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველად იყო ნევეროვი... ოლქის საბჭომ დიდის ეკვით შეხედა ალექსის უშუამდგომლობას სასწავლებლის გახსნის შესახებ: „როგორ?“ ამბობდა საბჭო: „კაცმა მაღალი განათლება მიიღო და ახლა კერძო მასწავლებლობაზე ხურდავდება? ალბად აქ ფარული რამ მიხანი იმარხებო!“ მაგრამ განსვენებულმა ბესარიონ ლევანის ძე დოლობერიძემ, რომელიც იმ დროს ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორად იყო, დაარწმუნა საბჭო, რომ აქ არავითარი ფარული მიხანი არ არის, არამედ სიყვარული მიხანი არ არის, არამედ სიყვარული პატიოსანის შრომისა, ხალხის სამსახური განათლების ასპარეზზე. ამის შემდეგ ალექსიმ მიიღო სკოლის გახსნის ნებართვა, რომელიც უკვე გახსნა 1875 წელს ქუთაისში, მესხეთის ქუჩაზე და იწყო მუშაობა. მას ქონდა განზრახვა დაეწყო სულ თავიდან და თანდათანობით შეექმნა კერძო, სრული გიმნაზია. მასთან ერთად განიძრახა შრომა შეეცარიოდან ახლად დაბრუნებულმა, ივანე სიმონის ძე მესხმა (სერგეი მესხის ძმა), მაგრამ ნება არ დართეს, რადგან შეეცარია მთავრობას დიდ საფრთხელ ეჩვენებოდა და იქიდან მოსულიც—ქვეყნის დამტკიცედ. ასევე უნდოდა ალექსისთან შრომა დავით ბეჟანის ძე ჩხეიძეს, *) და არც მას მიეცა ნება. მესამე ახალგაზრდას, ვასილ როსტომის ძე ყიფიანს **), სახელმწიფო ხარჯით სწავლა დამთავრებულს,

*) უნივერსიტეტში კურს დამთავრებულს...

***) „სამეგრელოს მთავარის, ლევან დადიანის“ ავტორი.

რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა ალექსის ამხანაგობა, თავის გამოსყიდვის ნებაც კი არ მისცეს...

1876 წლის პირველ ენკენისთვისათვის სკოლა გადატანილ იქნა არქიერის ქუჩაზედ, ჩარკვიანის სახლში, წითელი ხიდის ზემოდ, სადაც თავი მოიყარეს საშობო და ათამდე ბავშვებმა... თავიდანვე სკოლაში საგნებს ასწავლიდნენ დედა-ენის საშუალებით, ხოლო რუსულ ენას, როგორც საგანს, ყოველ დღე ჰქონდა დათმობილი თითო საათი განყოფილებაში.

აქ იყვნენ მასწავლებლებად მოწვეულნი მაშინდელი ქუთაისის საუკეთესო პირველ დაწყებითი მასწავლებელნი: ილარიონ ანტონის ძე მიქელაძე, ძმანი მატარაძეები, სპირიდონი და ილარიონი და გიორგი ხუციშვილი, რომელიც შემდეგ მღვდლად ეკურთხა... ილარიონ მიქელაძე, ოთხის წლის განმავლობაში ერდგულად და მუყაითად ემსახურებოდა სკოლის საქმეს, სცხოვრობდა ცოლ-შვილით ალექსისთან და განაგებდა სკოლის პანსიონს...

აქ სწავლის ქირა იყო წელიწადში 40 მანეთი, მაშინდელი შეხედულობით დიდი ფასი, რადგან გიმნაზიაში თორმეტ მანეთზე მეტს არ ახდევინებდნენ წელიწადში, მაგრამ ისე კარგად მიდიოდა სწავლების საქმე, რომ, არა თუ ქუთაისის და ახლო მაზრებისა, ყმაწვილები ქართლ-კახეთიდანაც კი იყვნენ, ღარიბი მოსწავლეები ისე თავისუფლდებოდნენ სწავლის ქირისა-საგან, როგორც მთავრობის მასწავლებელში. ამ დროს უკვე სკოლა იყო ორ კლასიანი. პირველი კლასი შესდგებოდა სამის განყოფილებისაგან, ხოლო მეორე კლასი—პირველი პროფინაზიული კლასისაგან, რომელშიდაც ასწავლიდნენ სხვათა შორის—ლათინურ ენას, სამშობლოს

აღწერას, გეოგრაფიას, ბუნების მეტყველებას, არითმეტიკას, გეომეტრიას...

რუსული ენის სწავლება აქ იმდენად ბუნებრივი იყო, რომ ქართულად მასწავლებლის მიერ მოყოლილ საღმრთო ისტორიის მოთხრობებს მოსწავლეები ადვილად და გაუჭირვებლად გადასცემდნენ წმინდა გრამატიკულის ენით რუსულად...

ქართულ ენაში ასრულებდნენ „ბუნების კარს“, გადიოდნენ სიტყვის ნაწილებს და მათ მიმოხრას, არჩევდნენ რთულ წინადადებებს; იგებდნენ უმთავრეს შემთხვევებს და ეცნობოდნენ უმთავრეს პირთ ქართულ ისტორიიდან; კითხულობდნენ მხატვრულ ნაწარმოებთ... დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული ქატვას, წერას, გალობასა და გიმნასტიკას... რუსული წერა-კითხვა იწყებოდა საშუალო განყოფილებაში, ლექსიური გაცვეთილები-კი წლის მეორე ნახევარში. რამდენად წარმატებით მიდიოდა ალექსის ხელში სწავლა, ჩანდა იქიდან, რომ ხშირად მშობლები თავის შვილებს თავს ანებებინებდნენ დროებით გიმნაზიაში სწავლას და მოჰყავდათ ალექსისთან; ხოლო ალექსის სკოლიდან გიმნაზიაში შესულები დაუბრკოლებლად სწავლობდნენ... 1879 წელს იანოვსკიმ ინახულა სკოლა, (მზარუნველმა ნევეროვს შემდეგ) და ისე მოეწონა სწავლის წარმატება, რომ გამოთხოვებისას ბავშვები დაჰკოცნა; დიდ ყმაწვილებს, რომელთაც დრო ჰქონდა დაკარგული გიმნაზიაში შესვლისათვის, ნება მისცა... ალექსის დიდი მადლობა გამოუცხადა... გამოჰკითხა ვინაობა და თანაც ის, თუ სად დაამთავრა კურსი, ან რომელ ფაქულტეტზე?.. როდესაც გაიგო, რომ ალექსი იურისტი იყო, გაკვირვებით კითხა: „რად გამოიცვალეთ პროფესია? განა იურის-

ტობა უფრო შემოსავლიანი ხელობა არ არისო?*

— „ეს მართალია, მაგრამ მასწავლებლობა უფრო პატიოსანი და ნაყოფიერი იაო!“ თამამად მიუგო ალექსიმე...

თვით ალექსი თავის სკოლაში ასწავლიდა რუსულ ენას, ლათინურს, სამშობლოს აღწერას, საზოგადო გეოგრაფიას და ბუნების მეტყველებას... რადენად საყვარელი იყო ალექსი მოწაფეებისა, სწანს იქიდან, რომ სასულიერო სასწავლებელში ის ასწავლიდა ლათინურ ენას. სადაც მასწავლებლობდა 1½ წელიწადს, და, როცა იქ მასწავლებლობისათვის — სამღვდლოების მიერ აუტანელის რეჟიმის შექმნის გამო — იძულებული შეიქმნა თავი დაენებებია; უღვაწე-ამწვანებული მოწაფეები თვალში ცრემლს ვერ იმაგრებდნენ, იმ დროს, როდესაც სხვა მასწავლებელნი დასანახადაც კი ეჯავრებოდათ...

ჯერ კიდევ ალექსის სტუდენტობის დროს ქუთათურ სტუდენტთა აზრი და სურვილი იყო, რომ ქუთაისში გახსნილიყო წიგნთსაცავი. ამ სურვილის განხორციელება იკისრა იურისტმა, ანტონ ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძემ, ხოლო აურაცხელი შემოწირულება წიგნებისა მოვიდა სტუდენტთაგან. ამნაირად ქუთაისში დაარსდა წიგნსაცავი ანტონ ლორთქიფანიძის პასუხის მგებლობით. გარდა ამისა ანტონი იყო დიდი მოყვარული თეატრის საქმისა, რის შესახებ ქაჰანებაც კი არ იყო ქუთაისში. თუმცაღა განათლებული პირები ამ დროს ქუთაისში ბევრი იყვნენ, (1874 — 75 წ.) საქმე ვერაფერი დაეწყოთ. იმათი შეჯგუფება და პირველი საქმის გაჩენა ალექსისა და ანტონს ეკუთვნოდათ... კარგმა ახალგაზრდამ, საუკეთესოდ განათლებულმა,

ყოველი ღირსებით უზვად დაჯილდოვებულმა ალექსიმ პირველიდანვე მიიპყრო ქუთაისის ინტელიგენციის ყურადღება: და, აი, მოკლე ხანში ქუთაისის ელიტის სცენის მოწყობა, საუკეთესო პიესების თარგმნა და სცენაზე დადგმა... თვით ალექსის ეკუთნის გოგოლის „რევიზორის“ და ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილის“ თარგმანი, აგრეთვე სხვა წერილი პიესებისა... თეატრის დაარსებას მიზნად ჰქონდა პირველად ის, რომ თეატრი გამხდარიყო ხალხის ცხოვრების ქემშარტ სარკედ, მისი ზნეობის ამბოღებლად, მეორედ ის, რომ თეატრი გამხდარიყო სკოლად იმ დროს დევნილი სამშობლო ენისა...

ქართულ სცენაზე დადგმულმა „რევიზორმა“ კალმით აუწერელი სიხარული და აღფრთოვანება გამოიწვია საზოგადოებაში...

სასცენო მოღვაწეობას შეუდგენ: ა. ნ. ლორთქიფანიძე, ე. ი. იოსელიანი, ალექსანდრე და სიმონ გამრეკელოვები, ბესარიონ ლოსაბერიძე, ვ. დ. აბაშიძე, ა. ქურციკიძე, ზ. ჭეიშვილი, მოხელე ვინმე ბარხუდარიანიცი; ქალთაგან: ა. ი. ნიკოლაძე, მარიამ და ოლღა ხელთუფლიშვილები, ანატასია და სოფიო — ბაქრაძეები, ა. ს. მესხი, მაკრინე ჩიკვაძისა, ეფ. კლდიაჰვილი და სხვ. ამნაირად ქუთაისში შესდგა თეატრის წრე, რომელმაც იმოდენად მიიზიდა საზოგადოება, რომ თითონაც გაიჩინა ცოტაოდენი ნივთიერი წყარო. ქუთაისის სცენამ გაწვრთნა და მიუძღვნა ტფილისის თეატრს დღეს ქართული სცენის დამაშვენებელნი: — ვასილ (ვასო) აბაშიძე და კონსტანტინე (კოტე) სიმონის ძე მესხი. უნდა გავიხსენოთ, რომ ვასო აბაშიძე, გიმნაზიის მიტოვების შემდეგ, შეეფარა ალექსის მისი ძმის რეჟე-

ტიტორის სახით. ალექსიმ აღმოაჩინა მასში სასკენო ნიჭი და მიუთითა მას სცენისაკენ. გაიგო ეს ვასოს მამამ, სოფლის ძველმა აზნაურმა, რომელსაც შვილი ჩინოვნიკად უნდოდა; მიუბტა ალექსის და მადლობის მაგიერ ბევრი ლანძღავნიქმა მიანიც თავისი ნაყოფი მოიტანა, და ვასო საუკუნოდ დარჩა სცენაზედ, გადიქვა მის გვირგვინად...

ქუთაისის ახალგაზრდობამაც თავისუფლად ამოისუნთქა: გაუჩნდა მას წიგნსაცავი მრავალის წიგნებით, თეატრი და ხელმძღვანელი ალექსისა და მის თანამოღვაწეთა სახით... აღარ იყო გერასიმე კალანდარიშვილი, მაგრამ მისი მიმდევრები ერთი ორად გამრავლდნენ...

1875 წლიდან ალექსი გაუბდა ქართულ ყოველდღიურ გაზეთ „დროებას“ თანამშრომლად და უგზავნიდა წერილებს ქუთაისის კირ-ვარაზზე; ხოლო 1880 წელს ის შეიქმნა ერთი დამაარსებელთაგანი ქუთაისის გაზეთ „შრომისა“ და მისი მუდმივი თანამშრომელი...

კერძო სკოლა შეინახა ალექსიმ ოთხი წელი. ამ ხნის განმავლობაში მან გამოუცვალა სკოლას ბინა რამოდენჯერმე, ვიდრე სკოლის შესაფერადი ადგილს მოსძებნოდა: უკანასკნელად დაბინავა სკოლა ნიკოლოზ ქორქაშვილის მეგვიდრეთა სახლში, ივანოვის ქუჩაზედ. ეს ადგილი სწორედ რომ ნანატრი იყო სკოლისათვის: დიდი ოდა, რვა, თუ ცხრა თვალი, ნათელი ოთახებით, დიდებული ეზო საბურთაო, სავარჯიშო, იქა-აქ კაკლის ხეებითა და სუნნელოვანი ცაცხვებით დაჩრდილოელი, გვერდზე ბაღი, ხეილოებით გადაჭარბებული... აქ ისე მოაწყო ალექსიმ სკოლა, რომ ვერც ერთი მთავრობის სასწავლებელი ქუთაისში ვერ დიკვეხნიდა მასთან ვერც სკოლის მეტ-

ლით და ვერც გიმნასტიკური სავარჯიშოებით... ყოველ გაკვეთილს შემდეგ გავარდებოდა ბურთი, მხოლოდ დიდი დასვენებისას კი არა... ალექსის ძლიერ უყვარდა ყმაწვილებში გარევა და თამაში: „ჩვენებური ბურთაობა იპყრობს ყოველგვარ გიმნასტიკურ ვარჯიშობას და საუკეთესოდ აეთარებს აღმზარდის სხეულსა“ იტყოდა ხოლმე ალექსი.

დიდი დასვენების დროს, რომელიც გრძელდებოდა ნახევარი საათი, დაიწყებოდა გიმნასტიკური ვარჯიშობა: თურგში ღვომა, თუ ტრაპეციოზე, ასაყოლ ბაწრებზე, ჩარღზე და პარალელურ ძელებზე თამაში...

მაგრამ სკოლის ასე კარგად მოწყობამ მოსპო ალექსის ნივთიერი მდგომარეობა, ჩასვა ის კისრამდინ ვალში. ყმაწვილთა მშობლებს სანახევროდ სწავლის ქარა: არ შემოქონდათ და ალექსის მხოლოდ მაღლობით და დაპირებით აკმაყოფილებდნენ. სკოლას კი უსახსრობით სული ხდებოდა... ამ დროს, ე. ი. 1880 წელს ქუთაისში დაარსდა ალექსანდრეს სახელობის სახანაურო სასწავლებელი. ალექსი, როგორც გამოცდილი და სკოლის საქმის კარგად მცოდნე, მიწვეულ იქმნა ამ სასწავლებლის ინსპექტორად. მან კერძო სკოლა დახურა, და თავისი რამოდენიმე შეგირდით სახანაურო სასწავლებელში გადავიდა... ამ ნაირად ალექსის პირველი იმედი, რომ თავისი სკოლა თანდათან გაეგანერებინა, გაედიდებინა და სრულ გიმნაზიად გადაექცია, არ გაუმართლდა, ხოლო ცოტაოდენი ნუგეში და კმაყოფილება მოიპოვა იმაში, რომ ახლად გახსნილი სახანაურო სასწავლებელი შეიქმნა ასე. რთ ისე, ვაგრძელება მისი სკოლისა იმავე გეგმით, რა გეგმაც მას წინად ჰქონდა შემუშავებული თავი-

სი სკოლისათვის... შვილის წლის განმავლობაში ალექსი დაულაღავი დარაჯი იყო სააზნაურო სასწავლებლის კეთილდღეობისა: დაიწყო 1—2 განყოფილებით და აიყვანა 4 პროგიმნაზიულ კლასამდინ. ამ ხნის განმავლობაში აუარებელ ახალგაზრდას გაუთბო გული ნამდვილ ადამიანურ გრძნობათა გავლევებით; ბევრი გამოუცდელი მსწავლებელი გაიწვრინა და გავითარდა მის ხელში... ალექსის ყოფილი მოწაფეები, ეხლა ქალარა შერთულნი, ღღესაც ტკბილის მადლობით იგონებენ მას...

1880 წელს, შემოდგომამხედ, მზარუნველ იანოვსკის წინადადებით გაიმართა ქუთაისის გუბერნიის სახალხო მსწავლებელთა კრება ქუთაისში, სადაც შეიკრიბა ასამდინ მსწავლებელი: ამ კრების მიზანი იყო სამაგალითო გაკვეთილების მოსმენა და სახალხო სკოლებისათვის პროგრამის შედგენა. კრებას ხელმძღვანელობდა სახალხო სკოლების დირექტორი მარსოვი. ალექსი იქმნა მიწვეული სამაგალითო გაკვეთილების მისაცემად, რაც უნაკლულად შესარულა. შემდეგ აირჩიეს სამი კომისია: საღმრთო სჯულის, რუსულისა, ქართულის და სამშობლოს აღწერის პროგრამების შესამუშავებლად.

ალექსი დაინიშნა თავმჯდომარედ მესამე კომისიაში, რომელმაც შეიმუშავა გეგმა, რომლითაც ერთი კლასი იქმნებოდა ოთხი განყოფილებით, ხოლო სავსების სწავლება ყველა განყოფილებებში ქართულ ენაზედ. ქართული ენა აღიარებულ იქმნა უმთავრეს საგნად, ხოლო რუსული ენისათვის დაინიშნა ყოველ განყოფილებაში, გარდა პირველისა, თითო გაკვეთილი ღღეში... პროგრამებისა და საზოგადოთ გეგმის განხილვის დროს კრების დამხმარე ხელმძღვანელად იქმნა გამოგ-

ზანელი გორის სემინარიის დირექტორი სემიონოვი.

მარსოვი და სემიონოვი პრინციპიალურად ყველაფრის თანახმანი იყვნენ და გადაწყვეტილება წარუდგინეს მზრუნველს. უკანასკნელმა ეს არ იყაბულა და 1881 წელს გამოსცა თავისი გეგმა. რამოდენიმე წელს შემდეგ ეს უკანასკნელიც უკუგდებულ იქმნა, ისევ ძველებურად აირია მონასტერი. ღღედა ენა სრულიად გამოძევებულ იქმნა სკოლებიდან და გამეფდა „მუნჯური მეთოდი.“ 1886 წელს ალექსი გადაყვანილ იქმნა ტფილისის სააზნაურო სასწავლებლის ინსპექტორად. აქ დაჰყო რვა წელი და ისევ ისევ დაულაღავის მხნობით მოღვაწეობდა... რომ იტყვიან: „კარგ ვაჟაკს მტერიც კი ღღე პატივს სცემსო“, სწორედ ალექსიზედ ასრულდა: იანოვსკი პატივისცემით ეპყრობოდა ალექსის, და, როდესაც ეს უკანასკნელი ისე მოუძღოურდა აუტანელი შრომით, რომ ყოველ ღღე სასწავლებელში მაცადინობა მისთვის შეუძლებელი ხდებოდა, გწვეულ იქმნა იგი თერჯის ოლქში სახალხო სკოლების ინსპექტორად...

რავდენად თავდადებული იყო ალექსი თავისი მოწაფეებისათვის, და რავდენად თავდავიწყებით ემსახურებოდა თავის დანიშნულებას, აშკარად სჩანს ერთი მაგალითიდან: როცა თბილისში იყო ინსპექტორად, ღღე, გვიან, საოცარი მიწის ძვრა მოხდა. პანსიონერი მოწაფეები დასძინებელ ოთახში იყვნენ მოსვენებულნი... ალექსი თავის ოთახში მაგიდას უჯდა და მეცადინობდა, ცოლ-შვილი კი იქვე, მეორე ოთახში ჰყავდა დაბინავებული... დაიძრა ძალზედ სახლი თუარა, ალექსი წამოიჭრა ხელივით, გავლოჯა ოთახის კარები და გაიჭრა პირდაპირ

მოწაფეთა სასვენ ოთახისაკენ; შევარდა შიგ, და ნახა ყველა მოწაფეები ფეხზედ დამდგარნი, არეულ—აჩოჩქოლებულნი, რომელნიც ლამობდენ ფანჯრებიდან გადაცვენას... ალექსის დანახვაზედ და მის ნუგეშის გაგონებაზედ ყველანი დამშვიდდენ, და ალექსი მათ არ მოშორებია, სანამ არ დალაგდენ ისევ. დაბრუნდა რა თავის ოთახში, მან დაინახა ცოლი, შეშინებული, პატარა ქალ-ვაჟით ხელში. ალექსი მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს და მიხვდა, რომ საზრუნავნი უფრო ახლოს ჰყოლია... მოიხადა ცოლთან ბოდიში და უთხრა: „სწორედ აღარ მახსოვდით; საშინელს წუთებში მოწაფეების მეტი აღარავინ არსებობდა ჩემს აზრსა და გონებაშიო“!..

თერგის ოლქში ინსპექტორობის დროს ალექსის დაევალა დირექტორ გრუშევსკის მიერ შემოწმება იმისა, თუ რომელი მეთოდით უფრო ნაყოფიერად მიდის რუსული ენის, სწავლება არარუსთა სკოლებში. ალექსიმ დაიარა ის სკოლები, სადაც „მუნჯური“. მეთოდი ბატონობდა, და ის სკოლებიც, სადაც რუსული ენას ასწავლიდენ არა რუს-ბავშვებს დედ-ენის საშუალებით. შემდეგ წარადგინა, სადაც ჯერ იყო, თავისი აზრი და რწმენა. — გრუშევსკი მტკიცედ დაადა ამაზრს და რწმენას და თავის დირექტორში (თერგის ოლქში) მოახდინა განკარგულება არა რუსთათვის რუსული ენის სამშობლო ენის საშუალებით სწავლებისა; ხოლო მუნჯური მეთოდს, თავის ბაასში ოინბაზობა უწოდა...

რამდენისამე წლის შემდეგ თერგის ოლქიდან ალექსი განწესებულ იქნა ერევნის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორად... თუ რა სიყვარული და პატრივისცემა დიმიხაზურა ალექსიმ ორსავე

ადგილას, ანას მოწმობენ გამოთხოვების დღენი. აღმოჩნდა, რომ არსად რევიზიის დროს არ ყოფილა მთავალითი, რომ გარეშე კეთილი რჩევა-დარიგებისა მასწავლებელს მიეღოს მისგან შეურაცხყოფა... ის მიდიოდა ყოველგან, არა, როგორც მკაცრი რევიზორი, რომელსაც სწყურია მხოლოდ გამოპქქქოს ცუდი და მავნებელი რამ, არამედ ისე, როგორც სწავლა-გამოცდილებით უმეტესათ აღქურვილი მასწავლებელი, რომელიც მზად იყო ეჩვენებინა საუკეთესო მთავალითი სწავლები-სა... გარდა ამისა თავდადებული იყო მასწავლებლისა და მასწავლებლის ნივთიერად კეთილ ნიადაგზედ დაყენებისათვის; მაგრამ აქ უკეთესია — მოვიყვანოთ თვით სოფლის მასწავლებლის სიტყვები, წარმოთქმული ერევანში გამოთხოვების დღეს დამსწრე საზოგადოების წინაშე:

„ბატონო დირექტორო, ალექსი, ბესარიონის ძეგ!

აღაგა დრო ჩვენი განმარებისა! წინანდელი ოფიციალური დამოკიდებულება ჩვენი თქვენთან ამოერიდგან ადარ არსებობს! ჩვენ შევგროვდით თქვენს გარეშე იმისათვის, რომ გითხნათ უკანასკნელი სიტყვა. ეს სიტყვა არ იქმნება ჩვენი თქვენდამი თხოვნა — მუდარა, არამედ გამოჰსატყოს გულთადა გრძნობებს, რომელითაც ვართ ადვილინი ამ მძიმე წუთებში! ჩვენი წმინდა მოვალეობა — აყუს სნათ პატრივისცემულ დამსწრეთ თქვენი ჩვენდამი განწყობილება, არა, როგორც უფროსის უმცროსთადმი, არამედ ნამდვილ მეტობრული, რაც თქვენ სრულად გარჩევს სხვებოსაგან, რაც თქვენი და მხოლოდ თქვენი კუთვნილება!.. მოგანება ამ სუცხოვო განწყობილების უდრმესად ჩაბოქდა ჩვენს სულსა და გულში, სადაც დარჩება იგი საუკუნოდ კეთილ სჯგძნობლად. თქვენ იყავით ჩვენი დადი მასწავლებელი, სათანო, ჩვეთა ადამიან-

ნერ დირსებათა ამზადებელი, ჩვენი გონიერი თავმოყვარეობის დირსეულად დამთავსებელი! ჩვენ, გლეხთა შვილნი, გამოვედით რა სკოლიდან, ასე მალე ვერ შევიქნებოდით ის, რასაც მოითხოვს ხალხის მასწავლებლობა: — და ვმდგარიყავით ხალხის განთლების თავში; და, თუ ამ მხრით დავეწინაურდით, ვართ თქვენი უდრემის მადლობელნი, რადგან თქვენ, თქვენის დაუდალავის შრომით, ხელახლად გავგვრთებით, და აღზარდეთ ჩვენში ხალხის მასწავლებლობა! თქვენ გვაქციეთ დირსეულ მოქალაქეებად და გავვხადეთ ნამდვილ კაცებად! თქვენ თქვენის მადლის სიტყვით და კეთილის მაგალითით განგვახლებდით! თქვენ იყავით არა სსსტიკი უფროსი, არამედ სიყვარულით აღსავსე — უკეთილესი მამა! შობრძანდებით, და ვერ გიხილავთ აწი; მგრამ თქვენი სპეტაკი სახე მარადის იქმნება ჩვენს სსოვნაში. კეთხოვეთ უდრემის მადლობით და გატკბეთ ფიანდაზად ჩვენს მოუყარულ გულს, რომელაც მარად თქვენ გეკუთნისთ!..

გისურვებთ კეთილ მკნაგრობას თქვენს ძვირფას, მშვენიერ სამშობლოში!..

იცოცხლეთ მრავალ წელს, ალექსი ბესარიანის ძე!..

ასტვაცატურ მნაცაკანოვი.

1905 წელს, როდესაც ხალხმა სამართლიანად მოითხოვა, რომ სახალხო სკოლებში საგნების სწავლება დედაენაზე ყოფილიყო, დედაენას ჰქონოდა სკოლაში ადგილი და პატივი უმთავრესი საგნისა, მთავრობამ, იძულებულმა, რომ აბოპკრებული ხალხის გული მოეყვავილებინა, მოიწვია კომისიაში სახალხო მასწავლებელნი ალექსის თავმჯდომარეობით, რომელსაც უნდა შეედგინა ახალი გეგმა სახალხო ერთ-კლასიანი სკოლებისათვის. ზოგიერთ მასწავლებელთ არ მიიღეს კომისიაში მონაწილეობა. მა-

შინ ალექსიმ ტფილისისა და განჯა-ერენის მასწავლებელთა მონაწილეობით შეადგინა ისეთივე გეგმა, როგორც იყო შედგენილი 1880 წელს კომისიის მიერ ალექსისავე თავმჯდომარეობით... და, ის იყო, უმაღლეს სფერაში უნდა დამტკიცებულ-დაკანონებულიყო, მაგრამ ამ დროს რეაქცია მოძალდა, ამან ზურგი გაუმაგრა რეაქციონერთ: ახალი გეგმა უკუგდებულ იქმნა, და ისევ მოაბრუნეს სახელმძღვანელოდ იანოვსკის მიერ შედგენილი და შემდგ მისგანვე უარყოფილი სამოსწავლო გეგმა... ამავ ხანში ალექსიმ შეადგინა ქართულ ენაზედ პირველ დაწყებითი გეოგრაფია და მეთოდური სახელმძღვანელო გეოგრაფიის სწავლებისა.

1905 წელს ალექსი ერევნიდან გადაყვანილ იქმნა ხონის საოსტატო სემინარიის დირექტორად. აქ მან იმავე წლის რეაქციის ქართველი გადიტანა მხნობით და არა შეამთხვია სასწავლებელს არავითარი უბედურება... უმართავდა და უმართავს მოსწავლეებს ლიტერატურულ საღამოებს, აძლევს მათ მამაშვილურ დარიგებას, აყვარებს იმათ ერთ-ერთს და ამტკიცებს მათში ძმობა-ერთობას...

ეს მეოთხე წელია, რაც უფასოდ და უანგაროდ ემსახურება ვაჟთა პროგინაზიას, რომელსაც მთავრობისაგან არ ეძლევა არავითარი ნივთიერი დახმარება; ასრულებს ინსპექტორის, ხშირად მასწავლებლის მოვალეობასაც...

ასევე უსასყიდლოთ ემსახურებოდა ქალთა გიმნაზიას; სანამ არ დაიკეტა უსახსრობით; მხურვალე მონაწილეობას დებულობს ყოველ საზოგადო, ან საქველმოქმედო საქმეში, რაიცა გაჩნდება ხონში, და მზად არის მისთვის თავისი უკანასკნელი ნივთიერის ღონისძიებით...

არ ყოფილა მაგალითი მისი ხელიდან შეგირდი გარიცხულიყოს და დაბრკოლებულიყოს, კეთილ გზაზედ არ დამდგარიყოს... „უპირველესად ვარ ადამიანი და პედაგოგი! უნდა ვმოქმედებდე კეთილი სიტყვით, და არა უფლება მოსილებით! მე ვარ მასწავლებელი და ვასწავლი!.. თქვენც ასე მოიქეცით: კეთილი სიტყვებით და მაგალითებით იქონიეთ გავლენა ყმაწვილებზე და დამსახურეთ მათი პატივისცემა! ეუბნება ის ხშირად თავის თანამოსამსახურეთა...“

მის მიერ შედგენილი გეოგრაფია და მეთოდური სახელმძღვანელო გეოგრაფიის სწავლებისა დიდი სასარგებლოა ჩვენი სკოლებისათვის...

მისი მეცნიერული ხასიათის წერილები, რომლითაც სავსეა ჩვენი საბავშვო ეურნალები, ფრიად სასარგებლო საკითხავია ყმაწვილთათვის... იმედა, რომ კვლავ ბევრ სასარგებლოს რასმე დასწერს მათთვის და გაამდიდრებს მათს ცოდნას.

1884 წელს ალექსიმ შეიერთო მეუღლე, ქნი ეფროსინე იაკობ ნიკოლოზის ასული, ბუნების მეტყველებაზე კურსდამთავრებული, რომელიც იგივე ერდგული და დაუღალავი მასწავლებელია...

ისინი არიან დაჯილდოვებულნი ქალ-

ვაით. ვაჟი—ბესარიონი—პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტი, ხოლო ქალი—თამარი—ტფილისშია სამუსიკო კურსებზე...

ზაფხულობით ალექსი ასწავლის მათ ქართულ ლიტერატურას; ამავე დროს ის სცხოვრობს სოფელში, თავის ღარიბ ოჯახში, სადაც იგი თავისი ხელით მუშაობს ბაღსა და ბოსტანში... ერთი ხის სახლია მისი თავშესაფარი, მისი ერთადერთი ნავთ-საყუდელი; სხვა არა აქვს რა და არც ცდილა, რომ შეეძინა. მთელი ალექსის ნივთიერი ღონის ძიება, რომელიც მისს ღარიბ ცხოვრებას გადარჩებოდა, მისგან ეგზავნებოდა ქართველ-ღარიბ ნაცნობ სტუდენტებს, რომელთათვის ალექსის სახლის კარი ყოველთვის ღია იყო...

ის ახლა შესრულდა 59 წლის, თოვლივით გათეთრებული, მხნე, დაუღალავი... ჩვენი წმინდა ვალია, ვუსურვოთ მას ნაყოფიერი სიცოცხლის განგრძობა. სწორედ მის შესახებ ითქმის:

„კაცი ის არის, ვინც ცოცხალი

მკვდარს არ ემსჯავსოს;

იყოს სოფელში, და სოფელსა მრავალი არგოს!“

გივიბერია

ზღაპარი?

უეძღვნი ჩვენს დიდ მოამბეკე მკოხანს აკაკის.

მით კაცს ერთი ტურფა და მშვენიერი ბალი ჰქონდა. დღე და ღამე არ ეძინა, სულ იმის ფიქრსა და ზრუნვაში იყო, უვლიდა, თავს ევლებოდა, შვილივით უფრთხილდებოდა. ან კი როგორ არ გაფრთხილდებოდა: თვითეული ხე, ბუჩქი, ყვავილი ამის ხელით იყო დარგული; იმისი აუარებელი შვილები, შვილი-შვილები და ნათესავები ამ ბალითა ცხოვრობდნენ.

შურდათ მეზობელ სოფლის მცხოვრებლებს იმათთვის ის ბალი, სულ იმის ნატვრაში იყვნენ, როგორმე გაიოცებოდათ ხელიდან და თვითონ დაპატრონებოდნენ.

— აი თუ ღმერთმა მოგვასწორო და მაგ ბერიკაცმა მიწის ქვეშ ჩაჰყო თავი, მერე ვნახავთ, როგორც იცხოვრებენ მაგის მემკვიდრები! იძახდნენ მეზობლები. განა არ ვიცით, რომ ეგ ბალი მაგას გაჰყვება.

კარგათ ვიცნობთ მაგის მკონარა და მუქთახორა მემკვიდრებს!

მართლაც და მეტის-მეტად ზარმაცი და დაუღვევარი ხალხი იყო. სრულებით არა ფიქრობდნენ, რომ მუდამ მამა არ ეყოლებოდათ ცოცხალი, და ცხოვრებამდე ზრუნვა ამათ დაწვებოდა კისერზედ. მუდამ დღე ქეიფსა და უსაქმურობაში ატარებდნენ...

დაიღუპებიან ჩემი შვილები, იძახდა სიკვდილის ჟამს ბერიკაცი, რაქნა, არც ერთი პირი აქვო, გარჯაც ეზარებათ. ჩაკვივიან სხვისა ხელში, გახდებიან იმათი ხელის შემხედვარნი!

ამ სიტყვებით დალია საწყალობა სული.

მაღე აღსრულდა ბერი კაცის წინასწარმეტყველება: ჩაფარა თუ არა მიწაში თავი, მაშინვე აუტყდათ იმის მემკვიდრეებს ჩხუბი, შფოთი, წიწვა და გლეჯავინც ღონიერი იყო და ძალა შესწევდა, იტაცებდა და იჩემებდა მამის ქონებას, ზოგი ცხადად, ზოგი მალევით და პარკით, ვინც სუსტი და უსიტყო იყო, ცარიელტარიელი დარჩა. ბალიც ღონიერებმა ჩაიგდეს ხელში, როგორც უნდოდათ, მოსავალს ისე სკამდნენ და ხმარობდნენ. მოვლახედ კი აღარავინ ფიქრობდა.

ვისაც არა ერგო რა, იდგნენ გულხელ დაკრფილნი და ღონიერების ქეიფს შესცქეროდნენ.

— მოდი, სთქვეს, ერთხელ ძლიერთა: ვინც უწილო დარჩა, მოუაროს ჩვენს ვენახს და სამაგიეროდ თითო ხელი ტანისამოსი და ლუკმა მივაწოდოთ, თორემ ბალიც იღუპება და ეგ ჩვენი ნათესავებიც სიმშლით იხოცებიან, — ნურც მგელი მშიერი, ნურც მწყემსი მომღურავი.

— ძალიან კარგი იქნება, მოუწონეს ყველამ. და დაიწყეს, ვისაც არა ერგო რა, იმათ ბალის შემწევა, რაც შეეძლოთ, შრომობდნენ, ოფლსა ღვრიდნენ, უვლიდნენ, როგორც იცოდნენ. ძლიერთ კი ხან ეძინათ, ხან ქეიფით თავს ირთობდნენ. მომეტებული მოსავალი ამათ მიჰქონდათ; ვინც მუშაობდნენ, იმათ კი იმდენს უტოვებდნენ, რომ სიმშლით არ დახოცილიყვნენ.

— მოიტათ და მოიტათ! ყვიროდნენ გალაღებული ბატონები.

მოქონდათ საწყალებსაც, რაც შეეძ-

ლოთ, რასაც შოულობდნენ და პოულობდნენ, მოჰქონდათ და თვითონ კი სულ უფრო და უფრო ნაკლები რჩებოდნენ.

— კაცო, სთქვა ერთხელ ერთმა ჩამოგლეჯილმა ყაძახმა: მაინც ჩვენ არა გვოჩნება-რა და რა გიყვები ვართ ვენახის მუშაობით წელვებს ვიწყვეტთ, მაინც მშვიდრები ვართ და მაინც, წავიდეთ და ჩვენც დავწვეთ და დავიძინოთ, რაც თავისთავად მოიხსნას ვენახმა, ის ვკამოთ ჩვენც, და მოიხმარონ ჩვენმა ბატონებმაც.

— ძალიან კარგი იქნება, ძალიან! და იძახეს ყველამ ერთად და გასწიეს თავის ქოხ-მახებში.

დარჩა ვენახი ოხრად...

ზოგი ლობეს ეზიდებოდა დასაწვავად; ზოგი შვილის დარ ხეხილს სჭირდა შესისთვის, ზოგი ნამყენს სთბრიდა ძირიანად და სხვა სოფელში მიარბენიებდა, ხეებს ხავსი სქამდა, ვაზი მოუვლელივით ხმებოდა, ნამყენებს საქონელი ამტვრევდა, ყვავილებს პირუტყვები ჰქელავდნენ. პატრონები კი წამოწოლილიყვნენ მხარ თემოზედ, ზოგი ხვრინავდა, ზოგი ყალიონს აბოლებდა, ზოგი ოხრავდა, ზოგს თვალები ცისათვის მიეზღინა და ოცნებობდა.

ბალი კი თანდათან იღუპებოდა.

ქურდი მეზობლები უკვე თამამად შედიოდნენ, იმათ თვალწინ ხეხილებს სჭირდნენ, ხილსა ჰკრფდნენ. თუმცა ხან და ხან ბრაზი მოსდიოდათ ამ მტაცებლებზედ მკონარა პატრონებს, მაგრამ ვერაინ იღო თავს შეაყვირნა იმათთვის: ვა! რას შერებთ, თქვე ყაჩაღებო, ვერა ხედავთ ისევ ცოცხლები ვართ და ცხოვრება გვინდა?! სიცოცხლითვე რათ იყოფთ ჩვენს ავლა დიდებას?!
— ჩვენ შნო გვაქვს და ვხმარობთ კი-

დეც, იძახდნენ და ცინვით მეზობლები, თქვენ დაიძინეთ, თავს ნუ იწყენთ ყვირილით.

საკვირველი ის იყო, რომ ეს უბადრუკნი თავის მდგომარეობას სრულებით არა გრძნობდნენ. ლოცვის შნოც კი არა ჰქონდათ, რომ ელოცნათ მაინც და ღეთისათვის ამ მდგომარეობიდან ხსნა ეთხოვათ...

მიდიოდა ასე დრო. შეეცოდა ბოლოს გამჩენსაც ეს უბედური ხალხი.

და აი გაისმა უცებ ძლიერი, სასტიკი ხმა საყვირისა, რომლის ხმას მთამა და ბარბა გუგუნით ხმა მისცა. გაისმა და ყოველი არსი შეტოკდა, შეინძრა, მძინარებმა თვალები დააქუციტეს და შიშით აქეთ-იქით ცქერა იწყეს.

საკვირი კი ვაჰკიოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა და ხალხს გამოსადვიებლად მოიწვევდა.

— გაიღვიძეთ, ძმებო, გაიღვიძეთ, უძახდა საყვირის პატრონი, ადგეთ; ხედავთ თქვენი ბალი პირუტყვებმა გაქელეს და მტრის ხელმა გაჩეხა!

— გაიღვიძეთ, გაიღვიძეთ! გაჰკიოდა მისი საყვირი.

შეშინებული, და შემკრთალი პატრონები ეძებდნენ ამ საყვირის პატრონს და აგერ გამოჩნდა ოცი წლის ჰაეროვანი ჭაბუკი, მისი მაღალი მადლიანი შუბლი უკონის ბოლოსავით შავ ქოჩორს უხვად დაეფარა, ხელთ ეპყრა დიდი ვერცხლის საყვირი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შიგ უბერავდა.

იმის თვალწინ პირუტყვებისგან მშვენიერ ხეებს ლაწა-ლუწი გაჰქონდა, შორეულ ყუნჭულიდან ცულის კაკუნი მოისმოდა.

ჭაბუკს გული სისხლით ებანებოდა და გაბრაზებული ყვიროდა: ადგეთ, უბად-

რუქნო, ადექით, გაიღვიძეთ, საცოდავე-
ბო!

რა ტბილად ეჩვენებოდათ ბალის პა-
ტრონებს ძილი! ზოგს რბილად დაედო
ვერძის ბალიშზედ თავი და გემრიელად
ხვრინავდა ფაფუკ ღორზედ, ზოგთ თავი
ქვაზედ დაედო, ზოგი ხმელ მიწაზედ იწ-
ვა. ადგომას ერთიც არ აპირობდა.

საყვირი კი, რაც ძალი და ღონე ჰქონ-
და, გაჰკიოდა და გაჰკიოდა.

— ადექით! ადექით! გაიღვიძეთ, გაა-
ხილეთ თვალი!

გაიღვიძებდნენ პატრონები, ზარმაცად
მოიფშენებდნენ თვალებს.

— ოჰ, ეს ოხრები, როგორ გაუოხრე-
ბიათ აქაურობა, ამ საძაგლებს. იძახდა
ერთი და თან იზმორებოდა, ავდგეთ, გავ-
რკეთ, თორემ სულ ცარიელზედ დაგვ-
სვამენ.

— ავდგეთ, ე ხილი მაინც მოვკრი-
ფოთ, ქვეყანას ნუ გავაზიღინეთ ჩვენი
მამულის ნაყოფი, იძახდა მეორე, მაგრამ
ხელს კი არავენ ანძრევდა.

— მე რბილათა ვწევარ, იძახდა ბალი-
შებზედ მწოლარე, რა გიყი ვარ, მოსვენ-
ება დავკარგო, აგერ ადგეს, ქვაზედ რომ
თავი დაუდგია, მაინც რა მოსვენება მა-
გის მოსვენება, გარეკოს საქონელი, მა-
ინც ხომ გვერდები სტკივა.

— რბილათაც თქვენ გეძინოთ და ბაღ-
საც ჩვენ მოუაროთ?— იძახდნენ ხმელ მი-
წაზედ მწოლნი, რას ვკარგავთ, გინდ
მოუარეთ, გინდ არა!

ასე ყველა ერთმანერთს შესტკეროდა
და იმათი სამკვიდრო საცხოვრებელი კი
ოხრდებოდა და ტიალდებოდა.

ქაბუკი კი გადადიოდა ერთი კაციდან
მეორე კაცთან, ერთი სახლიდან მეორე-
ში, ქობიდან ქობში და იმის სასტიკი
ხმა მკვეთრად გაისმოდა არემარეში.

— ადექით, ძმებო, ადექით! გაიღვი-
ძეთ!

ხანი კი გადიოდა. ვინც რბილად იწ-
ვა, ფაფუკ ღორები ან შემოაცვდა, ან
ქვეშიდან გამოაცალეს უფრო მოხერხე-
ბულმა მეზობლებმა და თავისთვის წაი-
ღეს; ვინც ხმელა მიწაზედ ედგო, იმასაც
წოლით გვერდები დასწყულულებოდა და
უკანასკნელი ახლოში ჩამოეხრწოდა,
სიცივით კანკალებდა და სიმშლით კრი-
კა შეჰკვროდა.

მეტი რა ღონე ჰქონდათ არ გაეღვიძ-
ნათ და არ ამდგარიყვნენ!...

გაიღვიძეს...

ზოგს კეტისთვის წამოველო ხელი,
ზოგს სახრისთვის, ზოგს თოფ-ხანჯლის-
თვის, ზოგს ცულისთვის, ბარისთვის, თო-
ხისთვის, ნამგლისთვის, პირუტყვებს ჯო-
ხით ერეკებოდნენ, ქურდს თოფით მის-
დევდნენ, ღობავდნენ, ბარავდნენ, ხეებს
ხაგს აცლიდნენ, სთესავდნენ, სხლავდნენ,
ისმოდა საერთო კიენა, სიხარული, საერ-
თო შრომის დიდი გრავინვა.

ვილას ახსოვდა საყვირის პატრონი ქა-
ბუკი?!

და როცა მოაგონდათ და მოძებნეს და
იპოვეს, იმას უკვე თმა-წვერი ვერცხლი-
ვით გაჰთეთრებოდა და თავის დიდებულ
საყვირს ირგვლივ შემოხვეულ ახალგაზ-
დებს ულოცავდა.

თ. რაზიკაშვილი.

რამ გამოიწვია „ვეფხის ტყაოსანი“?

(ლეკენა)

შუქურ ვარსკვლავის ჭირიმე,
რა მოკიაფე რამ არი?!
თურმე მის შუქზე რუსთაველს
წერილებს სწერდა თამარი.

ერთხელ მისწერა: „მგოსანო,
შენ იცი გულში ნადები.
ერთხელ ვშობილვარ, მეორედ
აწ ველარ დაეიბადები.“



აკაკი

შემყვარებინარ ერთხელ და,
ხომ სიყვარულიც ერთია?
და სადაც სიყვარულია,
იქ სიწმინდეა... ღმერთია..

ნუ ჰფიქრობ დაემონებოლე,
ქვეყნიურ ქენა ვნებასა!
რაც არ შემფერის ვაგსტებო,
მე თავს არ მივსცემ ნებასა.

მიყვარხარ გრძნობით მაღალო,
მიყვარხარ აღმა ფრენითა,
მიყვარხარ იმ სიყვარულით,
რომ აღარ ითქმის ენითა.

შინდა გიქვრეტდე, გისმენდე,
ვგრძნობდე: ხარ ჩემთან მახლობლად.
სულით და გულით მსხვერპლი ვარ,
სხვა რაღა მრჩება ამ სოფლად?

მეფე ვარ. ვინ არა ჰფიქრობს
ჩემსა მონება—ხლებასა?
და ჩემი გულის მოგებით
პირადად ამალღებასა?

ერთად ერთი ხარ მხოლოდ შენ,
არ მისდევ სოფლის ძრახვასა;
განძრახ გაუბი სასახლეს,
და მიგვიანებ ნახვასა.

მგოსანო, თუცა მეფე ვარ,
გრძნობა კი პოეტურია
და მეც შენსავით ქვეყნისთვის
მხოლოდ სიკეთე მწყურია!

მარტო ვზი, ველარ გაუძელო
უწყალო გულის ძვრასა;
წარმოგიდგინე ოცნებით
და ხელი მიჭყავ წერასა.

შინდა რომ ვაგვიზიარო
საქვეყნო ჩემი ძრახვები
და ის აჯობებს საქმისთვის,
რაც ხშირად დამენახვები!

არ მინდა ისე გიბრძანო,
როგორც მსახურს და მონასა!..
როცა გიყურებ და გისმენ,
თითქოს ვკრეფ ვარდის კონასა!..

თუმც შენი სიტყვა-პასუხი
სხვაგვარად დაფარულია,
მაგრამ იქ, გატყობ მოსანო,
სამშობლოს სიყვარულია!..

და სადაც სიყვარულია,
იქ უეჭველად ღმერთია...
და, როგორც ღმერთი, სამშობლოც
ერთია... ერთად-ერთია.

მაშ მოდი ჩემო მოსანო,
ხელი ხელს მივცეთ, გულს-გული;
ვარდი დავთესოთ ქვეყნისთვის
და ზედ ვამღეროთ ბულბული!

რუსთველმა გაოცებულმა,
გულში ჩაიკრა წერილი
და გადაჰკოცნა ხელი მან,
ოცნებით გამოშვებული.

მერე მიუჯდა მაგიდას,
ხელ ჰყო პასუხის წერასა
და უთანხმებდა სიტყვებსაც.
გულის უმანკო ძგერასა:

ვარსკვლავსა მოსხივისკარეს
სხივები მოუფენია...
თუ არ თაყვანი ღმერთური
მაშ მე სხვა რაღა მრჩენია?

მეფეო, მიწვევ სათქმელად;
რაც ღღემდი გულში მდებია
და საიღუმლოდ შორს ბნელით
ცეცხლივით წამკიდებია!.

როგორც მზე, მალლით ბრწყინვალე,
შუქს აძლევს ღამით მთვარესა
და ასულდგმულებს, ათბობს რა
ცოცხალ-მკვდარ არე-მარესა,

ისე შენც მალლით უნათებ
ჩემ საწყალ გრძობა გონებას
და მოსანს, აღფრთოვანებულს,
ავიწყებივთ მონებას.

და საბასუხოდ სამეფოდ
რა შეუძლია სხვა მოსანს?
აღფგორულად, გადაკვრით
დაგიწერს „ვეფხის ტყაოსანს“

გამორებული სასახლის,
ველად გაქრილი ხელადა,
დაგსახავს „ნესტან-დარეჯანდ“
და შენს ღირსს „ტარიელადა“.

სთქვა და დასწერა კიდევაც,
თამარ შეამყო ხელადა.
თავი უმბროსს ამსავსა
და საქართველოს ელოდა.

აკაკის პირველი ნახვა ჩემგან

ჩემი დედა იყო წლის ემაწვილი მოსწავლე ვიყავი, როცა პირველად აკაკი ვინახე. ეს იყო 1880 წელში. ამ წელში მე გავათავე კიევის სამხედრო გიმნაზია და სასწავლებლო ჩამოსული, მარამომობის თვეში ისევ რუსეთში ვბრუნდებოდი მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში გადასული. ქუთაისიდან თანამგზავრად თბილისში შემხვდა ერთ დროს თბილისის ხელისნათა მამასხლისათ ყოფილი ანდრია კახანაძე—აკაკის დიდი მეგობარი და მისი დრმად მოსიყვარულე პირი. გზაში სულ აკაკის შესახებ შელაპარაკებოდა, მის შესახებ სხვა და სხვა ამ-



დ. კალიაშვილი

ბებს მომიყვებოდა ხოლმე; მეც დიდის სიამოვნებით ვუსმენდი პოეტის შესახებ მოჩაყოლ ამბებს. ბავშვობიდან სამშობლოს მოცილებულს ამ ხანებში უკვე ნოტარდები გამეტბობდა ჩვენი ლიტერატურისა და აკაკი და ილია ძვირფას სახელებით მჭონდა მიმხნეული და მოსიყვარულე ადამიანისკან გადმოცემული უფრო მიმეტბოდა მისადმი სიუფრულს. თბილისში კახანაძემ თავის სახელში მიმი-

პატიჟა რუსეთისკენ გამგზავრებადინ. მადლობა უთხარი, მაგრამ ეს მადლობა ჯორჯეცემული შეიქმნა, როცა სახელში ამავე დავგხდა რომ აკაკი მეორე დღეს ზემო იმერეთიდან უნდა ჩამოსულიყო და კახანაძისს მოვიდოდა, სადაც მას მუდამ ბინა ჰქონდა. ჩემს სისარულს საზღვარი არ ქონებია. იმ დამეს არც კი მისინებია თითქმის. მე ვინახავდი პირისპირ ძვირფასს მგოსანს, გავეგონებდი მის ხმას, გავეცნობოდი მას!... ჩემი გული მეტის-მეტ საიმოყნებით ტოკავდა. მოახლოვდა სანატრელი ჟამიც. მეორე დღეს, სადამოს აკაკი კახანაძისს მოვიდა. უველანი შეგვეკებინით. ილიას სურათი მე სხვი-სკან მჭონდა ნახუქარი, აკაკის სახეს კი პირველად ვხედავდი. ჩემს წინ იდგა მადლობანის, ლამაზი შეხედულობის, მომიღმარე სახით, საუცხოვო ტბილი ხმით მოლაპარაკე პოეტი. ემაწვილი თვალებ გაშტერებული მიუჩერებოდი მას, გულ აფანტალებული სმენად გადაქცეული იგი გატაცებით. ლაპარაკობდა შავი-ქვის შესახებ, იმაზედ თუ როგორი წარმატებაში შევა ის კუთხე, როცა საქმეს თავი მოეპოვოს, რა განსხვავებული ცხოვრება დატრიალდება და განადდება ჭიათურის კარკეშეშო, როგორ გამოიღვიძებეს იქურობა და ცნობილდებაო. ჩვენ უველანი სმენად ვიყავით გადაქცეულნი და ავაციტ გატაცებით ლაპარაკობდა. ვახსმად ვისჩედიო. აკაკი ისევ ხალისიანი მოლაპარაკე იყო. — თქვენ სადა სწავლობთ, ემაწვილო? მომესმა პოეტის მომართვა აღტაცებისკან ბურანში შეოფს. — კიევში, სასხედრო გიმნაზიაში მივეუცადელებით. — და ესლა მოსკოვში გადადის სამხედრო სასწავლებელში! დაუმატა კახანაძემ.

— ოჰ! აბა გარუსებული იქნებით რაღა თქმა უნდა! დიმილით შითსრა ჰოეტმა.

— არა ბატონო! მივიტეე შე და კახანაძემაც დაატანა, რომ შე დილით ვიუიდე ქართული წიგნები რუსეთში წასაღებათ. აკაკიმ გაიკვირა, მომიწონა და თავისებური ენაშახვილიანობით დაიწყო იმაზედ ღაზარაკი, თუ როგორ ადვილათ იფიქრებენ ქართველები თავიანთ თავს ისე, რომ აღარც ქართველობაში სწევინ და არც სხვა ტომში. მოჭყუვდა სხვა და სხვა შემთხვევები, რითაც იწვევდა ჩვენს გულანს სიცილს.

შეორე დღეს კავკასიასკენ მივემტაცავრებოდი დილიქნით, თვალწინ ჰოეტი შიდგა, მისი ტკბილი ხმა შესმოდა, მისი სიტყვა-ღაზარაკი. მისი სახელი წინანდელზედ უფრო ძვირფასი

შეიქმნა ჩემთვის ამ დღიდან და თან ვგრძნობდი, რომ ჩემს ემაწვილურ გულში მტრულობდა სიუვარული ჩემს ზაწია სამშობლოსადმი—რომელსაც ისეთი ჰოეტი ჰქვავდა, როგორც გუშინ შე ვნახე და გავიცანია. გული სინარულით მივსებოდა. უცხო მისრეს შეოფეს აკაკისა და ილიას სასკელები ემაწვილის გულს მითმობდნენ და ხშირად მათით რომ დამიტრახახების ჩემს უცხო ამხანაგებთან თუ რა ჰოეტები უკუდა ჩემს მამულს, არა ერთხელ თავმოწონებით მითქვამს, რომ აკაკის ჰირადად ვიცნობთქო და ტატანებით შეგდგომივარ მის აღწერას და იმ შთაბეჭდილების ტადანემას, რაც ჩემზედ მოახდინა მისმა შეწვდომამ.—

დავ. კლდიაშვილი.

პოეზიას

(ნ. მისტროვისა)

ჰე პოეზიავ! გამამძიმებ სევდა-კაეშანს
შენ მიქარებდი, როს მომბერდი ნაზი ფრთებითა
სულთი ობოლსა, წუთისოფლით მიუსაფარსა
საღაფრენოთ მიტაცებდი გრძნეულებითა.

ხშირად ბნელ ღამეს, უძილობით მისუსტებულ
ვიმეორებდი ლექსთა შენთა სასოებითა
და მშვიდდებოდა გული ეჭვით აქოთებულ
იმ სიმღერების ზეციური ფსალმუნებითა.

დ. თურდოსპირელა.



ვ ა უ ა ს



არსულში მტერი ფიქრობდა:
გურჯისტანს სული ხდებოა,
სამარის კარზედ მიხწეულს
ღღეღი უმოკლდებაო.

ამბობდა: „რა გადაარჩენს
ხან-გაძლივი ბრძოლით დაღალულს,
აშარი დედინაცვლისგან
დამონავებულს, დაძალულს.

რა დაუკარგავს, რას ეძებს,
ვინ მოუშველებს წყლულსაო,
ან დასაწყისი სად რა აქვს
მისთვის, რამ სიხარულსაო“.

ასე ამბობდა და თანაც
დაცინვით გაღმობყურებდა
და, როგორც პირუტყვს უღელ-ქვეშ,
ქედ-მოხრილს იმსახურებდა.

სულს მიხუთავდა ეს ყოფა,
სიცოცხლე თითქო ჰქრებოდა,
შემძაგდა წუთი-სოფელი,
სიკვდილი მენტარებოდა.

ყვავილოვანი სიყრმის გზა
გავლიე, ისე ვიარე,

რომ ბოღმა მკვდარი გულისა
ვერავის გავუზიარე.

მკურნალს ვეძებდი მაშველად,
გული სიღრმემდის მტკიოდა,
შურის ძიების სურვილი
თვალთ ცრემლად გაღმომდიოდა...

მაგრამ, რა ვნახე ძმობილო,
მე ღღესასწავლი ღიადი,
ცისკარს რომ ამოეშუქნა
და გაეფანტა წყვილიად—

მოხუცს, რომ შემოხვეოდენ
გარშემო გურჯთა შვილები,
ვით ჯვარ-ცმულს, ჩვენთვის წამებულს,
მისგანვე გამოზრდილები,

აი, მას შემდეგ გავკაედი,
გაკლდევედა სული და გული,
გადახალისდა იმედით
იმ ღღემდის დამწვარ-დაგული

მუნვე გაშენდა სამოთხე,
იშლება ვარდი შაისის,
ბობოქრობს გრძნობა მომლოდე
უფრო სხვა-გვარი „გაისის“.

რუხ—იმერელი

ჩ ვ ე ნ ე ბ ა

კვალად ამიდგნენ თვალ-წინა
 წარსულთა დროთა გმირები.
 ტანზე აესხათ აბჯარი
 და უდიმოდათ პირები.
 „ნუ სტირი, ნუო“, მეძახდნენ
 რა მნახეს ანატირები:



ვაჟა-ფშაველა
 „სრულდება, შალე იქნება,
 „ღვთისაგან დანაპირები!“...

შუაზე თამარი ედგათ
 ბრწყინვალე როგორც ცისკარი.
 გარს ერტყნენ ღვწლით მოსილნი,
 ბევრი მათგანი ვიცანი.
 ყველასა ჰქონდა გულზედა

მოწამეობის ნიშანი.
 „აღსდგება საქართველოვო!“
 გმირთა სათქმელი ეს არი.
 ამ წარწერითვე ყველასა
 ხელთ ეპყრა ოქროს ფიცარი.

ენა დამება, დაუმუნჯდი,
 ცხარე ცრემლი მდის, მჩქეფარე;
 გულზე შიშ-კრძალვის შედეგა
 ცეცხლი მათ ცქერით მგზნებარე...

აღსდგება საქართველოვო! სთქვეს..
 დინჯად, მწყობრად მიდინ.
 მინდა ვეუბნო. ჩქარობენ,
 თუ ღირსად არა მხდლიდან,
 რად შემდღურიან, ნეტავი,
 ჩემი რა ავი იციან?!

თავს ვანუგეშებ ამ ფიქრით:
 ნება არა აქვთ ღვთისგანა,
 ალბათ, იმიტომ აჩქარდნენ
 არ მესაუბრნენ დიდხანა.
 „ღმერთს შეგვავედრეთ“, მივძახდი:
 „დაჩაგრულნი ვართ მტრისგანა!
 „უმწეო, უპატრონო
 „შველას მოველით მისგანა!“
 როს ქვეყნად წყდება წამალი,
 არაფერია ცისთანა!...

„გვიშველოს თავის შვილებსა!“
 გახლებული ვყვიროდი.
 გაჰქრა საამო ჩვენება.
 გამომეღვიძა... ვტიროდი.

ვაჟა-ფშაველა.

ჩემი ნუგეში

ნუგეში მტირალს! მხოლოდ იმას მოეფონება,
 ნუგეში ცრემლებს! ცრემლი ისევ ცრემლს მოუხდება;
 მაგრამ ნუგეში გაკაჩებულს გულს, გამწარებულს
 ჩაუსობს მხოლოდ მწარე ისარს, გაალმასებულს!
 მან არ იცოდა თვის სიყრმიდან რაა ნუგეში,
 იგი არ არი მიჩვეული აღერსს, სიყვარულს,
 არა, მეგობრის ნაცვლათ ეჯდა გველი უბეში,
 არა, ჩვეული ის არ არი ვისმეს სიბრალულს!
 ვინც რო თვის ღღენი, თვის სიცოცხლე მარტო ატარა,
 ვინც რო თვის ხელით თვისი საფლავი იქ გაითხარა,
 სადაც ეკალი ვარდის კონათ უჭირავთ ხელში,
 მისთვის მეტია, არარაა მისთვის ნუგეში!
 ნუგეში მტირალს, დამნანებელს თავის ხვედრისა,
 ნუგეში იმას, ვისაც მხოლოდ წუთით უყვარდა...
 ნუგეში მტირალს და მომღურავს თავის ბედისა,
 ნუგეში შშიშარს ბრძოლის წყურვილს, რომ ვერ იკლავდა!
 მათ მიუტარეთ, ბევრს იპოვით ჩემს სამშობლოში,
 მე კი გთხოვ გვერდზე ჩამიაროთ თქვენის ცრემლებით,
 მათ მიუტირეთ, ისევ იმათ ეციოთ ნუგეში,
 მათ მოუფინეთ დაცრემლილი გზა ყვავილებით!
 დიახ, ნუგეში მხოლოდ მტირალს ესალბუნება,
 ნუგეში ცრემლებს! ცრემლი ისევ ცრემლს მოუხდება,
 მე კი მანებეთ ისევ ჩემი მწარე ისარი,
 ჩემი ნუგეში იგი იყო, ეხლაც ის არი!

ი. ევლოშვილი



ნორმანდიელი ბარონი

(ამერიკელთა პოეტის ლონგფეროსი † 1882 წ.)

ღამით ერთს დიდსა ციხე-ღარაზში
 მძიმე სენითა დაავადებული
 ჰგვდება ბარონი... და ქარშხალი
 ბზუის გარშემო გაფთრებული...
 ძლივს ჰფეთქს ბარონი... ვერ უშველან
 მას ვასსალები და ვერც მონები,
 ვერცა სიმდიდრე, მამაშვიანს
 მტაცებლობითა შესაძინები.
 მოდის სიკვდილი. ვერ ხედავს შველას;
 შიშით შესტყერის იგი მოძღვარს:
 იმას კი თავი ძირს დაუხრია.
 ჩასწერებათა თავის ლოცვანს...
 ქარი ხმაურობს, უსტყენს, ბობოქრობს,
 და თან ტაძრიდან რეკვა ზარის
 ძლივსა მოისმის იმის ხმათ შორის,
 მაწუებელი ქრისტეს შობისა...
 ამ წმინდა ღამეს ბარონის სახლში
 შეკრებილიყვნენ ვასაღ—მონები,
 და ძველ საამურ სკალობლებით
 ატებობდნენ იმათ ხანგის სკვრელები.
 უგალობდნენ, რომ ქრისტემ მოსცა
 თავისუფლება ხალხს დაჩაგრულს.
 შორს გაისმოდა მათი სიმღერა,
 ხმასა სტაცებდა ქარშხალს წვეულს.
 რა გაიგონა ტბილი სიმღერა,
 მან მოიბრუნა ჭადრა თავი,
 და გაუნძრევლად სულ-განახული
 ეურს მიუპერობდა მას მომავკვდავი.
 ამ სიმღერისა ხმებსა ბარონი
 ეგვლას გარკვევით მოისმინებდა,
 და მოძღვარიცა ცხანების სიტყვებს
 მას მოწიწებით ჩასწერწულებდა...
 ნისლი უცნადა ელვამ გააზო,
 და მიანათა იმის სახატეს;

ჭკეპ-ჭკეხილი მთა-ბარს ანგრევდა,
 ბარონს აკრთობდა ვოველივე ეს.
 ამა გულისა დაღონების დროს,
 საუკუნოის ცხოვრების წინა,
 მის სულს მიეცა ციური მადლი,
 და შეგნება რამ მას მოეთინა...
 იმან შეიგნო საღმრთო სიძარბოელი,
 გაივო მისი აბუნად გდება,
 შეიტყო, რომ მას საზარლად სჩაგრაფს
 წუთისთფელისა ამაოება.
 რაც ანდუნებდა მას ცხოვრებაში,
 რითაც იყო ის დამონებელი,
 უარჰყო იმან... და მის გონება
 სხვა ჰზოროთ იქმნა კაბრწინებულა:
 ეგვლა იმ მონებს, რომელთაც მისგან
 გამწარებული ჰქონდათ ცხოვრება,
 ეგვლა დაჩაგრულს, უბედურს, ღებნილს
 მან მიანიჭა თავისუფლება.
 რა დაამტკიცა ფიციით თვის სიტყვა,
 ბარონს აღმოხდა იმწამსვე სული...
 მოძღვარმაც ლოცვით კურთხეული ჰყო
 იმისი გვაში გაცივებული...
 ბეფრი გავიდა მსუგან წელი,
 რაც ბარონს სძინავს ტაძრისა ბჰეში.
 მტვრად აქცა იგი და არგინ იცის,
 სდა მარნია ის სამარეში...
 მაგრამ იმისი საქმე დიადი
 ცხოვრების წიგნში არის დაცული:
 იმისი წმინდა ნაყოფი ქვეყნად
 არს დაღობვილი. და კურთხეული.
 მწიფდება იგი სსაიამოვნოდ,
 უგვდავი მადლით გარემოცული
 და განათებს საუკუნოებს,
 ვითა ვარსკვლავი განსუშუბული.

ილ. ფერაძე.

ზაქარიას თალა *)

(ინგილოური ლეგენდა)

შახაბაზისაგან აყენებულმა მძინვარე ქარიშხალმა უკვე გადაიარა, აწიოკებულ-აყრილნი საბრალო ინგილონი უკვე ირანის სამფლობელოს გზას სთელავდნენ, მათს სამშობლოში კი მათ ანიაგებულს სახლ-კარს ტურები და დაჰპატრონებოდნენ და მხოლოდ აქაიქ თუ ლა შეგვხედებოდათ მიუვალ მთა-კლდეს ამოფარებული თითო ოროლა ინგილო. იქ იყო ზაქარია მღვდელიც, რომელსაც თავისთან ერთად ჯვარი და სახარება გაეტაცნა და მტრის მახვილს გადაერჩინა. დრო გამოშვებით ზაქარია დამფრთხალს ნადირსავით მთის ფერდობებიდან ოდნავ ცალის თვალით გადმოჰხედავდა ხოლმე მტრისაგან ანიაგებულს ბარსა და ფიცხლავ იმალებოდა ტყესა და კლდის ნაპრალეებში. უკვე კარგა ხანს გაევილა, რაც შახაბაზი საინგილოს მოშორებოდა, მაგრამ ზაქარია მღვდელი არა შორდებოდა მთა-ბარს, ვერ წარმოედგინა, რომ საზარი მტარვალი ვიდრე სრულიად არ ამოხდიდა სულს მთელს საინგილოს სადმე წავიდოდა. ბოლოს როგორც იყო გული დაიმშვიდა, დარწმუნდა, რომ აღარსაიღამ შიში აღარ იყო მოსალოდნელი და ნელის ნაბიჯით ფრთხილად გამოვიდა მთიდან და თავისს საყვარელს ფიფონს მიაშურა. მაგრამ თქვენს მტერს, რაც ზაქარიას იქ სანახავი დაუხვდა, მთელი სოფელი, მისი ეკლესია და ციხე-სიმაგრენი მიწასთან იყვნენ გასწორებულნი და ერთს დროს მდიდარი. შემძლე და სიკაცხლით ხავსე თავემოწონე სოფელი განაცარმტყერებელი, მკვდარი, უსულო.

გული მოუკვდა და ჩაეთუთქა ბედკრულს ზაქარიას, ატირდა, ატირებოდა. ვერ წარ-

მოდგინა თუ იმ ტურფა სოფელს ასე ერთბაშად ამოხდებოდა სული და იმას რაც სულ რამდენიმე თვის წინად ასე ძალუმად სკოცხლობდა, მზიარულობდა, ასე ერთის ხელის დაკვრით გაანადგურებდა მტარვალის ხელი. ხარბად იხედებოდა აქეთ-იქით ზაქარია, უნდოდა ენახა ვინმე თავისიანი, მაგრამ, გარდა აქა-იქ მოხეტიალე ლევისა, აღარავინ სჩანდა. ყველაფერი გამქრალიყო შარშანდელი თოვლივით, ამაოდ მიმოავლებდა თვალს, ამაოდ გაიქვირებოდა შორს სივრცეში, ამაოდ სედა მოცული შესცქეროდა მორაკრაკე ანკარა წყაროს, რომელსაც მღვდელიდან გადმოსცქეროდა უზარმაზარი, საუცხოვოდ გაბადრული ცაცხვის ხე, რომლის საუცხოვო ჩრდილს ქვეშ მრავლად იყრიდა ხოლმე თავს ხალხი ზაფხულის ცხელს დღეებში. მთელი ფიფინეთი მისით სულდგმულობდა, მითი გროვდებოდა, მის ცივ-ცივ ანკარა წყალსა სემდა. დაუფასებელი იყო მთელ ფიფინეთისათვის ეს ცაცხვი და მისი ანკარა წყარო. ამაოდ მიდიოდა ზაქარია მის სიახლოვეს, ამაოდ მოელოდა ვინმე დამაშვარალს გასაგრილებლად, მაგრამ დრონი მიდიოდნენ, მიდიოდნენ უცვლელად, ერთფეროვნად და არავინ კი არა სჩანდა. ზაქარია კი იმედს არა ჰკარგავდა, იმას მტკიცედა სჯეროდა, სწამდა, რომ ტყვედ წაყვანილნი ქართველნი უსათუოდ დაბრუნდებოდნენ. — განა შესაძლებელიაო, გაიძახდა თავისს გულში ზაქარია, რომ ქრისტეს მოყვარე მამაცი და თავდადებული ქართველი ურჯულო ირანთა მფლობელის მტარვალობას შეუერიდეს. არა და ათასჯერ არა, იმეორებდა მთელის დღეობით ზაქარია. დროს იხელთებს, თავს დააღწევს, მოვა ისევ თავისს სამშობლოში, რომლისთვისაც აუარებელი სისხ-

*) თალა—ლეკურად ნიშნავს ეზოს-კარმიდამოს

ლი დაუდგრია, არ დასტოვებს თავის მამა-პაპათა ნაამბავარს, შოვა და კიდევ ფენიქსებრ განახლდება მისი მამული.

ეს რწმენა ამხნევებდა, სულს უღვამდა, ძალას აძლევდა ზაქარიას. ეკლესიის ძველს კარმიდამოს მოწესრიგებას ეუღლად დარჩენილი მღვდელი მეცადინეობას არ აკლებდა, ასუფთავებდა, აფართოვებდა და ამშვენებდა. ერთი ბეწვა კარმიდამო ზაქარიამ ეხლა უშველებელი გახადა, გააღიდა და საყვარელ წალკოტად აქცია, მთელი დღეები ჩაუფერხებლივ შრომაში იყო და რაც კი ძალი შესწევდა მარტო ხელს კაცს მუშაობდა. და ტკბილს ოცნებას ეძღვეოდა მომავალზედ: მოვლენ, უსათუოდ მოვლენ და მათი მღვდელი ზაქარიაც მხიარულად დაუხვდება თავისს მრევლს და ფიანდახად გადუშლის ეკლესიის გამშვენიერებულს წალკოტად ქვეულს კარმიდამოს.

ამ რწმენით სტოცხლობდა, სულდგმულობდა, მაზედ აცისკროვნებდა თავისს აზრსა და გონებას და ამყარებდა მომავალს ბედნიერებას.

ერთს მშვენებერს დილას ზაქარიამ დაინახა შორიდან მრავლად მომავალი დაბარგული ხალხი, სიხარულით გული აუტოკდა, პირს ღიმილი მოუვიდა, ცას დაწვიო. ფგონა ეს არის სურვილი ამისრულდა და სპარსეთის ტყვეობიდან ქართველები მობრუნდნენო. მყისვე იქითკენ გაიქრა ზაქარია, შეეგება მომავლთ, მაგრამ საბარლოს პირს კატა ეცა. მოპავალნი ქართველები კი არ იყვნენ, არამედ დაღესტნის ლეკები—ახალი პატრონები საინგილოსი, რომელნიც ქართველთა ნაოხარ ადგილ-მამულზედ დასასახლებლად წამოსულნი იყვნენ. მათ არამც თუ არ მიიღეს ზაქარია თავისს ჯვრით და სახარებით, არამედ მტრულად დაუწყეს ყურება და თავისსკენ გადაბირება მოუწოდებდნენ. ზაქარია არ შედრკა, მხოლოდ უფრო ჩაიკეტა,

ცაცხვის ხესთან მოჩუხჩუხე წყაროსთან კი ხშირად აღარ მიდიოდა. მას შიში შეეკრა გულში, მაგრამ რწმენა, რწმენა იმიანი, რომ ძველ ეკლესიის ნაადგილვეს, სადაც ეხლა ზაქარიას ახალი კარმიდამო მოემზადებინა და თითონაც იქ სტოცხრობდა, უნდა კვლად აღმართულიყო ჯვარი ქრისტესი, გონებიდან არ სცილდებოდა.

განვლო უკვე დიდმა ხანმა, ზაქარია ღრმა სიბერეში შევიდა, ირავლივ ყველა ადგილები ლეკებმა დაიპირეს, დასახლდნენ, მაგრად მოიკალათეს. ზაქარია კი დარჩა მარტო მარტო ეული, მისი ქართველები აღარ მიდიოდნენ; ლოდინში, დაუხსრულებელს ლოდინში, ცდაში, შორს გზისაკენ ცქერაში სიბერემ მთლად ჩამოათოვა და წელში მოკაკავა. ვერც ლეკების ჩამოსვლამ, ვერც ქართველების მოუსვლელობამ ვერ გასტეხა ზაქარია, თავისს კარმიდამოს ძველებურად უმზადებდა ქართველებს ეკლესიისათვის. მოჰყვდა... მაგრამ თავის რწმენა თან წაპყვა და ანდერძათ დაუტოვა მახლობელს ლეკებს, რომ ბრწყინვალე უფლის ჯვარი ამობრწყინდებამ ამ ადგილს და ამიტომ ხელი არავინ ახლოს აქაურობასო.

ღროთა მსვლელობა თავისსა არ იშლიდა, წელიწადი წელიწადს მისდევდა, საუკუნე საუკუნეს... ჩქარა საქართველოში დამკვიდრებულმა რუსეთმა თავი დაუქრა საინგილოს და თავისს სამფლოფლოდ აქცია იგი. ძღვევა მოსილმა რუსეთის მხედრობამ სწორედ იმ ადგილს, სადაც ზაქარიას თალა, ანუ კარმიდამო იყო, ტაძარი აღმართა და მისსიხარლოვეს ქალაქი გააშენა, რასაც მისს პატრონისს ნანახსოვროდ ზაქარიათა თალა ანუ ზაქარიათალა უწოდა.

ზაქარიათა სული კი, რომელიც ფარვანსავით თავისს საყვარელს თალას დამფარვებდა, ხარობდა და კმაყოფილებით იცხებოდა.

ზ. ედილი.

შინაური მიმოხილვა

ნიმუშები ჩვენის დაავადყოფებისა

ჰეტეროზოტის სტუდენტის ბ. ანტონის გულ-ახილმა, გაბედულმა და სიმათლიანმა წერილმა (იხ. ЗАР. 1945 № 281), რომელშიც გულწრფელად აღნიშნულია ჩვენი მოზარდ თაობის, მომავალ მოღვაწეების, მოღუნება, უენერგობა, ხსიათის სისუსტე, განკლებიერება—ზნობრივი სიმწაღტე, ინციტოვის და კეთილშობილი მეტაქობის უქონლობა, მისაგანს ეროი ფაქტი ჰეტეროზოტის სტუდენტების ქრევა-ყოფის, რომელშიც ჩვენში (დაწმუნებული ვარ ბუკრს სხვა ქართველებშიც) მწკავი და ზნობრივად მტანჯველი გრძობა—ფიქრები გამოიწვია. ეს ფაქტი, სეინდა სავალადი, ცხადს ნიშნის გვიჩვენებს ჩვენი ზნობრივ-განებრივი დაავადყოფებისა. აღეგებულმა და ძლიერ გულწრფეობა, აი რა ჩავწერე ჩემს დღიურში. მოგვყავს სიტყვა-სიტყვით, უცვლელად ეს ადგილი:

„ორმოცდა ერთმა ქართველმა სტუდენტებმა ჰეტეროზოტში სხდამაზე გაუწოდებლად სთქვეს: „ილია, როგორც მამულისმეილი, მოსკლავი იყო.“ მომეტებულმა ნაწილმა ქართულ სტუდენტობისა მატეი არ სცა ილიას ხსიანას, თუკადრისა თესზე ადგომა, მთუხერხებლად სცნო დეჰემა ტაქტუანის ილიას მხეცურ მოკვლის დასაგმობად? რა არის ეს? ხორმალური, თუ ავადმყოფურა ასეთი მოვლენა? სად და რომელ მხარეში, რომელ განათლებულ ან, თუ გინდ განათლებულ, ერში ეგადგობას ასე უდიერად თვისს ჰორველ მამულის შვილს? განა წარმოსადგენია, რომ ფრანგმა, ინგლისელმა, გერმანელმა, არამც თუ გულთ და სულთ არ იქნისა, არ იგლოფოს ტრავიკულად, ვერაგულად დაკარგვა უკეთესის მამულის შვილისა, — ჰირიქით სიხარულთ და დაუფრავის თანაგრძობით მიკეტოს ასეთს მხეცურ აქტს? სწორედ წარმოდგენილია? მაგრამ რაც სხვაგან წარმოდგენილია, ეს ჩვენში ფაქტია...“ ეგვიდო

ჩვენი ცხოვრებისა — ჩვენი მომავალი იმედი — სტუდენტობა, რომელსაც მეტეირების ტარში „სწავლის შედეგი — ჰროფიორები, მათთვის მოცლილი, მათთვის მღაღანი“ ჰეშმარტების კვლევა-ძიებას უქადაგებენ, უშეზარად, ხეზრულად ცდილობს შეურაცხყოფის ილიას სსოვას, მოიწონოს ისეთის მამულის შვილის ველურად მოკვლა, რომლითაც მამოფის ვეგლა, ცოტად თუ ბუკრად, შეგნებული ერია! რას მოასწავებს ჰეტეროზოტის ქართულ სტუდენტების აწ ისტორიული საქციელი? მხოლოდ ერთს: შიშიედ დაავადყოფებს... ჩვენ, როგორც ერთნული ორგანიზი, დაავადყოფებული ვართ, ამაში ეტეი არ არის. ეს სავალად, მაგრამ უტყუარი ფაქტია. დაუეკრდით ჩვენს ცხოვრებას: ჩვენში სუფულაფური უკვლამართად სცება, არაფერი ვალაზოტში არ ეტევა, არაფის ბუნებრივ და სხობადობრივ კანონს არ ემორჩილება; ჩვენი სიმათე — უშიშრობა შეშლილობას წააკავს; ჩვენში სიმათლის მქადაგებელი ჰირველი მტარებელია; ჩვენში ვისაც ეი წაუგითავის ხუთიოდ იფე თსიანი ბრამიურ, განათლებულ ჰირად სთვლის თავს; ჩვენში ქვეყნის მსხეულად, ჩაგრულთა მფარველად მიაჩნს თავი იმას, ვინც ორჟერ-სამჟერ შესუებულა სქამზე და აბლა-უბლად უქადაგებს; ჩვენში მწერლობას სწემობენ ისეთნი, რომელთაც „ქართლის ცხოვრება“, „გვეფ. ტუპოსანი“, ილია, აკაცი და სხვა ჩვენი მწერლები და ქართული ღრამატეა არ წაუგითამო; ჩვენში მდგეელი ბუკრს შემთხვევაში მცლობას ექევა, ვაჭარი — ხარბ-ბაცრობას, ვეჭილი მტუფანს ამათლებს და ექომავება, ექიში თინაზობს; ჩვენში... მაგრამ ვინ ჩამოთვლის ყოველივე ჩვენს ნაკლს და დაავადყოფების შედეგს! ჩვენში სხობადობრივი ნიადაგი გასუენილია, მოწამლულია სხვა და სხვა უკვლამართად მიდებულ-მეთვისე.

ბუღ მოძღვრებით, და აი ნუყოფი ასეთის ნიადაგისა: „ორმოც და ერთი“ პეტერბურგელი ქართველი სტუდენტი და „ძმანი მათნი!“

აი რას ვწერდით ჩვენი ამ სამი წლის წინეთ. ეს ჩვენი საკრძნობი მამანი რომ დატყუებულა, ბევრს გაზვიადებულად მოჩვენებოდა, ბევრი ზამთრულად ჩასთვლიდა, რადგან ჩვენი საზოგადოება და პრესა იდეალურად უყურებდა ჩვენს ახალთაობას, ვინაიდან სრულებით არ იცნობდა, როგორც ასპეტული ამბობს, სტუდენტობის აზრ-კრძნობათა მიდრეკილებას, ზნეობრივ ფიზიონომიას და მისი ცხოვრების დაფარულ მხარეებს... ახლა კი ცოტ-ცოტათი ფარდა ქსდება სტუდენტობის ცხოვრებას, თითონ ზოგიერთ სტუდენტებს (ფოცხვარაშვილს, ლადო კეპაშვილს, ასპეტულს და სხვებს) შუქი შეაქვეთ ამსნაკების ინტელექტუალურ ცხოვრებაში. გამაქვეყნებელი ფაქტები და პირადი დაკვირვება საბუთს გვაძლევს გულ ახდილად აღვაჩინოთ სამწესრო მოვლენა, რომ ჩვენს მიზანდათაობას, ნასწავლ-დამლომინებს წინ სვლის, ჰორგოსის ნიშან-წყალი არ ეტყობათ და დარჩენილან იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაში იყოფებოდნენ ამ ორმოც წლის წინეთ... და რანაირი იუვენს ამ ორმოც წლის წინედ ჩვენი „ნასწავლი“, ამას ჩვეულებრივი გულანდილობით და სწორად მოკვიტნობს მამიხილვ საზოგადოებრივ ცხოვრების ნიჭიერი შემატინე ს. მესხი: „ვიინე კი ჩვენს, გერედ წოდებულ „ნასწავლ“ კაცებს დატყვირების და იცნობს, ამბობს ს. მესხი, უკუტყვირ, შენიშნავდა, რომ იმათში იშვიათად მოიპოება მართლად ნამდვილად სწავლული და მეცნიერებაში განვითარებული პირები. მაგრამ რას ვამბობთ? არამც თუ მეცნიერებაში განვითარებულს, ისეთ ქართველსაც ძნელად ნახავთ, რომელზედაც შეიძლება ითქვას, რომ, აი, ეს კაცი სწავლისკან გონებითი და ზნეობით გაკეთილშობილებულია“ და ისე არ სცხოვრობს

და მოქმედებს, როგორც დანარჩენი, უმეტრებაში ჩავარდნილი, ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა.

მართლაც, ბევრს ჩვენთაგანს რუსეთის სხვა და სხვა უმაღლესი სასწავლებლებში, უნივერსიტეტებში და აკადემიებში, მიუღია სწავლა; ბევრს საუკეთესო პროფესორების ლექციები მოუსმენია. ერთის შესწავლით, ბევრს ჩვენთაგანს ვგელა გარემოება ხელს უწყობდა, რომ განათლებული, მეცნიერი და საზოგადოების გამოსადეკი და იმის წარმატების წინ გამძღოლი წვერი შექმნილიყო, მაგრამ ნამდვილად კი ვსწავდით, რომ ამ ნასწავლთ რიცხვში თითქმის არც ერთი არ მოიპოება ისეთი, რომელიც რითიმე ამტკიცებდეს ჩვენი საზოგადოების წინამძღვრობასა და წარმატების სურვილს. წინამძღვრე ამისა, ჩვენი ნასწავლები დაღწერი განათლებულ საზოგადოების წრეში და თავის სწავლის მთლილ იმაში ხმარობენ, რომ, რაც შეიძლება, მომეტებული საკვები შესძინონ თავიანთ მუცელსა და ჯობს... — ვინ ითქვამს, რომ ეს სიტყვები დაწერილია 1872 წელს? ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს დასურათ-ხატება ქართულ „ნასწავლისა“ კუთვნიის ს. მესხს და არა თანამედროვე ჩვენი საზოგადოების შემატინეს? სანაწაროდ და სავალადოდ, ის, რაც ამ ორმოც წლის წინედ თქმულა, იგივე თითქმის უცვლელად ითქმის თანამედროვე ჩვენ განათლებულად „ახალგაზრდასე. იმ განსხვავებით კი, რომ მესხის დროს სტუდენტობის რიცხვი მცირე იყო, ახლა კი ამ რიცხვმა ერთი ათად იმატა... უოველ წლობით ასობით და ორასობით ათავებენ უმაღლეს სასწავლებლებს ჩვენი სტუდენტები და ბრუნდებიან სამშობლოში „დამლომინანი“... და აქ შეუმიწვლად, უკვლად ინთქმის ფუქსავტ ცხოვრების უფსკრულში. ნიშანი მათის მოქმედებისა, მოღვაწეობისა, განთლებებისა თითქმის არ ეტყობა ჩვენებურ საზოგადო საქმეს. ჩვენს

დიტრატურას, თვითშეგნებას... ერთად ერთი ახსარება, სხად ისინი სიტყვების ნიშნაწილად იხეიან — ეს არის ჩვენებური „ბანკობა“ და „კანკობა“. სხვა შემთხვევაში კი; არარას მტოდნე, არარას მტრნობი, წვრილმან თავმოყვარობით გაფლენილი, უმინანაგო — გაუტანელი, მოშურნი და ორზირი, უიდელო მინანაგებს. ის თვის უმიზნო და უსაფრთხო ცხოვრებას... და სწორეთ ასეთი უნდა გამოდგეს ცხოვრებაში ჩვენი სტუდენტი, თუ მივიღებთ მხედველობაში სტ. ახმეტელის მიერ ჩვენი სტუდენტების დახასიათებას!

დღეს საქართველოში ბევრს შვერდს უმშვენიერეს ნიშანი უმაღლეს სასწავლებლის, მაგრამ სუბედროდ გვაკლავს საუკეთესო დამამშვენიერებელი ნიშანი ნამდვილ „კანასთლებულ“ ზირისა — თვითნობობიერება და მოვალეობის შეგნება. „ნურავინ ნუ მიწვევს და არ შეიძლება არ მოვიყვანო აქ ის, რომ წარსულ საუკუნის ქართული მწერლობა უმეტეს ნაწილად „უდამლომ“ მუშაკების ხელში იყო. დამლომბანები ან სულ არ სწერდნენ, ან მარტო თავში სწერდნენ, სანამ სიუამწვილე უღვიობათ გულში და გაიტკობდნენ ადგილს სანსურში“. ეს სიტყვები ბ. ი. მუხარვასი, განა დღესაც არ ახასიათებს ჩვენს მწერლობას და მწერლებს? განა დღესაც ჩვენი ჟურნალისტები, დიტრატურა და საზოგადო საქმეები ამ „უდამლომბობის“ ხელში არ არის? ასე უკუდამართად მიდის სუკველადფერი ჩვენში.

ვინ უნდა აცოდეს, ვის უნდა ჰქონდეს შეგნებელი, თუ არ „ნასწავლათ“, რომ უფლები განცალკევებული ზირი საზოგადოების წევრია, რომ ზირად ინტერესების კარდა მას უნდა აინტერესებდეს არა ნაკლებ საზოგადო ჯირკვარში, საზოგადო საქმე და რომ საზოგადო კეთილდღეობის შედეგი კერით იმისივე კეთილდღეობა იქნება. ჩვენ, „ნასწავლათ“, არ ვგანსივს, დაკვივიწინია ის უტურანი ისტორიული ფაქტი, რომელიც მეთხე კლავს

სის მოწაფემაც იცის, რომ ძველი საბერძნეთის ბრწყინვალე და დიადი წარსული ნათვითი მისი შვილების უნგარო და თანხმობითი მრამა-მტკმედობისა და რომ, რადესაც იმაში შეესტრდა და ბოლოს დაეცა ეს თვისებები და გაშეფლა ტურულ-მუსლიმობა, გაუტანლობა, უთანხმოება, საბერძნეთი დაეცა ზნეობით, ჭკუით და ზოლიტიკურად.

ტუდი ნიშნია ჩვენს ცხოვრებაშიც ის მთვლენა, ვიტყვი თ ს. მესხის სიტყვით, „რაც დრო და ვაში მიდის თან და თან ეტრობა, რომ ჩვენს ხელს აკლდება თავმოყვარობა, აკლდება კეთილმობური მიდრეკილება ხასიათისა და ემატება სულის სიმდაბლე და მხოლოდ თავის (ანუ უკეთ რომ ვსთქვამთ, კმჭის) მოყვარება... ეგვლა მზათ არის თავის მოამეს სამარე გაუთხაროს, თუ გიიცის, რომ ამითი იმას რამე შეემატება“ (ნაწ. 147 გვ).

ვინ უნდა გაუმელავდეს, ვინ უნდა წინ აღუდგეს ასეთ ჩვენს ზნეობრივ დაწვრილმანება-დაბუჩავებას? თორეტიოდლად რომ ვსთქვათ, ჩვენი „ინტელიგენტები“. მაგრამ, ვაცლახ, რომ მით არ შეუძლიან შეიტანონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჭუმანიურა აზრი, ცხოველი გრძნობა, საქმის სიფარული, მხნეობა, უნგარობა და შრომა! ასეთი დასკვნა კაცობადებულად ნურავის ეჩვენება...

ჩვენი „ნასწავლი“, სხვა და სხვა კარემობათა მეთხებით, უნადაგოა, ორკანიულად არ არის შეკავშირებული წარსულთან და მით უმეტეს თანამემამულეების აწმულო ცხოვრებასთან... ამნირმა კანმა, ახა როგორ რა უნდა მოიქმედოს? და აგი არც კი გამოდის ის საზოგადო ახსარებაზე და, თუ როდისმე გამოდის, ზირადის, ანკარიშებით და სადასო ინტერესებით გატაცებულ-გაფლენილი. ამის მაგალითს უფრო ხშირად ქუთაისის ინტელიგენცია გვაძლევს.

ჩვენში სამწუხაროთა სშირად კარგად მომც

ზადებულნი და შეტნიერების სხვა და სხვა დარტყმა დასკლოვნებული ახალგაზდანიც ვერ იხიენ ფხვს, უნარს, ცნოგვლს ენერგას და მხურვალე მოქმედებას; ისინი მოძმეთა სკეუთილდელოდ და სსსარტებლოდ ვერ იყენებენ თვის ცოდნას, რადგანაც მათი სწავლა-განათლება თავისებურობას ახის შიკვლებული, უცხო ნიადაგზეა აღმოცენებული და მას არ ავგორვინებს გარკვეული სსხოვადობერივი გრძნობა და თვითცნობიერება. შეიძლება მათ სურვილი ძლიერი ჭქაინდესთ მუშაობა მოღვაწეთის, შეიძლება მშეგნიერნი ადამიანებიც იყენენ: ზირინი, უნგარინი, მოსიყვარულენი. მგრძნობაარენი, ჭკვიანიც, მაგრამ არა აქვსთ ენერგია, ოცნება-მისწრაფების განხორციელება არ ძალ-უძთ, მათ უფრო ეხერხებათ გამლერობა, ე. ი. უნიადგოა ანაღიზი, უსისხლბორცო, განყენებული მსჯელობა, ვინემ აქტიური, გატაცებული მოქმედება. ჩვენ შიაც განდნენ რუდისები, ღაფრეცები... ესენი გი, რაც გინდ განათლებულნი და ზნეობრივად სმეტანნი იფუნენ ისინი, ვერ შესძლებენ ცხოვრების განახლებას, რისმე საშეიღისშიღლოს გაკეთებას, რადგანც, ტურგენიევის სიტყვით, მათ „სისხლი არ აქვთ“. ტიზი ასეთის სიმშატორის, მაგრამ „უსისხლბორცო“ ქართველი მომავალი მოღვაწისა, დაგვისსიათა ბ. ასმეტელმა თვის სტატიაში „Наша молодежь“ ში...

დაახ, ჩვენი დაავადყოფიება უიჭველი ფაქტია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს ავადყოფიება უკურნებულ სქნად გადაბმძმებ და ბოლოს მოვლილებს. ბევრჯერ ეთიფილას სპართიფლო თვის სხვარდელი ისტორიულ ცხოვრების განმჯელობაში ასეთ სსშიმ მდგომარეობაში, ბევრჯერ თითქმის შექვევტილას მისი მჯვის ცემა, მაგრამ ძალი მოუკრების და ზნეობრივად „ფენქისებრივ განახლებულა“. მართლაც კრი, რომელმაც შექმნა ოქროს სხნა მტნიერება-ლიტერატურაში, რომელმაც დაბადა და აღზარდა შოთა, გიორგი მთაწმინ-

დელი, ზეტრაწი, ილია აკაკი, გორგასლანი, თამარი, ირაკლი, რომელმაც სსშინელს ზოლიტეურს გრიგალში და ქარტუხილში შეიმუშაფა თავისებური სსხემლწიფობორივი და იურიდიული წყობილება, რომელიც დარჯად ედა ქრისტიანობას და მისი გამანათლებელი სსივი შექმნიდა მიუფელ მთებში და უდრანტიეებში, რომელმაც დაბადა უთფაფავნი გმირნი—გოლიათები,—ეს კრი, გვრწამს, გადიტანს იმ ავადყოფიებასაც, რაც სსმართლანად უჩვენა ბ. ასმეტელმა, და მისი შვილებიც ახლო მომავალში გაშიიჩენენ ენერგას, სიმხნევეს, შრომას და სსქმინაობას... ჩვენ შიაც განდლებიან ინსაროვები და სოლომინები—ზირნი“ უკურეველის რწმენისა და ღუფდაფვის ენერგიისა.

მხოლოდ ეს დრო მაშინ დადგება, როდესაც ჩვენი თანამედროვე რჯახი იფერს იცვლის, განახლების გზას დადგება; როდესაც უკუავადებს უშიინარსობას, ხელს ჩაჭკადებს გონიერულ იდეას; როდესაც მასში გაისმის, „ბითურ-ცნის“, „შეესვთა ხელადით დღინა“, „ტანცი-მანდის“ და ჭორიკანობის შაკიერ, სჯა-ბასი სსჭირ-ბოროტო კითხვებზე, ჩვენს ცხოვრებასზე, ჩვენებურ მოღვაწეებზე, ლიტერატურაზე, წარსულზე და მომავალზე; როდესაც ახლანდელი ჩიქორთული შეიცვლება ტიპიდ-ხმოვან, „დამტკბარ“, „დაშეგნიერებულ“ ქართულ კილოთა. აქ, ამ სურთფისა სსქმში, დიდად როლი ქართველ დიდისა, რომელსაც დღეს-დღეობით „გარდაცვლილი აქვს გული ცხოველი“ და რომელიც უფრო შოკისკისე „ქალბატონები“ არიან, ვიდრე შეტენებული ამდნდელნი „აცურ“ კაცებისა. მათ უნდა შეეგონ თავიანთი „წმინდა ფლი“, მათ უნდა გამოუზარდონ მამულს შვილი, მათ უნდა ჩაუნერგონ უკანასკნელს გრძნობა ერთობისა, ძმობისა, ერთი სიტყვით, მათ უნდა მისცენ მომავალი ხალხს...

„ღედაფ! ისმინე ქართლის ვედრება!“
 ი. ვართაგავა.

უცხოეთი

მოზღაპრეთა ეროვნული კავშირი ამერიკაში*)

ამერიკელ მასწავლებელთა და მეტად-რე საბავშვო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგეთა შორის ყურადღებას იპყრობს ახალი განმანათლებელ-სამხიარულო საშუალება: ბავშვებისათვის ზეპირი გადაცემა ზღაპრებისა, ლეგენდებისა და მოთხრობებისა, უფრო კი ისტორიულ-მითოლოგიურ შინაარსის ამბებისა. მოთხრობები წინდაწინ დამზადებულია და ბავშვებს უამბობენ სკოლაში, სათამაშო მოედანზე და სამკითხველოებში. მასალა, რასაკვირველია, ერთ და შინაარსით ბავშვთა გონებას შეეგუება. კარგად ნამბობი მოთხრობა ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს ბავშვებზედ. ზეპირ გადაცემას ვერ შეედრება ვერც ცოცხალი* გაკვეთილი, ვერც ხმა-მალა კითხვა: იგი მეტს ცოდნას აძლევს ყმაწვილს.

რავდენი სიცოცხლე შეაქვს მასწავლებელს, როდესაც ის უფერულ, მოსაბეზრებელ გაკვეთილის შემდეგ, შემოისვამს გარშემო ბავშვებს და სადათ, მხიარულად რომელსამე ზღაპარს მოუყვება.

თავდაპირველად ამ საშუალებას ამერიკაში საბავშვო სამკითხველოების გამგეთ მიმართეს, იმ აზრით, რომ ბავშვებში აღეძრათ ამა-თუ-იმ დარგის წიგნების კითხვის ხალისი. ინგლისში და ამერიკაში წიგნთ-საცავის გამგებებმა, უკვე იციან, როცა რომელიმე ამბავს წაუკითხავენ, ან უამბობენ ბავშვებს, წიგნების მოთხრობილება იმავე ანუ იმის მიგვარ საკითხებზე ძლიერ იზრდება და დიდხანსაც გატანს. ეს შეინიშნება არა მარტო საბავშვო სამკითხველოებში, არამედ საზოგადოთ მოზრდილთა წიგნთ-საცავებშიაც,

სადაც კითხვები იმართება ლექციების სახით.

ამერიკაში საბავშვო ბიბლიოტეკების გამგელ საზოგადოთ ქალები არიან. მსმენელთა მოსაზიდავად გამგენი დიდს ყურადღებას აქცევენ სამკითხველო დარბაზის მოწყობილობას. იმას, შეძლების დავგვარად, მორთავენ ლამაზად, გემოვნებით, კედლებზე სურათებს ჰკიდებენ, ფანჯრებზე ყვავილებს სდგამენ, ბუხარში მოგუზგუზე ცეცხლია და ამ კონტა, თბილ და სასიამოვნო ნათელ ოთახში მოსიყვარულე ალერსიანი გამგის გარშემო, ხალით დაფენილ იატაკზედ სხედან ბავშვები 20—30-მდის, და—სულ განაბული უსმენენ მოლაპარაკეს. იგი თავისუფლად, აუჩქარებლივ იწყებს თავისს მოთხრობას და ბავშვებს თვალწინ ხან ერთი და ხან მეორე სურათი ეშვლებათ.

ამ ამბის გადაცემას თავისებური ცოცხალი კილო აქვს; მასში ჩაქსოვილია ლექსიც, ზეპირ გადმოცემაც, ისტორიული მოვლენაც. და ამ რიგათ თავდება „Story Hours“. მან მხიარულად და ცოცხლად ჩაიარა, რადგან მოსაუბრე წინადადეგ მოეზადა, შეისწავლა ამ საქმის აუცილებელი საჭიროებანი, გაიარა მთელი კურსი გადმოცემის ხელოვნებისა და საზოგადოთ მოზღაპრეთაგან ბიბლიოტეკის სკოლებში. ადამიანის ხმა და მისი სიტყვა დიდებული რამ არის; იგი თავისებური მუსიკაა, და გადმოცემის ცოდნა უფრო ძლიერებს და მისს ბუნებრივ თვისებას სასიამოვნოდ ჰხდის, მეტადრე თუ ტემა საინტერესოა და კარგად მოზადებული—Story-Hours-ის დროს დარბაზი

*) იხ. Вѣст. Вост. 1910 წ.

გაქედილია ბავშვებით. ერთსა და იმავე ამბავს ორ-სამჯერ იმეორებენ. დარბაზის კარებთან და ქუჩაში მომლოდინე მსმენელთათვის.

ამერიკაში წიგნთ-საცავსა და სკოლას შორის მკიდრო კავშირი არსებობს. ისინი ერთმანეთს ხელს უწყობენ საქმის წესიერად წარმართვაში. სკოლა და წიგნთ-საცავი ისე არიან დაახლოვებულნი, რომ მასწავლებელნი ხანდისხან წიგნთ-საცავს შურით უყურებენ. ბიბლიოტეკის გამგენი თავიანთ ზრუნვაში ხანდისხან ძალიან შორს მიდიან. მაგ. ზოგიერთს ცალკე ცალკე ოთახი აქვს, სადაც მოწაფეები გაკვეთილებს ამზადებენ და რჩევასა და დახმარებისათვის ხშირად მიმართავენ ხოლმე გამგეებს. სკოლასა და ბიბლიოტეკებს შორის კეთილ-განწყობილებაა, ერთმანეთს გვერდში უდგანან. მასწავლებლებმა კარგად შეიგნეს ზეპირ გადაცემის ძალა, გავლენა და თავიანთ სკოლებშიაც ეს წესი შეიტანეს. ისტორიის, ლიტერატურის და თვით დედ-ენის სწავლებაც უფრო სახალისოა, თუ გადაცემა ცხოველი სიტყვის მონაწილეობით ხდება.

ხალხური ეპოსი ძველ დროში ზეპირ-ვადმოცემით იყო დაკული.

მოსიარულე მოღვესეები, რაპსოდები და სხვა გვარი მომღერალნი, ერთ ადგილიდან მეორეში გადადიოდნენ, მოუთხრობდნენ რომელსამე ლეგენდას, დამღერდნენ სიმღერას, რომელიც სამშობლოს წარსულს შეეხებოდა, მსმენელთ კოცხლად წარმოუდგენდნენ თვალწინ ამა თუ იმ სამშობლოს გმირებს, და მით გააცნობდნენ სამშობლოს თავ-გადასავალს და გონებით შორს გაიტაცებდნენ; მოღვექსეს მოსვლა ყველასთვის სასიამოვნო და სამზიარულო იყო. დედა-ენას ბავშვი თავ-დაპირველად დედისა ანუ გამდელისაგან

გაგონილს ზღაპრების საშუალებით სწავლობდა. ბავშვს კოცხალი ზეპირი ვად-მოცემა უფრო მოსწონს, ვიდრე კითხვა. „Story Hours“-მა ხერხიანად გამოიყენა ბავშვთა ამ გვარი მიდრეკილება, განაერთარა იგი და თავს იდგა, ზღაპრების შემდეგ: გაეცნო ხალხური ლეგენდები, მითოლოგია, ხალხური ეპოსი არა მარტო სამშობლოსა, არამედ უცხო ქვეყნებისაც. ოდისეა, ილიადა, გაიავათა, კალევადა და ჩრდილოელთა სხვა მითოლოგია საუკეთესო ტემებია კითხვებისათვის.

მოზრდილ ბავშვთა მოთხოვნილებს დასაკმაყოფილებლათ უფრო სერიოზული ისტორიული მასალა მზადდება. აი პროგრამის ნიმუში 1908 წ. დეკემბრისა და 1909 წ. იანვრისათვის, ერთ-ერთის მაღალ პირველ დაწყებითი სკოლისა, სადაც სწავლობენ 12—13 წლის ყმაწვილები.

მოთხრობანა საბერძნეთის შესახებ

1. საბერძნეთი, მისი ადგილი ცივილიზაციაში.
2. ბერძენთა მითები.
3. მოთხრობა ერთ-ერთ საბერძნეთის გმირის შესახებ.
4. ისტორიულ-ბიოგრაფიული მოთხრობა.
5. დღე ძველ ათინაში.

მოთხრობანა გერმანიის შესახებ

1. გერმანელები ისტორიისა და მწერლობაში.
2. მოთხრობა გერმანელების ზნე-ჩვეულებათა შესახებ.
3. საუკეთესო გერმანული მოთხრობანი.
4. გერმანელი კომპოზიტორები.

5. რავდენიმე მოთხრობა რეინის შე-სახებ.

ზეპირ გადმოცემას სათამაშო მოედ-ნებზედ უპირველესი ადგილი უკავია, როგორც გასართობ საშუალებას. მხი-არულ თამაშისა, ფიზიკურ ვარჯიშობისა და სირბილის შემდეგ—ბავშვები დიდის ხალისით უგდებენ ყურს რომელსავე მო-თხრობას. საზოგადოთ, სათამაშო მოე-დანზედ პატარა სუსტ ბავშვებს რძეს ას-მევენ; ამის შემდეგ კი კობრა მოთხრო-ბით უმასპინძლებიან.

ბიტსბურგის საბავშვო ბიბლიოტეკაში, სადაც Story Hours-ის საქმე ჩინებულად არის დაყენებული. შედგენილი ჰქონდათ რამდენიმე სისტემატიური სერიები; 1900 წელს—უამბობდნენ ჰომერის ილიადას და ოდისეას; 1901 წელს—მოთხრობებს ჩრ-დილოეთის მითოლოგიიდან; 1902 წელს—ლეგენდებს მეფე არტურზე და მის რაი-ნდებზე; 1903 წელს—ლეგენდებს კარ-ლოს დიდზე და მისს პალადინებზე; 1904 წელს—მოთხრობებს—რობინ გუდ-ზე, მისს მხიარულ ამხანაგებზე და სხვა ძველ ლეგენდებს; 1905 წელს—მოთხ-რობებს ტემზეზე შექსპირიდან, შემდეგ ორი-სამი წლის განმავლობაში ამ მოთხ-რობებს რამდენჯერმე გაიმეორებდნენ, ზოგი მათგანი უკვე დაბეჭდილია. ამას გარდა დაბეჭდილია მოთხრობათა სია Story Hours-ისათვის. პატარა ბავშვებს იქვე უამბობდნენ ბიბლიურს ისტორიებს, ადგი-ლობრივ ლეგენდებს, საყვარელ ზღაპ-რებს და პატარა სახალისო მოთხრობებს.

სახალხო განათლების მოღვაწეებმა ამ ახლად შემოღებულ ხერხით ისარგებლეს და 1908 წ. შეერთებულ შტატებში ახა-ლი საზოგადოება სახ. National Story teller's League დაარსეს ზეპირ გადაცემის დედა აზრის გასავრცელებლად. უმახლო-

ბელესი მიზანი ამ საზოგადოებისა განი-საზღვრება მის წესდებით ამ რიგათ:

§ 1. დაეხმაროს გარდმოცემის განვი-თარებას საზოგადოთ და ისტორიულ და მითოლოგიურ თემათა ხმარებას სასწავ-ლებლებში და სხვა განმანათლებელ და-წესებულებათა შორის.

§ 2. ხელი შეუწყოს თემათა შედგე-ნას და ამბავთა წერას, კლასიკურის მწე-როლობის წყაროების მიხედვით.

§ 3. გახდეს შუაგულ ადგილად ცდი-სა და მოთხრობათა მზა-მასალის გასაზი-არებლად.

§ 4. თვალ-ყური ადევნოს საზოგადო მწერლობას, საუკეთესო ისტორიულ ეპი-ზოდების ამოკრებას, რომელნიც განათლე-ბის მიზანს ღირსეულს სამსახურს გაუწევს და მათი გარდაცემა ბავშვთადმი მადლიან-მარლიანად იქნება. მოაქციოს წრეებ-ში იგინი, ვისაც ყურის გდება უყვარს და ისინიც, რომელნიც მარლიანად უამ-ბობენ, როგორც მაგალითებრ, საბავშვო ბაღთა და წიგნთ-საცავის გამგენი და კვლანი, რომელნიც დანიაზებულნი (და-ინტერესებულნი) არიან საქმით და ჰსურთ, შეძლების დაგვარად ჯეროვანი დახ-მარება გაუწიონ ამ საქმეს. გარდა ამისა საზოგადოების წევრნი სხვა და სხვა ლე-გენდებსა და ზეპირ გადმოცემებსა ჰკრე-ბენ.

ამ კავშირის თავმჯდომერე რიჩარდ უიჩ, საუკეთესო მოზღაპრე და ზეპირ გადაცემის ერთი შეგნებული მებრძოლ-თაგანი, თავგამოდებით მუშაობს, ავრცე-ლებს საზოგადოების დედა აზრს, ლექ-ციებს ჰკითხულობს და სამაგალითო გა-კვეთილებს აძლევს.

სახელმწიფო სკოლები ამერიკაში (Sim-mer—Schools) პირველ დაწყებითი მას-წავლებელთათვის — უსათუოდ უთმობს

დროს „Story Hours“-ს. მასწავლებელი ამ საქმის წარმოებას სწავლობენ, ერთმანეთს ზღაპრებს უამბობენ, ახლებსა ჰთხზვენ, საუკეთესო სამაგალითო გაკვეთილებს ისმენენ. ამ რივად, ამერიკაში მოსიარულე მოზღაპრეთა დასი აღორძინდა; ესენი ფასით ერთ-ადგილიდან მეორეში გადადიან, სამაგალითო მოთხრობა-გაკვეთილებს აძლევენ მასწავლებელთა და ბიბლიოტეკართა ჯგუფს „Story Hours“-ის მომავალ მოზღაპრეთა. როგორათაც ეს საზოგადოება და თვით აზრიც აღორძინდა იმ მუშაობის დროს ტენესის შტატის უნივერსიტეტში, სადაც 1903 წ. მოიყარა თავი 1000-მდე მასწავლებელი. ჯგუფი მასწავლებელთა, რომელნიც ლათინ-ტენესისში მონაწილეობას არ იღებდა, საღამ-საღამოობით მოიკვებამდნენ ხოლომე მწვანე ბალახზე და უამბობდნენ ერთმანეთს სხვა და სხვა ისტორიებს: ყოველივე ეს ამ მშვენიერს ზაფხულის საღ-

მოს ისე მშვიდად, მომხიბლავად ხდებოდა, რომ ამ წრის მონაწილეთა რიცხვი დღითი-დღე თან-და-თან იზრდებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ამ რიცხვმა თითქმის 100 გადააჭარბა და კურსების დამთავრებისას მწკობრ-მთლიან წრედ გადაიქცა და იგი მომავალ კავშირს საფუძვლად დაედო. კავშირს თავიანთი ორგანო აქვს. სახელად „The Story“; მხოლოდ მეორე წელიწადია, რაც ეს კავშირი მოქმედებს, მაგრამ იგი ფართოდება, თავგამოდებით ემსახურება ამ საქმის მოწესრიგებას; ყოველის მხრიდან მათ საგულისხმო ამბები მოსდით, რომ ბავშვები დიდის ხალისით და ყურადღებით ისმენენ ზღაპრებსაო. ვისაც ეს სასიამოვნო ამბავი და ბავშვთა ცხოველი ხალისი ერთ-ერთ უმთავრეს აღმზრდელლობით ძალად მიაჩნია, დავკეთანხმება, რომ ეს ახალი საქმე დიდ ყურადღების ღირსია, რადგან მომავალი მისია.

თ. კ—ლი.

დასაწყისი სკოლების მასწავლებელთა ჰენსია

ბირველ ივნისს 1910 წელს უმაღლესად დამტკიცებულის კანონის ძალით უოველ გვარ დასაწყისი სკოლების მასწავლებლებს, რომლებიც 1911 წლის ბირველ იანვრამდის ჩაეწერებოდნენ საჰენსია კასში, ენიშნებათ ჰენსია და მასთან ჩაერთიებათ ძველი სამსახურის წლებიც. ამ სახლმა კანონმა უკვე იყო მოქმედება რუსეთში. წარსული წლის 1 ივლისიდან ამ კანონის ძალით ვიდენსეის სამრეფლო სკოლის მასწავლებელს სანდრიკაილის 42 წლის სამსახურის შემდეგ წლიურ ჰენსიად დაუნიშნეს 1236 მ. 94 კ. სანდრიკაილო დელსაც სამსახურშია და მისი ჰენსია

თან და თან იმატებს. ეს მაგალითი ფრად მანუტეკებელია ჩვენური სახალხო სკოლების მასწავლებლებისთვისაც. საჭიროდ მივაჩნია აქვე მოვიყვანოთ ცნობები თუ რას უნდა მოაქვოდნენ სახალხო მასწავლებლები, რომელნიც 1911 წლის 1 იანვრისთვის ჩაეწერნენ საჰენსია კასში, 5—10—15, 20—25—30, 35—40—45 წლის სამსახურის შემდეგ, ამ ცხრილის მიხედვით უველა გამოიწიბოს რამდენი ერტება მას წლიურად ჰენსია, თუ 1911 წლის 1 იანვრამდის საჰენსია კასის წევრად ჩაეწერია.—

მასწავლებელთა წლოვანება სამსახურში უცვლის დროს											
	17 წელი	18 წელი	19 წელი	20 წელი	21 წელი	22 წელი	23 წელი	24 წელი	25 წელი		
ფეხ. გადლ. პენს. პენს.	ფეხ. გადლ. პენს. პენს.	ფეხ. გადლ. პენს. პენს.	ფეხ. გადლ. პენს. პენს.	ფეხ. გადლ. პენს. პენს.	ფეხ. გადლ. პენს. პენს.	ფეხ. გადლ. პენს. პენს.	ფეხ. გადლ. პენს. პენს.	ფეხ. გადლ. პენს. პენს.	ფეხ. გადლ. პენს. პენს.	ფეხ. გადლ. პენს. პენს.	ფეხ. გადლ. პენს. პენს.
5 წლ.	32*	31	30	30	29	29	29	29	28		28
10	66	65	64	64	63	63	63	62	62		62
15	107	106	106	105	104	104	104	103	103		103
20	153	152	151	150	149	149	148	147	146		146
25	217	216	215	214	213	212	211	210	209		209
30	307	306	305	304	303	302	301	300	299		299
35	439	438	437	436	435	434	433	432	431		431
40	657	656	655	654	653	652	651	650	649		649
40	1037	1036	1035	1034	1033	1032	1031	1030	1029		1029
50	1757	1756	1755	1754	1753	1752	1751	1750	1749		1749

* ქ ცხრილში სტუდრო კაპიტბო ან არას ნაჩვენებო.

სამეცნიერო მიმოხილვა

ზოოფისიოლოგია

დ—რი ცელლი

გამოცდა ცხოველთა სამეფოში

როგორ თუ ცხოველების გამოცდაა?—
წამოაძახებს შეითხველი. განა ჩვენ არ შეგნ-
ტრით ცხოველებს, რომ ისინი სრულიად არ
ზრუნავენ და თავს არ იტყევენ გამოცდაზედ,
როგორც მაგალითად ჩვენი შეილებით, იტ-
ყვის შეითხველი; ტუელიად არ შეინიშნა სსარ-
ტულიად ერთმა ინგლისელმა, რომ გერმანიაში
მთელი მცხოვრებლები მაშთა სქესისა ორ
კლასად განიყოფიანო—ერთთა გამოცდელი
და მეორე გამოცდელი.

რასაკვირველია თავისუფლებაში მყოფ ცხო-
ველებს არ აწუხებს არავითარი გამოცდის ში-
ში, თუ გამოცდად არ ჩავთვლით. მეტოქეთა
შორის ბრძოლას, სადაც უნდა გადაწყვეს რა-
მელ მათგანს აქვს თავისი მიდრეკილებით და
ცხოვრების სახით მეტი უნარი სცდელის
მოპოვებაში. მაგრამ ჩვენი შეილები ცხო-
ველების საქმე ცოტა სხვანაირად არის. რა-
დენადაც მეტი ჭაფის ამტანის ცხენი ან ძა-
ლი, იმდენად ის მეტად ფასობს. ამიტომაც
ძველ დროშიც იმართებოდა სიბრძნე და
დღე, რაც შეკვირდა დაფასებულ ჰომერის
მოთხრობებიდან. ძაღლების გამოცდა კი ახლ
დროების საყოფია.

მაშინ, როდესაც სიბრძნეში და დღეში
მხედარიც ისეთი როლს ასრულებს, როგორც
ცხენი, ძაღლების გამოცდის დროს კაცნი ცო-
ტა განზე სდგან, თუმცა მას დიდი მნიშვნე-
ლობაც აქვს.

ამ შემთხვევაში ცხენის ან ძაღლის თითო-
ეულს ჰატროსს უნდა, რომ მისმა ცხოველმა
ჯილდო აიღოს; აქ, ცხოველთა ბუნებრივ. მი-

დრეკილების გარდა; დიდი მნიშვნელობა აქვს
შთის გაწროვნასაც.

დღეის ან ჭენების დროს ჩვეულებრივად
ეველა მუყურბელი მიხვდება რომელი ცხენი
მირბის უფრო სწრაფად. მაგრამ ძაღლების
გამოცდის დროს, განსაკუთრებით მონადირე
და პოლიციელი ძაღლებისა, სადაც უმთავრე-
სად ძაღლის აღლოა საყურადღებო, ვხედავთ
ისეთს გარემოებას, რომელიც სპეციალისტე-
ბისთვისაც გაუგებარია. აი ამ ძაღლების გამო-
ცდას მივაქცევთ ამ სტატიაში შეითხველის
გულის-ყურს.

ძაღლის გარკი აღლო, გრძნება. იმიტომ
არის საჭირო მონადირისა და პოლიციელისა-
თვის, რომ იმის საშუალებით აღმოაჩინოს ისეთს
რასმე, რაც კაცის გრძნობათათვის მიუწოდ-
ებელია. ცოტა ხნის წინად ერთს კაცს სწან-
დაუს ახლო შეუმტვრეის საქათმე და მოჭანურს
ცხრა ჭათამი. პოლიციელებმა, რასაკვირველია
ქურდისა ვერაფერი გაიგეს. ჩვენ, ადამიანებს
შეგვიძლია თვალთ აღვნიშნოთ კვალი ე. ი.
როცა ფეხის კვალი დამეკვდება თოვლზე ან
ქვიშაზე, რაც, რასაკვირველია, იშვიათად მო-
ხდება. ძაღლის ცხვირისთვის კი სრულიად
საკმარისია ის სუნი, რაც ქურდმა დასტოვა.
ძაღლი ჩვეულებრივად (გამონაკლისზედ ქვე-
მოთ ვიტყვი) უძღურია ქურდის ჰოვანში
მხოლოდ მაშინ, როცა ძლიერ გვიან მაგნო
კვალს, ან და თუ გაირბინა ისეთი ქუჩაზედ,
სადაც ბევრს გაუვლია და ძაღლის ცხვირს
აუარებელს სუნში არ შეუძლია ქურდის სუნის
გარჩევა. ამიტომ კარგს ძაღლს ამ მხრით შე-

უძლია დიდი სარგებლობის მოტანა ქალაქს გარედ. ზემოთ მოუყვანილ შემთხვევაში გაუშვებს ქუჩის სიძობრად ორი ძაღლი, იმათ მალე მიატევენ კვალს და მიადგენ ერთ ზოლოთელ მუშის სახლს, მუშა დაპატიმრეს.

მონადირისთვის ძაღლის უნისვას ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ უძაღლოდ მონადირე მხოლოდ „ნასეკარი-მონადირე“. ხშირად გამოჰყვანს მონადირეს უძნელდება დახსნვა, რომ მის ახლოს ნადირი დაიძალა, თუ მას არ ანიშნებს მისი სარწმუნო თანამგზავრი. ძაღლი სუნით მიატევენ ხშირ პალანგებში ჩამალულ ხიხობს, ტუის ქათამს, კურდღელს და სხ. იგი სწინთვე შეიტყობს არის ვინმე მელის ან მისთვის სორთში თუ არა. დიდი სარგებლობა მოაქვს ძაღლს იმ დროსაც, როცა მონადირე სასიკვდილოდ დაკოდავს ნადირს, რომელსაც კიდევ ექნება იმდენი ძაღა, რომ დაიძალოს უტყის ტუეში. უძაღლოდ ამ შემთხვევაში ნადირი დაიკარგებოდა მონადირისთვის, წყალებით და ტანჯვით მოკვდებოდა და მსუცების საკბილოდ გახდებოდა. ძაღლს კა ოფლის ან სისხლის კვალზე შეუძლია მიუყვანოს მონადირე ნანადირევთან.

რადგანაც ძაღლების გამოცდის დროს შეუძლებელია წინდაწინ ნადირის მოკვლა და გამოსატყლო ძაღლის მიუყვანს ჩამდვლი ოფლის კვალზე, ამიტომ ნანადირევის სისხლს წვეთ წვეთად ახსმენ რამდენსამე მანძილზე, იმ ადგილამდის, სდაც შეკვარი ნადირია. რამდენსდაც უფრო ბეჭითად და დარწმუნებით მიტყუება ძაღლი ნაკვალევს, იმდენად უფრო კარგს ნიშანს მიიღებს გამოცდის დროს.

რადგანაც ძაღლის ცხვირის მოჭმელების შესახებ ჩვენ მხოლოდ დახლოებითია წარმოდგენა გვაქვს, სკვირვული არ არის, რომ გამოცდამ დაგვანსება მოულოდნელი შედეგი. ძაღლი, რომელიც, მაკალითად, თავისი ზატრონს გაუჭირებლად მოუძებნის მეტად დახლართულს ოფლის კვალს, გამოცდის დროს

გერაფერს შერება. რა იყო გადაწყვეტი გატეობა ამ შემთხვევაში? ჩვენ ვიცით, რომ ადამიანებშიაც მოხდება ზმირად: ზოგი თავისუფლად, როგორც გმირი ოქერს გამოცდის, ზოგი კი გამოცდის დროს კონტისაც ვერ სძრავს, თუმცა ცოდნა კარგი აქვს. ვეფელ ჩვენთაგანს მოაგონდება ეს თავის ბავშვობის ცხოვრებიდან. მაკალითად ბავშვს, რომელიც ნინებულად ჩაბულებულებს ლექსებს თავის დედა-მამასთან და და-ძმასთან, სტუმრებთან წაკითხუბენ ლექსს. დეღის ამაუ გულს უნდა ამით მოხიბლოს ცნობის მოყვარე მისმენელუბი. მაგრამ აი უბედურება! ბავშვი იწყებს რა ლექსს, უნებ მოჭვეება ტირილს და დარცხვუნოლად იძალება დეღის კალთაში.

უძველესი ასეთი ზირებებს ზოგიერთი ძაღლის საქტილსედაც გაუყვანა აქვს. ასე, მაკალითად, შეცხვარის ძაღლზე, რომელიც დაჩვეულია თავის ზატრონთან განცდლებით მეუდრო ფოფას, უძველესი, გამოცდის დროს, ბუერი ხალხის თანდასწრება, ძლიერი სმაურობა და ბუერი ძაღლი შთაბეჭდილებას შთახდენს, რის გამო იმას, რასკვირვულია, გონება ეფანტება.

მაგრამ ამინდაც გაგვყენა აქვს ძაღლის უნისვასედა. ამინად ვიცით, რომ ძაღლს კვალს ზოგნა უფრო უძნელდება ვინაშია, უადვილდება ნესტიან თბილი დილით. შესასლებულია, რომ ვინა ანდუნებებს სურნელოვან ნივთიერების ძაღს, სიცხე კი ზირიქით ხელს უწყობს, მაგრამ ძაღლი რომ გახდეს მიძებნი ამინდის, მას უნდა ჭქონდეს სველი ცხვირი, რის გამო მტერში და სიცხეში მას ცოტა სარგებლობა მოაქვს.

სამწუხაროდ ვეფელ ამ საკითხებს მეცნიერება არ არკვევს. ზირიქით უფრო გამოცდილებითა შორის სულ სხვა და სხვა აზრი არსებობს ამ საკნის შესახებ გადაწყვეტ გარემოებათა გამოკვლევის სიძნელის გამო. აქვე კიდევ ბუერი ამოცანაა. მაკალითად—

ძალდი, რომელსაც წინებული ენოსა აქვს, როცა ქარი ჰქრის, გვერდს უფლის გვერცხებზე მჯდომ ტუის ქათამს, ეს ნამდვილია, რადგანაც არა ერთხელ შეუნიშნავთ გამოცდილს მონადირეებს. ერთმა მოხუცებულმა სოფლის ექიმმა ასე ამხსნა ეს ფაქტი: როცა ტუის ქათამი გვერცხს სდებს, ჩვეულებრივს სუნს ქვევით უშვებს, რის გამო ძალდი გვერდს უფლისა. ჩემს შეკითხვაზე რატომ სხვა ფრინველები არ სხადან ამას, რაც, რასაკვირველია, დაიფარავდა იმთ მტაცებელ ცხოველებებისაგან, მან ვერათყერი ვერ მიპასუხა.

რასაკვირველია, შეიძლება ნადირობაში გამოიყენოს ძალზე ამინდს არავითარი გაულენა აქვს; ის უფრადლებს არ აქცევს ხელთყურს კვადსა, რადგანაც ატუბის, რომ მოკლულ ნანადირეთან არ აქვს საქმე. ამ შემთხვევაში გამოცდის დროს იღებს ნიშანს სავსს, თუმცა ხუთას დირსი იყო.

ყოველ გვარს გამოცდის მონადირე და ზოლიციელი ძაღლებისს მოჭევა და მოულოდნელი შედეგი; მაგრამ აი ერთხელ „უკზამენატობა“ მთინდომეს გამოეცადათ ის ძაღლები, რომლებმაც წინა გამოცდაზედ ჯილდო მიიღეს; ყველა ესენი იყვნენ „ჩემშირნი“ ძაღლთა შორის, თეორიულად მოსლოდნელი იყო, რომ ყველა მათგანი თავს გამოიჩინდა. ნამდვილად კი შედეგი სპიწუსრო აღმოჩნდა. რით უნდა აიხსნას ასეთი წინააღმდეგობა? არ შეიძლება აქც მთავარათ იმ ზირობებს, რაც კაცთა შორის არსებობს? ის ზირობა, რომელ-

თაც გიმსახია ოქროს მედლით გაუთავებიათ, ათი ოცი წლის შემდეგ რომ გამოისცადოთ, თავიანთი სრულის შემცირებით ყველას გააოცებდა. უნივერსიტეტში კურს დასრულებულს (თუ ფილოლოგი არ არის) ოცდა ათს წელიწადს რომელს შეუძლია შეეცდომოდ დასწეროს ბერძნულის აარგამანი? მამ რად უნდა გვიგვირდეს, თუ ძაღლები, რომლებიც წინა ჯილდოს იღებდნენ, რამდენიმე სნის. შემდეგ ვერ იჩენენ ვერავითარს ნიშნს?

მეორე მსგავსება აღმინათა და ძაღლს შორის შეინიშნება აღზრდის სხვა და სხვა გვარ მეთოდებში. ერთი აღმინათი ძაღლის ლეკვს, შეძლების და გვარად, მეტს თავისუფლებას ანიჭებს, მეორეს ეს უგუნურებად მიანია. ამიტომ გამოცდაზე ვხედავთ, როგორც დამფრთხადს, ისე ისეთს ძაღლებსაც, რომელთაც თავი თავისუფლად უჭირავთ. უნებლიეთ გვაცანდება განსხვავება ინგლისურ და გერმანულ აღზრდის მეთოდებს შორის. „თქვენ გერმანულებსა — მითხრა ერთხელ ერთმა ინგლისელმა, — მთავარ მიზნად მიკანიათ ავშვის ნუბის დასუსტება, და მისხვრევა, ჩვენ კი, შეძლების და გვარად, ვცდილობთ მისს გამატრებას — ამიტომაც დავიპყრით ჩვენ მთელი ქვეყანა“.

ამ სახით ცხოველთა შორისაც არსებობს სხვა და სხვა ჰედაგოგიური მეთოდები და ძაღლებსაც გამოცდის დროს „ცოების კანკალი“ აუტრელებათ ხოლმე.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ფაუსტი. დრამატული პოემა ორ ნაწილათ*)

თარგმანი ზეტრე მიჩინიშვილისა



არსული 1908 წელ. შესანიშნავ წელიწადთ უნდა ჩაითვალოს ჩვენი ლიტერატურისათვის, რადგან იმ წელში გამოიცა ქართული თარგმანი გიოტეს ფაუსტისა. აქ მეტია ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ფაუსტი: ეს ყველამ კარგათ იცის, ვინც კი თავის თავს ინტელიგენტს უწოდებს. ცხადია, რომ ფაუსტი ისეთი დიდი თხზულებაა მაღლიანი ზე-კაცისა, რომ თარგმნა ამ თხზულებისა რომელიმე ენაზე უკვე ეპოქას შეადგენს ამ ენის ლიტერატურისათვის. ამ მხრით ჩვენ, ქართველები ვიყავით ჩამორჩენილი და ფაუსტს რუსული თარგმანით ვიცნობდით. ეს კი ლიტერატურის ისეთი დიდი ნაკლია, რომ ჩვენ, მართალი რომ თქვას აკცმა, უფლებაც არა გვქონდა, თვისი თავი განათლებულ ერთა შორის შეგვერიცხა. ისიც არის, რომ ეს ჩვენი ჩამორჩენილობა დღესაც ძალაშია, რადგან თარგმანი წარმოებულა რუსულიდან და არა ორიგინალიდან; გერმანულიდან. ცხადია, ჩვენ იმდენათ ვერ განვითარებულვართ, რომ ეს დიდებული თხზულება პირდაპირ გერმანულიდან ქართულათ გადამოგვეთარგმნა. ეს გარემოება კი თარგმანის ნაკლს აორკეცებს. მოგვხსენებათ, რომ, რაც უნდა ლაზათიანი და ზედ-მიწევნითი იყოს თარგმნილი რომელიმე პოეტური ნაწარ-

მოები, იგი დედანთან შედარებით მაინც მკრთალია და ბევრ ღირსებას მოკლებული, რადგან ყოველი თარგმანი ცოტათ თუ ბევრათ გადაუკუღმართება ორიგინალი თხზულებისა. რაღა თქმა უნდა, რომ თარგმნილიდან თარგმნილს უფრო მეტი ნაკლულევანება ექნება. ასეა თუ ისე, კარგია თუ ცუდი, ჩვენს ლიტერატურას მაინც უნდა მივულოცოთ, რომ მას ფაუსტის თარგმანი მოეპოვება.

ნეტარ-ხსენებული ივ. მაჩაბლის მგზახებით ჩვენ გვაქვს მთელი კაცობრიობის საუმჯობესო შვილის, შექსპირის თითქმის ყველა ნაწარმოების თარგმანი, თარგმანი წარჩინებული და მშვენიერი. რაც შეეხება გიოტეს კი. ამ კაცობრიობის მეორე საუმჯობესო შვილს, იგი ჩვენი ლიტერატურისათვის სრულებით უცნობია, მოგვეპოება ორიოდ თარგმანი, ორიოდ ნაწყვეტი ლექსისა. მაგ. თვით ილ. ქავთაძეს აქვს გადათარგმნილი გიოტეს: „ბედა მქადაგებელი“. მაგრამ ყოველი ეს ლექსი რუსულიდანვეა თარგმნილი, ამიტომ ორიგინალს ძლიერ დაშორებული. გარდა ამისა, გიოტეს დიადობა ამ წერილმან ლექსებით არ აღიბეჭდება. ჩვენს ლიტერატურას არ მოვპოვებ არც ერთ თარგმანი გიოტეს იმ ნაწარმოებთა, რომელთა მეოხებით მან ეპოქა შექმნა მთელი ევროპის ლიტერატურაში, თვისი თავი კი გენიოსათ ჰყო. არის მხოლოდ ერთი მისი დიადი თხზულების თარგმანი. თარგმანი ორიგინალიდან არის პირდაპირ

*) ებეჭდათ ამ წერილს სრულიად უცვლელად და სიამოვნებით დავებუქდათ ბ-ნ პ. მიჩინიშვილის აზრსაც. ამდ.

შესრულებული მშვენიერი ქართული ენით. ეს თხზულება: „ვერტერი“ და იგი თარგმნილია ამ ათიოდე წლის წინად იას. ბაქრაძის მიერ (მოწერილია: „ი—ნ“). და მოთავსებულია ჟურნალ „მოამბეში“. მაგრამ რადგან ცალკე წიგნით არ გამოცემულა და არ გავრცელებულა ხალხში, ამიტომ ნება გვაქვს, ვთქვათ, რომ გიოტეს ამ თხზულებასაც ვერვიცნობთ. უეჭველია, რომ გიოტე ჩვენი ლიტერატურისათვის უცნობი ხილია.

ბ. პ. მირიანაშვილს ფაუსტი რუსულიდან უთარგმნია. ამიტომ უნდა გვეფიქრა, რომ ეს თარგმანი რუსული თარგმანის თანაბარი მაინც იქნებოდა და იმავე ღირსებისა. შრომაც ამით გადაღებულ იყო, რადგან ჩვენ, თანახმით ჩვენი თანამედროვე აღზრდისა, რუსული ენა კარგათ, ძალიან კარგათაც ვიცით და თარგმნაც რუსულით იოლი საქმეა. მაგრამ, უნდა პირდაპირ აღვიაროთ. ქართული თარგმანი სრულებით გამოუსადეგარია, და ეს იმიტომ, რომ აზრი თხზულებისა გარდაცვლილია და ამიტომ ფაუსტის დახასიათება გადასხვაფერებულია. ამ თარგმანის მიხედვით ქართველი მკითხველი იძულებულია იმ აზრისა იქნეს ფაუსტის შესახებ, რომ იგი ერთი ვიღაც თვალთმაქცი, ცუდლუტი პირია და სიბერის ჟამს გამსუნაგებულია, ამიტომ ჟინი მოსვლია ბიწიერების მორევში შესტო-

პოს. ეს კი, დამეთანხმეთ, სრული შერყვნაა ფაუსტის დედა-აზრისა, ეს არის ძირითადი ნაკლი ამ თარგმანისა, და ისეთი ნაკლი, რომ იგი მოასწავებს ქართული თარგმანის არა თუ სრულ გამოუსადეგრობას, არამედ მავნებლობასაც კი. ამიტომ მწერლობა ვალდებულია, ეს ნაკლი აღნიშნოს და მკითხველი საზოგადოება ვააფრთხილოს. მეც ჩემი თავი ამიტომ ვყავი ვალდებული, ამ საგანზე ორიოდ სიტყვა ჩამოვადგო.

გამოვიდა თუ არა ფაუსტის ქართული თარგმანი, დაუხანებელიე დაიბეჭდა ბ. ნ. ლორთ... ბიბლიოგრაფია ვაზ. „დროებაში“ (იხ. 20) №. 1909 წ. № 408). ბ-ნი ნ. ლორთ... წერს: „მირიანაშვილს უთარგმნია რუსულიდან და ამით აიხსნება, რომ ნიუანსები ორიგინალისა დაკარგულა. სამაგიერად აზრი ახსად არ აზის შერუგნილი. როცა შევიწყვეთ არა-ჩვეულებრივ ზომას თარგმანისა, საშაფეუბით, აღტაცებითაც კი წაითხავთ“. ამ შენიშვნას შეუძლია მკითხველი შეცდომაში შეიყვანოს და დიდებული პოეტის დიდებული ნაწარმოების შესახებ ის აზრი შეადგინოს, რომელიც ამ თარგმანიდან გამომდინარეობს. ეს კი უადრესი ზიანი იქნება, რადგან ამ თარგმანში ნამდვილათ სრულებით „შერყვნილია აზრი“ თხზულებისა. ამის დასამტკიცებლათ შევადაროთ ქართული და რუსული თარგმანი:

1. Ну, вотъ и зучилъ я, увы, философію, юристируденцію и медициу, къ сожалѣнію и богословіе, изучилъ съ тижельдымъ трудомъ до самаго корня,—и остался, жалкій глушець! такимъ же умнымъ, какимъ былъ прешде.

2. Есть у меня, правда, и званіе магистра, и званіе доктора, и вожу я

ფილოსოფიას შევიგენ; კახედი სჯულის მეტყველი, კახედი მკურნალი... ვაგლახ! დიდ ჯაფით, კულმოდენიებით. ღვთის მეტყველებაც კარგათ კაცსწერიტე, ჭკუა კი არ მაქვს მის უმეტესი, რაც უწინ მქონდა: ბოლოსაც ისე დაწინაურდვარ მე საბაღო ხუბრე: რაც მაგისტრობა და დოქტორობა მე მიმიღია; აკერ შეათე წელიწადი; მოწაფეებს

вотъ уже десять лѣтъ за носъ моихъ учениковъ и вверхъ, и внизъ, и вкривъ, и вкось, — и вижу, что не можемъ мы знать ничего.

3. Вотъ что почти сжигаетъ мнѣ сердце!

4. Конечно, и ученѣе всѣхъ пусто-головыхъ, и докторовъ, и магистровъ, и бумажонаракъ, и поповъ, не мучать меня никакія сомнѣнія и тревожные вопросы, не боюсь я ни ада, ни черта.

5. Но благодаря именно этому, отпята уменя всякая радость, не воображаю я себѣ, что знаю чтонибудь хорошее, не воображаю себѣ, что могу научить чему нибудь другихъ людей, чтобы исправить ихъ и обратить на путь истины!..

6. Не добылъ я себѣ, съ другой стороны, ни имущества, ни денегъ, ни почестей, ни земныхъ благъ; собака — и та отказалась бы жить такъ, какъ я живу!..

7. Вотъ отчего и предался я магін. Хочется посмотреть, не откроютъ ли мнѣ сила и уста духовъ какихъ нибудь тайнъ, чтобы не было мнѣ больше надобности въ потѣ лица говорить другимъ то, чего я самъ не знаю;

8. Чтобы узналъ я, что служить связующею силою міра въ его сокровеннѣйшей глубинѣ;

9. Чтобы увидѣлъ я воочию міровую работу, зародышъ всего существующаго, и перестая торговать пустыми словами!.. (сб. зз. 17—18. Фаустъ. Переводъ въ прозѣ Петра Вейнберга. 1904 г.).

გი წადმა-კვლამა საქებითთა უკრით დავათრევ—და სულ შეონია, აღარათრისა ცოდნა გვექონია.

გულს შითანადრებს მწველ სატანჯველი!

თუმც ჭკუით ვჯობნი მაგისტრებს, სუცებს, თუმც არ მაქვს კვლე მადეგვიბელი, თუმც არ მაქვს შიში მანუ ეშმაკთა და ჩვენებათა, მზადც ვარ ჩაჩხდე ქვესენულ შევეთში.

— სამაგიეროთ აღარ განვიცდი სიამოვნებას, ვეკებ ამოდ ჭეშმარიტებას, სამაგიეროთ, როცა ვასწავლი ხალხსა, არ ვფიქრობ რისეუ სწავლებას.

ქვეენის სიკეთე სულ არ მიხილავს, ხალხის ჰატოვი სულ არ მინახავს. ჭოი ცხოვრებაჲ ძადღ-უმაღურთ! წელიჩადებო წყალ-წადი-ბულო?

მგრამ მისობას გამოეუდგები, ეკებს, სულთა შემატეობინონ სიღუმიღონი ბუნებოსანი—მინც სირცხვილსა აღარ ვუკავ მშინ, ენა წაცდებით მოლამარკე საქმის თავ-ტანის გაუტებრათ.

ახსნი ცხოვრების სიღუმიღასა

და უკუნეთის ბეჭდის ახსნიოთ სოფელს ვაუწევბ ჭეშმარიტებას, არა შემთხვევით ცალიერ სმათა შეწყობილებას. (სბ. ქართული თარგმანის ვვ. 16—17).

ამ იგვარათვე, თითქმის ამავე სიტყვე-
 მით არის ესევე ფაუსტი თარგმნილი პრო-
 ზით ა. ლ. სოკოლოვსკის მიერ 1902
 წ. ამ თარგმანს აგრეთვე დართული აქვს
 განმარტება ყოველი სექვეო და სათუოთ
 გაგებულის სიტყვისა თუ ფრაზისა. ეს
 ორი რუსული თარგმანიც, სხვები რომ
 არ დავასახელო, ცხად ყოფს, რომ ბნის
 პ. მირიანიშვილის თარგმანი, სრულებით
 არ ეთანხმება რუსულს და, მაშასადამე,
 არც დედანს, რადგან ორივე დასახელე-
 ბული რუსული თარგმანი თითქმის სიტ-
 ყვა-სიტყვით თარგმნის დედანს. თუ რა-
 დენათ არის შეცვლილი და გადაუკუღ
 მართებული აზრი ფაუსტისა ამას დაინა-
 ხავთ შემდეგი შედარებითი განხილვით
 ზემო-აღნიშნული მუხლებისა.

1. პირველ მუხლში ორივე რუსული
 თარგმანი აღნიშნავს, რომ ფაუსტმა დი-
 დი შრომით და მუყაითი ბეჯითი ჯაფით
 ზედ-მიწევნით შეისწავლა სხვა და სხვა
 დარგი მეცნიერებისა: ფილოსოფია, სა-
 მართალი და მედაცინა. ამავე ჯაფითა და
 მუყაითობით ასევე ზედმიწევნით შეისწავ-
 ლა მან ღვთის-მეტყველება. ამას ფაუსტი
 ისეთი თან და თანობით და დაწვრილებით
 მოგვიყვება, რომ ჩვენ აღარავითარი იქვი
 არ გვებადება, რომ მან მართლა ყოლი-
 ფერი კარგათ იცის, რის ცოდნაც კი მის
 დროში შეიძლებოდა. ქართული თარგ-
 მანი კი სრულებით სხვას გვეუბნება: ფა-
 უსტს ბეჯითი შრომითა და ჯაფით ზედ-
 მიწევნით კი არ შეუსწავლია ფილოსო-
 ფია. არა. მან ფილოსოფია მხოლოდ
 შეიგნა. აქ თქვენ უნებლიეთ ფიქრი გა-
 გივლევსთ, რომ დიდი და ხანგრძლივი
 შრომა როდია საჭირო, რათა რომელიმე
 დარგი მეცნიერებისა შეიგნო. ამიტომ ბე-
 ჯითათ იტყვით, რომ ფაუსტს ფილოსო-
 ფია ზედ-მიწევნით არა აქვს შესწავლილი.

აქედან კი ცხადია, დაასკვნათ, რომ ფა-
 უსტი მეტიჩარა ფუქსავატი. ქვევით კი-
 დვე უფრო გიდასტურებთ ამ დასკვნას
 ქართული თარგმანი: ფაუსტი გახდა სჯუ-
 ლის მეტყველი, გახდა მკურნალი. ახლა
 ჩვენ კარგათ ვიცით, თუ რას წარმოად-
 გენს სჯულის მეტყველათ და მკურნალათ
 გახდომამ: ეს ჩვენი ნაცნობი იურისტ-
 ადვოკატები და ჩვენებური ექიმებია, რო-
 მელნიც დიხაც რომ გახდენ ასეთები,
 რადგან დიპლომი გაიკრეს. მაგრამ ჩვენ
 დღეს ისიც ვიცით, რომ ამ ბატონებს
 სრულებით არ დასქირებიათ. დიდი ჯაფა
 და მუყაითი შრომა, რათა დიპლომი გა-
 მოიკრათ და ამით მოეპოვებიათ უფლება
 ბრალიანისა და უბრალოსაგან ფულის
 აკრეფისა. ამიტომ ამ ბატონებისთვის
 სრულებით მიუწოდამელი და გამოუცნო-
 ბელია ფაუსტის მაღლიანი დიდი საკა-
 ცობრიო „სულის პოტინი“. ცხადია, რომ
 ამ თარგმანით დახასიათებული ფაუსტი
 წარმოადგენს ვიღაც ზერელე მოფილო-
 სოფოსეს, აი, თუნდაც ისეთს, როგორი
 ფილოსოფოსები ამ ბოლო დროს გამო-
 გვეჩვენებ, და იგი ცუდლუტი, ფუქსავატი
 მეტიჩარაა. ამ მეტიჩარას კანდიერება იქ-
 ამდის მდის, რომ თამამათ გვეუბნება,
 ღვთის მეტყველება გაჭვრიტე, აწი როინ-
 ში თუ მეტყვარში ამოღებული წყალი ხომ
 არ გონია იმ დალოცვილს ღვთის-მეტ-
 ყველება, რომ გაჭვრეტით შეიძლებოდეს
 მისი ზედ-მიწევნით შესწავლა. აი, ეს ბა-
 ტონი ფაუსტი, რომელმაც ფილოსოფია
 შეიგნა, რომელმაც მკურნალისა და სჯუ-
 ლის მეტყველის დიპლომი მიიღო და
 ამით გახდა ადვოკატი და ექიმი, და რო-
 მელმაც ღვთის-მეტყველებას ბებრუტუნა
 თვალთ გასცქირა (უშეველათ ბაკარას
 ქიქაში ექნებოდა მოთავსებული!) იმდენ-
 ნათ გულ-უბრყვილო ყბედია, რომ გვი-

ბედადეს კიდევ გვითხრას; არაფერი ვიციო. ასეთმა პირმა: აბა რა უნდა იკოდეს? და ჩვენ წინ იგი იგრინებ-იმანკება და თავს გვაკოდებს კიდევ. ასეთი პირი თავს შეგაბრალებს კი არა, ზიზღსა მოგვეგრის, მეტს არაფერს. აი, ასეთი ყოვლად შეუსაბამო აზრისა უნდა ვიქნეთ ფაუსტზე, თუ ქართული თარგმანით ვინებლმძღვანელებთ. რუსული თარგმანის ამავე მუხლიდან ჩანს, რომ ფაუსტის სავალალო ის არის, ის უთანაღრებს მას გულს, რომ იგი უკოდინარი და უმეცარია. თუმცა მან დიდი ჯაფით ასე ზედმიწევნით შეისწავლა ყოველი დარგი მეცნიერებისა. ქართული თარგმანი კი გვეუბნება: „ქუუა არ არ მაქვს მის უმეტესი, რაც უწინ მქონდა“. ეს კი საარაკო ამბავია, რომ კოდინის შეძენას ქუუა ან გედიდებობს ან შემეცირებობს, რადგან ადამიანი, თუნდაც რომ უსწავლოლი, შეიძლება ძალიან ქვეიანი იყოს. აქ ქეშაობას ადგილი არა აქვს. მთარგმნელს ვერ შეუენია, რომ აქ დიდი ბოდმის, დიდი საკაობრიო სულის ქენჯნის დასაწყისია: თუმცა ფაუსტმა ყოლიფერი ზედმიწევნით იცის, მაგრამ ადამიანის მიერ ყოლიფრის კოდნა მაინც არავითარ კოდნას არ წარმოდგენს. ეს ის ამონაკენესია, რომელიც კაობრიობამ თვისი ამეტყველებისათანავე სოკრატის პირით აღიარა: ის ვიცი, რომ არაფერი ვიციო; ამის წინ კი ინდოეთში ბუდის ფილოსოფიამ „ნირვანათ“ მონათლა. ამიტომ აქ სიტყვას „ხეპრე“ სრულებით ადგილი არ მოეპოება, რადგან „ხეპრობა“ სრულებით არ მოასწავებს უკოდნელობას, უკოდინარობას, უმეცრებას: ხეპრე, თუ გნებავს, მოუქნელი მიხერა-მომხერა, უზრტველი და უადგილო სიტყვა-პასუხია, მეტი არაფერი. მიკვირს, როგორ მოუვიდა ბანს მირიანიშვილს ასეთი შეცდომა.

მ. მეორე მუხლიდან გავიგებთ, რომ ფაუსტს მართლაც მიუღია ოფიციალური დიპლომი მაგისტრობისა და დოკტორობისა (დაიხსომეთ დოკტორობისა და არა მეკურნალობისა: მეორეა ხელობა, პირველი კი სამეცნიერო ხარისხი) და ამით მოუპოვებია უფლება მასწავლებლობისა ანუ პროფესორობისა: ამიტომ მას მოწაფეები ჰყავს. ეს არის და ეს. ჩვენ კი როლი ვიცით, როდის მიიღო ეს სამეცნიერო ხარისხი. ვიცით მხოლოდ, რომ ათიოდე წელიწადია, რაც მოწაფეებს ასწავლის. ბან მირიანიშვილს ეს აურევ-დაურევია და ფაუსტს ათქმევინებს, „ავერ მეთე წელიწადია, რაც მაგისტრობა და დოკტორობა მივიღეო“. ეს გარემოებაც მკითხველს აფიქრებინებს, რომ ფაუსტს მართლაც საფუძელიანი სწავლა და კოდნა არ მოეპოება, რადგან მაგისტრობისა და დოკტორობის ხარისხის მიღება სრულებით ახალგაზდა პირს შეუძლია და ამისათვის მას არ სჭირია გადამეტი და დიდი მუყაითი შრომა. ესეც გვაფიქრებინებს, რომ ფაუსტი ტყუილათ ტრამბაზობს, თორემ მართლაც მან დიდი არაფერი იცის. გარდა ამისა ამავე მუხლში მხილდება ძირითადი უკუღმართობა თარგმანისა. ორივე რუსული თარგმანი გვიდასტურებს, რომ ფაუსტი ცხადათ, ნათელსავით ხედავს, რომ ჩვენ, ადამიანებს არაფრის კოდნა არ შეგვიძლია (НЕ МОЖЕМ ЗНАТЬ МЫ НИЧЕГО). ქართული თარგმანი კი გვეუბნება, რომ ვითომც ფაუსტს წამოკოდნოდეს ასეთი არაფრის მთქმელი ფრაზა: „სულ მგონია, აღარაფრისა კოდნა გვექონია“. პირველი გადაჭრილი დასკვნაა, თუმცა კი გულ-მკერდის გამსერაფი; მეორე კი უაზრო ფრაზა უბრალო დილეტანტისა. ახლა თვით მკითხველი ჩაუკვირდეს და სულს ქვეშე თქვას, არის თუ არა სავართო ამ ორ ფრაზათა

შორის. აქ ლაპარაკი აქვს ფაუსტს ნამდვილ, დადასტურებულ ცოდნაზე, და არა სათუოზე, საეგებოზე. ასეთი დასტური, უტყუარი ცოდნა ადამიანს მართლაც არ მოეპოვება და კანტმა ეს კიდევ დაამტკიცა, ფაუსტის შექმნის ხანებში. აი, აქ ამ შეგნებაში იხატება მთელი ტრაგიკი ადამიანის სულის კვეთებისა და აქვე გამოისახა ახალი ერა კაცობრიობის განვითარების ისტორიისა. წინათ, როცა სარწმუნოებრივი მოძღვრება იყო გაბატონებული, ადამიანს მართლაც ეგონა, რომ ყოლიფერი გადაქრით და მტკიცეთ იცოდა და არც არავითარი ეჭვი ქონდა თვისი ცოდნისა. ამიტომ იგი გაბედული მოქმედი იყო და დარწმუნებული, რომ, როცა მწვანელებს კოკონზე სწავდა, ამით მათ სამოთხესა და სასუფეველს მოუპოვებდა. მაგრამ მეთექვსმეტე საუკუნის მიწურულიდან დაწყებული მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს დამკვიდრდა ის აზრი, რომ ადამიანის ცოდნა საზღვარ დადებულია და ეს ცოდნა ვიწროთ შემოფარგლილ წრეში არის მოთავსებული. აი, ფაუსტიც ამ ეპოქის პირშია შეილია და განიცდის მწვავე გრძობას კაცობრიობის ამ უძლურებისას, ამ სილაჩრისას. ქართულ თარგმანით კი გამოდის, რომ ფაუსტს ეს ვითომც გონია და ამაში როდია დარწმუნებული.

3. მესამე მუხლი ჩვენ მიერ განსაზღვრულ აზრს ადასტურებს. ქართული თარგმანი კი ამას არ გვიჩვენებს, რადგან ვერ მიხვდებით, რა უთანაღრებს ფაუსტს გულს: — ის, რომ მოწაფეებს ატყუილებს, თუ ისა, რომ მან არაფერი იცის. რუსულ თარგმანში და დედანში ამ ორ-აზროვნებას ადგილი არა აქვს, რადგან ცხადთ ჩანს, რომ ფაუსტს გულს ის უთანაღრებს და სახშილს გულში ის მწვავე გრძობა უნთებს, რომ ადამიანის ცოდნა, რა დია-

დიც უნდა იყოს იგი, მინც არავითარ ცოდნას არ წარმოადგენს. თუ გნებავთ, აქ მეტაფიზიკობაც კი გამოსკვივის ფაუსტისა, მაგრამ ესევე ადასტურებს, რომ ფაუსტი მეცხრამეტე საუკუნის შეილია და ამ საუკუნის სწორეთ პირველი მეოთხედისა.

4. აქ ორივე რუსული თარგმანი გვეუბნება, რომ ფაუსტი უფრო სწავლულია და უფრო განვითარებულია, ვიდრე ხუცები, და სხვები, რომელნიც საითთოთ ჩამოთვლილი ჰყავს. ფაუსტი კრინტსაც არა ძრავს, რომ იგი სხვებზე „ქკუთი მჯობნია“. აქაც, მაშასადამე, ორიგინალის აზრი არეული და შერყვნილია, რადგან უკანასკნელი ფრაზა გამომატველია ფაუსტის მედიდურებისა. ეს გრძობა კი ფაუსტს არ შეფერის. ქვევით ამაზე მეტი არევე-დარევეა. ფაუსტი ამბობს, რომ მას არ ქენჯნის არავითარი იჭვი, არავითარი საკითხი არ უშფოთებს გულს, არც ეშინია ეშმაკისა და ჯოჯოხეთისა. აქვე აღენიშნოთ, რომ ბ. პირიანიშვილს სრულეობით გამოუსადეგარი და უხერხული ნეოლოგიზმი უხმარია: „შავეთი“, ჯოჯოხეთის მაგიერ. ვიცით, რომ ზოგი ხმარობს სიტყვას ბნელეთს, თუმცა ეს ცნება არ ხატავს ჯოჯოხეთს. ვიცით აგრეთვე, რომ ვაჟა-ფშაველა ხმარობს სიტყვას „სულეთს“ იმ ადგილის აღსანიშნავათ, სადაც მიცვლებულთა სულეგია, თუმცა სიტყვა „სულეთი“ არ უდრის არც სამოთხეს და არც ჯოჯოხეთს, რადგან შეიძლება ერთი და მეორეც სულეთს წარმოადგენს, ე. ი. სულეგის საცხოვრებელად—გულს. შავეთი კი სრულეობით არავითარ გარკვეულ ცნებას არ წარმოადგენს. მაგრამ ესეც არაფერი. ჩვენ კარგათ გვესმის, თუ რის თქმა უნდა ფაუსტს, როცა ამბობს, რომ მას არ ეშინია არც ეშმაკისა და არც ჯოჯო-

ხეთისა. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია გარკვევით მივხედეთ, თუ რისი თქმა სურს ფაუსტს, როცა იგი ქართულად გვეუბნება: „მზადაც ვარ ჩაზნდე ქვესკნელ შავეთში“. არ ვიცით, რათ დასჭირდა ფაუსტს ხტომა-გადახტომა, და საზოგადოთ რა ხტუნაობის გუნებაზე უნდა იყოს კაცი, ფაუსტის მდგომარეობაში ჩაყენებული. ცხადია, რომ ეს სიტყვა აქ სრულდებით უადგილოა და აზრს მართლაც რყენის. ამ მუხლში სრულდებით უადგილოთ არის ხმარებული მრავალ-სიტყვაობა, ქეშმარიტ ცნებათა მავიერ, რომელნიც აზრს მკაფიოთ და მოკრით გამოხატავდნენ. ეს კი ბუნდოვანებას ბადებს. ეს კი გიოტეს შემოქმედებით ნიქს ჩირქსა ცხებს.

5. მეხუთე მუხლი ძალზე შეუმოკლებია მთარგმნელს. ამიტომ ეს მუხლი ძალიან ბუნდოვანი და გაუგებარია. აზრი აქაც შერყენილია. ფაუსტის ვალაილი ის არის, რომ მას ისეთი უტყუარი და ნამდვილი ცოდნა არ მოეპოვება, რომ ამ ცოდნით სხვა გაასწოროს და ქეშმარიტ გზაზე დააყენოს, ე. ი. არ შეუძლია ადამიანის გაუმჯობესობა. ქართული თარგმანი კი გვიდასტურებს, რომ ვითომც ფაუსტს არ შეეძლოს რისიმე სწავლება. უფრო უარესიც: „ის არც ფიქრობს რისმე სწავლებას“. ეს კი მეტის-მეტია, რადგან ფაუსტი სრულდებით ხელ-ადგებული მატყუარა გამოდის. არა, ბატონო, ფაუსტს ბევრის, ძალიან ბევრის სწავლება შეუძლია, მაგრამ ეს სწავლა მას თვითონ არ აკმაყოფილებს, ისე დიდია მისი გრძობა ქეშმარიტი ცოდნისა და წყურვილი სრული ცოდნისა. აი, აქ არის ძალღის თავი დამარხული და სწორეთ ეს თავი ვერ პოვა მთარგმნელმა.

6. მეექვსე მუხლიც ძალიან შეუკვეცია მთარგმნელს. გიოტეს სათითოთ ჩამოთვ-

ლილი აქვს, თუ რას მოცდა ფაუსტი იმის გამო, რომ ცოდნის შეძენისათვის გადადო თავი: ამის ჩამოთვლა მთარგმნელს საჭიროთ არ დაუნახავს. ამის ნება კი არა ქონდა, მგონია, რადგან ეს გადაკეთებაა, და არა თარგმნა.

7. ქართული თარგმანი ადასტურებს, რომ ფაუსტი მართლა „ენა-წავდებით მოლაპარაკეა“, ე. ი. იგი მოლაქლაქე ვინმე ვეებატონია. ნამდვილათ კი ასე როდია. რუსული თარგმანი ნათლათ გვიჩვენებს, რომ ფაუსტი მისნობას იმიტომ შეუდგა, რომ გრძნეულთა პირით შეიტყოს საიდუმლოებანი. ამით იგი ფიქრობს, მიღწეოს ორ მიზანს: ერთი მიზანი, და რასაკვირველია თავიდათავი ის არის, რომ ფაუსტი თვის ძირითად მოთხოვნილებას დაუშვრეტელ წყურვილს ნამდვილი ცოდნის მოპოებისას დაიკმაყოფილებს, რადგან ფიქრობს, გრძნეულნი და ეშმაკები მას ყოველ ცოდნას შესძენენ. და მართლაც ეს გზა-და დარჩა მას ცოდნის შეძენისა, ყოველ-გვარი გზა, რომლით ადამიანი იძენს ცოდნას, მას გავლილი აქვს ბეჯითათ და მუყაითათ, მაგრამ, ვაგლახ, ამ გზამ წყურვილი ვერ მოუტკლა და ვერ შეძინა ცოდნა ყოველ-გვარ საიდუმლოებისა. მეორეც იმიტომ შეუდგა ფაუსტი მისნობას, რომ მისნების დახმარებით იგი გონებს შეიქნეს ნამდვილ ცოდნას ადვილათ და იოლათ, ამიტომ დიდი ჯაფა და შრომა აღარ დასჭირდება და ამავე დროს კი ყოველივე და ყოლი ფერი ეცოდინება. ამიტომ მოწაფეებსაც ამ ცოდნას თამამათ და ადვილათ გადასცემს. ეხლა კი რა?! ამდენი იშრომა, აძღნს შრომობს და მოწაფეებს მაინც ვერ აწვდის ნამდვილ ცოდნას. აი, ეს არის მწვავე გრძობა, რომელსაც განიცდის ყოველი ადამიანი, ფაუსტის მდგომარეო-

ბაში ჩაყენებული. მაგრამ ეს მთარგმნელს სრულებით ვერ გაუგია, და რაღაც სირცხვილზე გვეუბნება. ფაუსტს რისა უნდა რცხვენოდეს: მან ბევრი რამ იცის და ძალიან კარგათაც და ესეც რომ ვადასცეს მოწაფეებს, ისინი ამითაც კმაყოფილი იქნებიან და მადლიერი. ფაუსტს კი არ რცხვენია, იგი იტანჯება, რომ არ შეუძლია ის დიადი სწავლა და ცოდნა ვადასცეს მოწაფეებს, რომელი ცოდნით ისინი გასწორდებოდნენ და გაუმჯობესდებოდნენ, მაგრამ ამ გვარი ცოდნის მოპოვება, ვაგლახ, ადამიანს არ შეძლებია. აი, ეს არის ლეიბნიცი ფაუსტის ტრაგიზმისა და არა სირცხვილი, რადგან ამ უკანასკნელს მას გულსა და სულში ადგილი არა აქვს.

8. ეს და შემდეგი მუხლი აგვიჩუხსავს, თუ რომელი საიდუმლოების ცოდნა სწავლია ფაუსტს თავდაპირველათ, მისნობის წყალობით რომ მისწვდეს. ეს ის საიდუმლოებაა, რომელიც იმალება თვით მსოფლიოს სიღრმეში, რა აერთებს, რა აკავშირებს მსოფლიოსა. აი, ამის გაგება, ამის შეტყობა უნდა ფაუსტს. ამას თუ შეიტყობს, მაშინ ხომ სიცოცხლისა და ცხოვრების სახელმწიფოსაც ახსნის და ის არის. ბ. მირიანიშვილს აქ, მაშასადამე, მთელის, მსოფლიოს მაგიერ უხმარია ნაწილი, ცხოვრება. ესეც შეეცვლა აზრისა.

9. ფაუსტი იმის მსურველია, რომ მისნობის, გრძნეულების წყალობით ცხადათ, თვალ-ხილულათ დაინახავს თვით განსახულებას მსოფლიოსას, დაინახავს თვით შექმნას ყოველი არსებისას. და ამით შეიძლება, სინამდვილე, ჰეშმარიტი ვითარება ცხადათ შეიტყოს. ამის შემდეგ კი მას როდი-და დასკირდება, ცალიერი სიტყვების რახარუხი, რადგან ადამიანის

სიტყვები მხოლოდ სიტყვებია, ყოველ აზრს მოკლებული. აი, ეს აზრი, ეს მისწრაფება ფაუსტისა, გამოუცნობელი გამოიცნოს, მიუწოდებელს მისწვდეს, თვით არსი ყოველგვარის რეალობისა ორივე თვალთ დაინახოს, ხელით შეეხოს,—ბ. მირიანიშვილს გადმოცემული აქვს ამ სიტყვებით; „უკუნეთის ბეჭდის ახსნითა სოფელს ვაუწყებ ჰეშმარიტებას“. მკითხველი დამეთანხმება, რომ ეს ფრაზა სრულებით არ არის გამოთქმელი ზემოაღნიშნული აზრისა. უკუნეთი შორეულ წარმოდგენასაც არ იძლევა მიუწოდებლის, გამოუცნობელის შესახებ.

ჩვენ განვებ დიდ ხანს შევჩერდით ფაუსტის ამ პირველ მონოლოგზე, რადგან მთელი ფაუსტი ამ მონოლოგშივე ცხადი და გარკვეული ტიპია მთელის კაცობრიობისა, ამ კაცობრიობის განვითარების ერთის საფეხურისა და მკაფიოთ დამახასიათებელია ადამიანის სულის კვეთებისა. ამიტომ ეს მონოლოგია საძირკველი ფაუსტის შეგნებისათვის. ჩვენი ანალიზიდან, მგონია, მკითხველი დაინახავს, რომ მთარგმნელს ძალზე შეუცვლია და გაუკული მართებია მთელი შინაარსი ამ მონოლოგისა. აქედან კი ის წარმოდგა, რომ ქართული თარგმანის ფაუსტი აღარ ჰგავს არც ორიგინალს და არც რუსული თარგმანის ფაუსტს. ქართული თარგმანის ფაუსტი, თუ გნებავსთ, ახლანდელი ქართველია: იგივე ფუქსავატი, იგივე უკოდიწარი, იგივე გამოურკვეველ მისწრაფებათა ამყოლი და იგივე გამედიდურებული თვისი დიდ-ვინმეობით. დამეთანხმებით, ეს ჰაწია ფაუსტი დიდებული გენიოსის, გიოტეს მადლის შექმნილი არ იქნება.

მაგრამ ასეთი გადაზახინჯება აზრებისა და მოქმედი პირებისა მთელ თარგმანში მოიპოვება. სიტყვა რომ არ გავაგრძელო,

ავიღებ მხოლოდ იმ სცენას, სადაც ფაუსტი და მეფისტოფელი პირველად შეხვდებიან მარგარიტას ქუჩაში. მარგარიტა თვისი მადლიანი გამომეტყველებით, ქალწულური მორცხვობით და ნაზი სილამაზით ფაუსტს პირველ დანახვისთანავე მოხიბლავს და ფაუსტიც მტკიცეთ გადასწყვეტს, რომ მარგარიტას უეჭველად დაუახლოვდეს. ამას ფაუსტი მაშინვე მეფისტოფელს გაუმჟღავნებს. მეფისტოფელსაც ეს უნდოდა. მაგრამ იგი რისი მეფისტოფელია, თუ ფაუსტს სიტყვა შორს არ დაუჭიროს და ამით უფრო მეტად არ აღიზიანოს ამ ჟამათ ძალზე გამსუნაფებული მგრძნობელობა ფაუსტისა. მართლაც მეფისტოფელი ეუბნება: იგი ქალი ამ ხანათ მღვდელთან იყო და ყოველი ცოდვა შეინანიაო. შეინანა კი არა, არც არავითარი ცოდვა ჰქონია, რადგან აღსარების დროს მე იქვე ვიყავი მიმალული და ყოლიფერი მესმოდაო: საცოდავმა გოგონამ ვერავითარი ცოდვა ვერ მოსძებნა თვის არსებასა და გრძნობაშიო. ცხადია, რომ იგი განზორციელებული უბიწობააო, ამიტომ ასეთ არსებაზე მე ძალა არა მაქვს და ვერც დაიხლოვებო. ეს ჩენი აზრი გარკვევით უდასტურებულა რუსული თარგმანით:

Эта-то? она шла домой от своего пастора, который разрешил ее от всѣхъ грѣховъ. Я прокрался къ самой исповѣдальнѣ и все слышалъ: это сущая невинность, и ей рѣшительно незачѣмъ было итти на исповѣдь. Надъ нею у меня нѣтъ никакой власти. (იხ. გვ. 90 პ. ვინებერგის თარგმანისა. ხოლო სოკოლოვსკისა კი—70).

ქართული კი. აი, რას გვეუბნება: „სალოცავიდან იმასთან ერთად დავს შე დაგ-

ბრუნდი: მოძღვარს ცოდვების შენდობას სთხოვდა, ახლო მივდექი, სუყველათფერი კარგა მესმოდა. ტყუილ-უბრალოდ იქ წასულყო აღსარებლათ. თუმც ღამისაჲ, იმ ქალს არა რა ცოდვა ექნება, ხელიც, მოჟვასო, არ მიმიწვდება. (იხ. გვ. 97 ქართული თარგმანისა).

აქ სრულებით არეულია მთელი ეს ეპიზოდი. ერთი ის, რომ მარგარიტა და მეფისტოფელი ერთად დაბრუნდნენ. ეს ფაუსტს უეჭველად აფიქრებებს, რომ მარგარიტა უბიწო აღარ იქნება, თუ კი იგი ეს თავისუფლათ მეფისტოფელთან დასეირნობს, რადგან ფაუსტმა კარგათ იცის, თუ ვინ ბრძანდება მეფისტოფელი, და ისიც, თუ ვინ-ღა იქნება მასთან, მეფისტოფელთან მოხეტიალე ქალი. მეორეც ისა, რომ მეფისტოფელი გადაჭრით აღაჭურვებს მარგარიტას უცოდველობას, ამას იგი სათუთო როდი ამბობს. ქართული თარგმანი კი გვეუბნება, რომ „იმ ქალს არა რა ცოდვა ექნებაო“. ეს თქმა სათუთო, საეგებო აზრის გამოხატველია: მეფისტოფელი ხაზ-გასმით მარგარიტას უბიწობას აღნიშნავს. ქართული თარგმანი კი ამბობს, რომ ვითომც მეფისტოფელს ეთქვას, მარგარიტა ლამაზიაო ამის თქმა რა საჭირო იყო? ლამაზი რომ არის, ამას ფაუსტიც კარგათ ხედავს და თითქმის ამასვე აღტაცებით აღიარებს, თითქმის დწერილებით აგვიწერს მარგარიტას მთელ გარეგან მშვენიერებას, მის მომიბღველ მოხაზულებას.

ქვევით აღარ გავყვები თარგმანის უღაზათობას. მგონია, რომ, რაც ზევით აღვნიშნე, ისიც საკმაოა, მკითხველი დარწმუნდეს, რომ თარგმანი გამოუსადეგარია და სავარგი არ არის. ეს კი დიდი ნაკლია და არც სასურველია, რომ ეს თარგმანი გავრცელდეს, რადგან ქართველი

მკითხველი შერყენილს; გადასხვაფერებულ შეხედულებას შეადგენს ფაუსტზე, ამ მთელი კაცობრიობის საამაყო ქმნილებას. ჩემთვის პირადათ ეს ცხადია.

ამ შენიშვნის დასტამბვა განზრახ დავაგვიანე, რადგან არ მსურდა, ჩემი შენიშვნით ზიანი მისცემოდა გამომცემელს. ახლა კი ეს შენიშვნა წიგნის გავრცელებას ველარ შეაფერხებს: ვისაც უნდოდა ამ წიგნის ყიდვა, იგი ამდენს ხანს კიდევ იყიდდა. მე ის მაინტერესებს მხოლოდ, რომ ქართველი მკითხველი, რომელმაც უკვე შეიძინა ეს თარგმანი, სრული სიფრთხილით მოეპყრას მას და ამავე დროს ფასიც იცოდეს ამ თარგმანისა. ამასთანავე მსურს, რომ რუსული და ქართული თარგმნების ზემოაღნიშნულმა შედარებამ მკითხველი საზოგადოება დააჯეროს, რომ ძალზე საჭიროა, მალე, დაუხანებლივ ვინმე შეუდგეს ფაუსტის ახალ თარგმნას, თუნდაც პროზით. ცრუ აზრია, ვინც ფიქრობს, რომ პოეტური ნაწარმოები თვის მომხიბვლელ მშვენიერებას დაკარ-

გავს მხოლოდ იმიტომ, რომ პროზით გადაითარგმნება. განა თვით პროზა იგივე პოეზია არ არის ხელოვანის ხელში? პირიქით, ისეთი ლექსით თარგმნა, როგორი ლექსთ წყობა უხმარია ბ. მირიანიშვილს, სრულებით შეუსაბამოა ფაუსტისათვის: ეს ლექსთა წყობა მოსაბეზრებელი და მოსაწყენია სასმენათ ამ სიდიდე წიგნის სივრცეზე. პირველი კაბადონიდან დაწყებული უკანასკნელამდე გამბულია ერთგვარი ლექსი, რომელიც სმენას აღლუნვებს ამ ერთგვარი მუსიკით ამოდენა მანძილზე.

მაშ ვისურვოთ, რომ ბ. მირიანიშვილის შაგიერ სხვას ვინმეს მალე და ადრე შეეცოს ქართული ლიტერატურის დიდი ნაკლი და ქართველებს მალე მოგვეპოვებოს ფაუსტის შესაფერი თარგმანი. დარწმუნებული ვარ, რომ ბ. მირიანიშვილის თარგმანი ახალ მთარგმნელს გვარიან მახალათ გამოაღებება.

ი. ფანცხვა.

Handwritten signature and notes in Georgian script.

† დეკანოზი დავით ღამბაშიძე

ქრისტეშობისთვის 21 დ. ყვირილაში გარდაიცვალა დეკანოზი დავით ღამბაშიძე. განსვენებული იმდენათ თვალს. ჩინო პიროვნებას წარმოადგენდა ჩვენს თავის მედგარი და შეუპოვარი ბრძოლით ჩვენი ერის სიწმინდის დაცვაში, კუთით, მოხერხებით და ხასიათის სიმტკიცით, რომ

უნებლიეთ მოგაგონებთ იმ წარჩინებულ წინაპართ, რომელთაც ცალხელში ჯვარი ეკირათ და მეორეში—ხმალი მტრის მოსაგერებლად; ხოლო განსვენებული დეკანოზის ხმალს მისი კალამი, გაბედული სიტყვა და გამპკრიახი გონება შეადგენდა, რასაც მოწინააღმდეგენი ანგარიშს უწყევ-

დნენ. მართალია ვოლტერის ნათქვამი: „ფულის უქონლობა კი არა, ნიჭიერთა და მხნე კაცთა უყოლობა ჰქმნის ერს უღონოდაო“ — აწ განსვენებული დეკანოზი დავით ლამბაშიძეც ერთი იმ მხნე კაცთაგანი იყო, რომლის გარდაცვალება იმ დროს, როცა მას ჯერ კიდევ შეეძლო ქვეყნის სამსახური, დიდი დასაკლისია ჩვენს დროში, როცა სამკალი ფრიად არს, ხოლო განსვენებული დეკანოზისთანა ღირსებით აღტურვილნი მოკალნი კი-მცირე.

დიდი სამსახური გაუწია ჩვენს გონებით ჩამოქვეითებულ სამღვდლოებას ჟურნალმა „მწყემსა“, რომლის გამოცემა დაიწყო განსვენებულმა 1883 წლიდან და დღემდის შეუფერხებლად გამოდიოდა. „მწყემსი“ შეიქმნა ჩვენებურ სამღვდლოებისათვის ერთად ერთ ორგანოდ, რომლიდანაც სოფლის მღვდლები იძენდნენ, როგორც ზნეობრივს სწავლა-მოძღვრებას, აგრეთვე სხვა და სხვა სამეურნეო ცნობებსაც. ამას დაუმატეთ აუარებელი იაფფასიანი წიგნაკები, გამოცემული განსვენებულის მიერ ხალხში გასავრცელებლად, გონიერულად შედგენილი კარაბადინი, სხვა და სხვა სახელმძღვანელო წიგნები და დარწმუნდებით, რომ აწ განსვენებულმა დეკანოზმა გზა ცხოვრებისა ფრიად ნაყოფიერად განვლო და სასურველადაც აღბეჭდა ნავალი.

ვისაც თვალ-ყური უდევნებია განსვენებულის მოღვაწეობისათვის, უეჭველად შენიშნავდა, რომ მისი ფარ-ხმალი მიმართული იყო გაძლიერებულ ბოროტების წინააღმდეგ, ხშირად მარცხდებოდა, მაგრამ ხშირად იმარჯვებდა კიდევ.

ნათქვამია მწუხარებისა და უბედურების ატანაა ქვეშაირიტი ვაჟ-კაცობაო. მაგრამ ბოლოს-მინც უმტყუნა ძალამ, გატყდა მოხუცის ბრძმელში გაქედლილი სიმართლის მოსიყვარულე მტკიცე გული, ვერ აიტანა ზამთრის სისუსხე, მას მოჰყვა ზამთრის თანამგზავრი, მოხუცისთვის აუტანელი სენი, რამაც მუდამ-ჯან საღი და მხნე მწყემსი გამოასალმა წუთისოფელს და ობლად დაატოვებინა თვისი სამწყსო.



მომავალში ჩვენი ისტორია ღირსეულად დაფასებს განსვენებულის ღვაწლს და მაშინ კი მტრებიც მეტს შენდობას შეუთვლიან იქ, სადაც მართალნი განისვენებენ, ხოლო მოკეთეთა გულში დეკანოზ დავით ლამბაშიძის სსოვნა მუდამ წარუხოცილი იქნება. საუკუნოდ იყოს მისი სხენება.

რედაქტორ-გამომცემელი

ლ. გ. ბოცვაძე.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო 1914
„ს ა ს ა ლ ს ო გ ა ზ ე თ ი“

წელიწადი მეორე

ყოველდღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეულო

ს უ რ ა თ ე ბ ი ა ნ ი დ ა მ ა ბ ე ბ ა

დამატება გამოვა კვირაობით

კაზეტის ფასი დამატებია ნად: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური, დამატებიაანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი. ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

განაწილება ფასისა: გამოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50 კ.

რედაქცია ღიაა 9—7 საათ.

Тифлиси, редакция „Сахалхо газети“.

საშინაწილო ნახატებიანი ჟურნალი

შეჯიქილი

ოცდა მეორე წელიწადი

მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისთვის.

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი „აჭიქილი“ ტფილისში ეღირება 4 მ., ქალაქ გარედ (გაზაფხით) 4 მან. ნახევარი წლით 3 მ., ცალკე ნომერი 40 კაპ.

ფოსტისადრესი: Вь Тифл. вь Редакц. Грушинскаго дѣтск. жур. „Джеджили“.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

გამოვა 1911 წ. საშინაწილო ჟურნალი

ნ ა კ ა დ უ ლ ი

წელიწადი მეშვიდე

ხელის-მოწერა მიიღება ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქციაში:

ბოლოების პროსპექტზე შუბალაშვილის სახლში № 8, და წერეთლის გამზარდ. საზოგადოების მდარიაში, თავ. აზნ. ქარვასლა)

1911 წლის 1-ლ იანვრიდან 1912 წლის 1-ლ იანვრამდე. წლიური ხელის-მომწერლებს მიეცება: 24 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მკითრე წლოვანთათვის. 12 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის. 36 სურათი, რომელიც ნაკადულის წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული.

Открыта подписка на 1911 г.

на ежедневную общественно-педагогическую газету

316/3

ШКОЛА И ЖИЗНЬ

с ежемесячными приложениями.

В книжках приложений, которая за год составит около 80 печатных листов, будут помещаться лучшие произведения русских и иностранных старых классических, или выдающихся новейших, или касающихся наиболее важных вопросов текущего времени. Приложки приложений будут посвящены Л. Н. Толстому, Н. И. Дурову и работам известного немецкого Крешштейнера. В числе приложений — три сборника, специально посвященные высшей, средней и высшей школе.

Газета издается по следующей программе: 1) Руководящая статья по вопросам организации школы и школьного законодательства, 6) общепедагогическая и практики. 2) Статьи по различным вопросам образования и воспитания, особенно, характеризующий по преимуществу внутреннюю жизнь школы или являющийся различными сторонами знания. 4) Обзор печати. 5) Хроника образовательности законодательных учреждений, правительства, местного самоуправления. т. д. 6) Хроника школьной жизни в России и за границей. 7) Обзор новейшей литературы русской и иностранной. 8) Образовательный отдел с подготовкой втвоя редакци на запросы подписчиков.

В газете принимают участие в числе прочих, следующие лица:

Проф. М. М. Адакбенко, акад. В. М. Бехтерев, проф. И. И. Борги, П. Влоковский, проф. В. А. Вагнер, В. П. Вахтеров, акад. В. И. Вейс, В. А. Герд, проф. Н. А. Гредескул, проф. Д. А. Гримм, Я. Я. Гуревич, В. Я. Данилевский, Я. И. Дунский, Е. А. Звягинцев, проф. П. Ф. Капустин, М. Я. Капустин, проф. Н. И. Карьев, проф. М. М. Ковалевский, проф. Кони, проф. Н. Н. Лагер, А. А. Липовский, проф. И. В. Луцкий, проф. Мануйлов, П. Н. Милюков, Н. Ф. Михайлов, проф. А. П. Неаев, акад. Осаянко-Куликовский, Ф. ф. Ольденбург, А. Н. Острогорский, А. В. Цейц, И. И. Петрукевич, А. С. Пругавин, Н. А. Рубакин, М. А. Стахович, Титов, Д. И. Тихомиров, граф И. И. Толстой, Н. В. Тулузов, проф. Г. Павл, В. И. Чарнодуский, проф. Г. И. Чеданов, Н. В. Чехов, П. М. Щеглов, А. И. Шингарев, акад. И. И. Янжул и многие другие.

Из иностранных ученых, между прочим, общали свое участие в следующие лица: проф. Рене Верме, Шарль Жид, известный французский Бюссон, фе-грев и др.

Редакция газеты имеет корреспондентов в разных городах империи и специальных корреспондентов в Г. Софье и Г. Думб.

Под общей редакцией Г. А. Фальборка.

Подписка на год на 6 м. на 3

С доставкой и пересылкой в города империи. 6 р. 3 р. 2 р.

Принимается подписка на два месяца с 1-го ноября до конца года.

Для учащихся в начальных училищах допускается расценка по 1 р. две 2 месяца. Лица, подписавшиеся до 1-го января 1911 г., получают в 1910 г. бесплатно.

Газета выходит с ноября месяца. Пробные №№ высылаются бесплатно.

Подписка принимается в Главной Конторе, Петербург, Кабинетская тел. 547-34, во всех почтово-телеграфных конторах России и в книжных магазинах.

Объявления принимаются в Главной Конторе газеты. Цена объявления по-прежнему на первой странице 60 коп., позади текста 30 коп.

Издатели: Н. В. Митков и Г. А. Фальборк.

ქვემოთხსენებულნი სტამბა, სპირიტუალ. ლოსტბეტიძის, მოსკოვის ქუჩა № 34-ისა.